



სამეცნიერო ფურნალი „საქართველოს და სახელმწიფოს  
სამეცნიერო თეორია, პრაქტიკა“

Scientific magazine  
“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО  
(История, Теория, Практика)“

№ 1 (9) 2009



ოთა ფილოსოფიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association

Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ




EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

ნ. 402



## სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოდონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბალათურია

პასუხისმგებელი მდივანი

რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბადათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, თემურაზ თოდუა, გენადი იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსულან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი



შერნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემოხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677

e-mail: [dlpa@gtu.edu.ge](mailto:dlpa@gtu.edu.ge), [geoandopenip@yahoo.com](mailto:geoandopenip@yahoo.com)

**გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია**

შერნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე:

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

შერნალის რეფერირებული მასალა განთავსებული საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

## ს ა რ ჩ ე გ ი

### თეორია

#### **ჯემალ ჯანაშია**

საქართველოს გეოპოლიტიკური პრობლემები რეგიონალურ ჭრილში და საერთაშორისო დანაშაულებრივი სისტემების თანაარსებობა .....	3
--	---

#### **სოფიო დოდონაძე**

პრევენცია - არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის საფუძველი .....	16
--	----

#### **გეგი ბეთლემიძე, სერგო ერმოლაევი**

ელექტრონული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში .....	27
---	----

### ისტორია

#### **ია ხუბაშვილი**

დანტე - <b>Una Italia</b> და უნივერსალური მსოფლიო მონარქიის იდეის ფუძემდებელი .....	35
--	----

#### **სალომე ხიზანიშვილი**

აბსურდულობის გაცნობიერებიდან ისტორიულ რეალობამდე .....	48
---	----

#### **ეკა ცხადაძე, ბადრი ცხადაძე,**

ბერძნულ-ქართული ლექსიკური შეხვედრები .....	59
---	----

#### **ეთერ ბერიძე**

ნიგალის ხეობის მცხოვრებთა მეტყველება .....	71
--	----

**გიორგი მიძიგური  
ბოშები-თავისუფლებისა და წესრიგის  
უნიკალური ურთიერთმიმართება ..... 82**

### პრაქტიკა

**თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი  
ლამანშის გვირაბი ევროინტეგრაციაში ..... 87**

**თამარ რევაზიშვილი, ნიკოლოზ ბეჟაშვილი  
კლიმატის ცვლილება, როგორც  
გლობალური ეკოლოგიური პრობლემა  
და მისი შედეგები ..... 95**

**ნინო ძიგუა  
საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის  
ფუნქციის მქონე ქვეყნის განვითარების  
პერსპექტივები ..... 104**

### საზოგადოება

**მურად შონია  
ადამიანი როგორც სოციოლოგიის საგანი ..... 120.**

**მარინე ლომიძე  
სპინი: სასურველი თუ რეალობა?! ..... 127**

**ეპა ცხადაძე, ბადრი ცხადაძე  
წელი, წელიწადის დროები და  
ჩიჩილაკის ეტიმოლოგია ..... 139**

# ო ე რ მ ა ს

## ჯემალ ჯანაშია

საქართველოს გეოპოლიტიკური პროცესები  
რეგიონალურ ჰრილში და სამრთაშორისო  
დანაშაულებრივი სისტემების თანაარსებობა

საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რომელიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების დაღებით კონტექსტში გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, თან ასევე ახლავს მოელი რიგი უარყოფითი მოქნეტებიც, რომელთა გაანალიზებასაც ვეცდებით აღნიშნულ სტატიაში.

უკანასკნელ წლებში ევრაზიულ სივრცეში გამოიკვეთა მძლავრი სახელმწიფოების მრავალმხრივი გეოპოლიტიკური ინტერესები და დღეს როგორც არასდროს აქტუალური გახდა ცნობილი პოლიტიკური პროგნოზების დიდოსტატის ზემოქმედების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ „ევრაზია – არის მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური არეა“. [1]. და იქ იძარვნებს ის პოლიტიკური ძალა, რომლის გავლენაც დომინანტური იქნება კავკასიის რეგიონში.

კავკასიის რესპუბლიკები ისტორიულად იმ ორ ქვეყნას შორის მდებარეობს, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენა ტრანსკავკასიურ სივრცეში ბოლო თრი საუკუნის განმავლობაში თანდათან იზრდება. ეს ორი სახელმწიფო – რუსეთი და თურქეთი მუდმივად იბრძვის რეგიონში გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად, მთუმეტეს როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ევრაზიის შემართებელი არტერიაა და უდიდესი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია [2].

ამ დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ მსოფლიოს ამ მონაკვეთში ნავთობის, გაზის და სხვა ძვირფასი ნედლეულის კოლოსალური მარაგებია კონცენტრირებული.

ცდილობს, რა თავი დააღწიონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფედერაციას (დსთ), კავკასიის ქვეყნები ძალიან სწრაფად ხდება რუსეთის პრიორიტეტული სამიზნეები. ეს უკანასკნელი კი ამ ქვეყნებში გაგმავს ტერორისტულ

აქტებს, აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს, მხარს უჭერს სეპარატიზმს, რადგან ურჩევნია ისინი მუდმივი ზემოქმედების ქვეშ პენალტის (საქართველო, აზერბაიჯანი) ან გაიხადოს სამხედრო – პოლიტიკურ მოკავშირედ როგორც სომხეთი. თუმცა ამ ქვეყნებში არსებულმა არაერთგვაროვანმა ენდოგენურმა მიზეზებმა რუსეთს რეგიონში გაუძვილა ნარკოტიკებისა და იარაღის ბაზრის განვითარება. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ კავკასია აზიდან ნარკოტიკების ტრადიციული გზების შესაყარზე მდებარეობს.

სწორედ ამით იყო გამოწვეული 1991 წელს საბჭოთა კავშირის კოფილი მაღალჩინოსნების მიერ აზერბაიჯანში ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება, რომლის პირდაპირი მიზანი ბაქოს იმ სამარშრუტო გზაზე მოთავსება იყო, რომელიც ცენტრალური აზიდან და ირანიდან მოდიოდა, რადგან ბაქო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ნავთობ-ქიმიური გადამამუშავებელი ცენტრია და სხვადასხვა სტრატეგიული ნედლეულის მათ შორის ნარკოტიკების ტრანზიტის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება 1993 წელს საქართველოში – აფხაზების, რუსების, კაზაკების, ჩრდილოეთ კავკასიელებისა და სხვა დამხმარე ძალების მეშვეობით სოხუმის აღებას, მიზანი თავისუფალი და დამოუკიდებელი პორტის დაარსება იყო.

სურვილი ადვილად შესრულებადი გახდა, რადგან მეზობელ სახელმწიფოებში (რუსეთში) დაწერილი სცენარის მიხედვით, საქართველომ ჯერ 1991-92 წლებში სამოქალაქო ომი გადაიტანა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებას ანდერძად შინააშლილობა, ეთნიკური კონფლიქტი, დანგრეული ეკონომიკა, დაუწყობელი საზოგადოებრივი ურთიერთობები და ორად გახდებილი ქვეყანა დაუტოვა.

ასეთ უმძიმეს პირობებში მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი, რომ აჭარა და მისი პორტი ბათუმი, რომელიც თურქეთს ესაზღვრება, თითქოსდა ხელიდან უსხლტებოდა თბილისის კონტროლს.

რაც შეეხება აფხაზეთს, იგი რუსების, ჩეჩენების, სომხების და სხვათა დახმარებით 1993 წელს, ეგრეთ წოდებული ფორმალური საზღვრით მდინარე ენგურზე, საქართველოს იურისდიქციას გამოეყო [3].

როგორც კი საქართველომ დსთ-ში რეინტეგრაცია გამოაცხადა, ომი გაიყინა.

რუსეთის სამხედრო ნაწილები რომლებიც ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთში იმყოფებოდნენ, იმ დროიდან

სტატუსკვოს გარანტიები გახდნენ, ხოლო სოხუმი – მეორე მნიშვნელოვანი პორტი აფხაზ მებრძოლთა და მათ მოკავშირეთა ხელში დარჩა.

სოხუმი დღეს თავისუფალი (დამოუკიდებელი) პორტია და იქიდან სრული განუსჯელობით გაედინება კონტრაბანდული საქონელი – იარაღი, სიგარები, ნავთობი, ნარკოტიკები და სხვ.

გასული საუცნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ბაქოსა და თბილისში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, აზერბაიჯანს, საქართველოზე და თურქეთზე გაეტარებინათ კასპიის ნავთობსადგნი, რუსეთი – მოსკოვი ძლიერ გააღიზანა. მას აზერბაიჯანში უწყვეტი სახელმწიფო გადატრიალებები, ხოლო საქართველოში ტერორისტული აქტები მოყვა.

ამავე 90-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთი პირდაპირ დაგა კასპიისპირეთში გავლენის სფეროების დაკარგვის საფრთხის წინაშე. ამიტომ მისი მიზანი გახდა ენერგომატარებლების ტრანსპორტირება რუსეთის ტერიტორიის გაფლით და წამოაუქნა კიდეც მარშრუტის ორი ვარიანტი: I. ბაქო-ნოვოროსიისკის და II. თენგიზ-ნოვოროსიისკის მიმართულებით. პარალელურად აშშ-ის მხარე და დასავლეთი მხარს უჭერედნენ ბაქო-ჯეიპანის პროექტს.

ბრძოლა კასპიის რეგიონიდან, მომავალში კი აზიური სიცრციდანაც ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტების გარშემო, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, თურქეთს, აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის წარმოადგენდა არა იმდენად მეტებას მოგების წყაროს გამო, რამდენადაც ბრძოლას რეგიონში გეოპოლიტიკური გავლენისათვის.

მაშინ, როდესაც რუსეთის მხარე კასპიის რეგიონში შემავალი სახელმწიფოებისადმი დიდი აგრესიულობით გამოიჩეოდა და მუდმივად ძალის დემონსტრირებას ახდენდა, აშშ-მ ხელი შეუწყო რეგიონში დასავლური კაპიტალის შემოდინებას. ამან კი თავისმხრივ კიდევ უფრო შეუწყო ხელი დასავლეთზე ორიენტირებული სატრანსპორტო მარშრუტების დამტკიცებას.

ამგვარად, 1996 წლის მარტში ხელი მოეწერა 3 შეთანხმებას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ნავთობსადგნის საქართველოზე გატარების თაობაზე მოგვიანებით 1999 წლს ეუთოს სტამბოლის შეხვედრაზე ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიპანის შენებლობის შესახებ შეუერთდნენ აშშ და თურქეთი.

საბოლოო ჯამში, კასპიის რეგიონის გარშემო დასავლეთის და რუსეთის პაქტობის შედეგად მივიღეთ ის, რომ ნავთობსადენთან დაკავშირებით გაიმარჯვა დასავლურმა

პროექტმა, გაზხე კი – რუსეთისამ. რუსეთის მხარემ პარალელურად თურქეთისაგან თანხმობა მიიღო პროექტზე „ცისფერი ნაკადი“, რომელმაც არსებითად შეამცირა სხვა პროექტების: (1) თურქენული გაზის კასპიისპირეთის გასწსადენითა და (2) აზაერბაიჯანული გაზის შაჰ-დენიზიდან თურქეთისა და შემდგომ ევროპაში გატანის მნიშვნელობა 4 (32).

ამ ორი კომპრომისული ვარიანტის გადაწყვეტამ თითქოს სიტუაცია განმუხტია, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისში მდგრმარეობა კვლავ დაიძაბა. აღრეული ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიპანი და გაზსადენის ბაქო-თბილისი ერზრუმის პროექტების ამუშავებამ, რასაც საქართველოში ამერიკელი და დასავლელი სამხედრო ინსტრუქტორების ჩამოსვლაც მოყვა, მოსკოვი სასტიკად გააღიზიანა და სიტუაცია უკიდურესობამდე დაიძაბა.

რეგიონში ასევე კიდევ ერთი მეტად სახიფათო ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, კავკასიაში არცერთი დიდი სახელმწიფო უბრძოლველად არ დათმობს თავის პოზიციებს და შორიდან არ უკურებს თუ ვის ხელში აღმოჩნდება ეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ტერიტორია.

სწორედ ამიტომ მუდმივად მიმდინარეობს სახელმწიფოთა ინტერესების გადაჯგუფება და ისინი ვინც გუშინ სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში იყვნენ დღეს შეიძლება გართიანდნენ კიდეც. ამის კარგი მაგალითია მოსახრება იმის შესახებ, რომ „თითქოსდა“ ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის და საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის ალიანსი მიმართულია სომხეთის წინააღმდეგ, რამაც ამ უკანასკნელს რუსეთისა და ირანთან ალიანსი შექმნა იძულა პირველის საპირისპიროდ.

ახალი „კავკასიური სამთა კავშირი“, არასწორი პოლიტიკური ანალიზის შედეგია. იგი მიზნად ისახავს რეგიონში დაბატულობის ახალი კერძის შექმნას. ამასთან დაკავშირებით მივყვეთ ისტორიას და გავიხსნოთ დიდი ილიას სიტყვები „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როდესაც დაეცა სომხეთის სახელმწიფო და იმით საქართველოსაც მოერდვა სამხრეთის კარი“ 5(805).

დღეს სახეზე გვაქვს ახალი პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების თითქოსდა „წარმოუდგენელი“ ვარიანტების განვითარება, როდესაც სომხეთის პრეზიდენტის და თურქეთის პრემიერ მინისტრის რამდენიმე შეხვედრა შესდგა. საქართველო კი, რომელიც კავკასიაში მუდამ პოლიტიკური პროცესების „მბრუნვაი დერძი“ იყო, თანდათან კარგავს თავის წამყვან პოზიციებს, რაც არ შეიძლება აშფოთებდეს ჩვენს

პოლიტიკოსებს და მის მოკავშირეებს, როგორც ევროპაში ისე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ასეთი გეოსტრატეგიული „თაბაშების“ გამო, უკანასკნელ წლებში საქართველოში მუდმივად მიმდინარეობდა „უწყვეტი პროვოკაციების კასკადი“, თუ აფხაზეთში, თუ ცხინვალის რეგიონში, რომელსაც არც თუ იშვიათად ჩვენი ხელისუფლების არაადეკვატური პასუხებიც მოყვებოდა ხოლმე.

საბოლოოდ კი ყოველივე დამთავრდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედროების და სპეცსამსახურების მიერ წამოწყებული პროვოკაციით, რომელსაც ადვილად „წამოეგო“ საქართველოს ხელისუფლება და სამხედრო უწყება და რასაც სამხედრო ოსეთისა და აფხაზეთის „ფაქტობრივი დაკარგვა“ და რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება მოყვა.

მივუბრუნდეთ ისევ ისტორიას აფხაზეთისათვის დახმარების გაწევის შემდგომ, რაც ჩეჩენური დაჯგუფებების აფხაზეთის ომში მონაწილეობაში გამოიხატა და რაც როგორც შემდგომ გაირკვა ჩეჩენებისათვის საბედისწერო შეცდომა იყო, ეხლა უკვე მათი რიგი დადგა და იგი რუსული აგრესის მორიგი მსხვერპლი გახდა.

დღეს უკვე დამოუკიდებლობისათვის მეტროლი ჩეჩენეთი, როგორც ამას ბევრი საერთაშორისო ექსპერტი აღნიშნავს, მრავალი საიდუმლო ოპერაციების „მბრუნვი დურძ“ და „კრიმინალური ზონა“ გახდა, რაც ტრადიციულად მოხერხებულად საბაბად გამოიყენა რუსეთმა და ჩეჩენეთში შეჭრა როგორც „ნარკობიზების და იარაღით ვაჭრობის ბუდისათვის ცოცხის მოსმად“ ისე გააშექა [6].

კვლევის მნიშვნელოვანი თემაა „დენთზე მჯდომი დადესტანი“, რომელიც მრავალეროვან ეთნიკურ მოზაიკას წარმოადგენს. ამჟამად მის ტერიტორიაზე კონცენტრირებულია დიდი რაოდენობით, კარგად შეიარაღებული გაწვრთილი რუსეთის ფედერალური სამხედრო და სპეციალური დანიშნულების რაზები. საზღვრები კი ჩეჩენეთან საიმედოთაა ჩაკეტილი. მეორე მხარეს კი საქართველოა გამჭვირვალე საზღვრებით და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებით, რაც ამ უკანასკნელისათვის არც თუ საიმედო სამხედრო ვითარებას ქმნის.

დადესტანი, რომლის დამორჩილებასაც რუსეთმა თითქმის ერთი საუკუნე შეალია, მომავალში მისი ერთ-ერთი უდიდესი თავის „ტბილის“ იქნება, რადგან საქართველო, რომელიც რუსეთის კაგასიაში გაბატონების ერთ-ერთი მძლავრი პლატფორმი იყო დღეს უკვე მის უმთავრეს მოწინააღმდეგებდ

ითვლება, რაც რუსული დიპლომატის უკანასკნელი 200 წლოვანი ისტორიის ერთ-ერთი საბედისწერო შეცდომა შეიძლება გამოდგეს და ამ შეცდომამ განაპირობოს რუსეთის სამხრეთში არაერთგვაროვანი მოვლენების განვითარება.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები და მისი ანალიზი მიგვანიშვნებს, რომ კავკასიაში აშკარა წინასაომარი ატმოსფეროა შექმნილი, მაგრამ რეალური პოლიტიკის პოზიციებიდან გამომდინარე, არც ევროპას და ამერიკას და არც რუსეთს არ უნდა აწყობდეთ „ახალი ბალკანეთი“ კავკასიაში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეგიონში სულ უფრო და უფრო იკვეთება მძაფრი პოლიტიკური იდეოლოგიური და ეკონომიკური დაპირისპირებები არ არის გამორიცხული მასშტაბური სამხედრო ოპერაციები. თუ ცნობილი საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზს ვნედობით, „ახლო მომავალში“ შესაძლებელია ეწ. „ევრაზიული ბალკანეთის“ – დიდი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობა კავკასიის ქვედის ორივე მხარეს [7].

ამასთან თანაბეჭდის ნათელი ხედები ისიც რომ კავკასია დიდი სახელმწიფოების ინტერესთა დაპირისპირებისა და შეჯახების არენად იქცევა. ბუნებრივია, რომ ამ დაპირისპირებაში ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც ტაქტიკური ისე, ტექნიკური თვალსაზრისითაც აშკარა უპირატოსობა აქვს, რისი გაუთვალისწინებლობაც ნებისმიერ კავკასიულ პოლიტიკოსს დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს.

ამრიგად უპირველეს ყოველისა ნებისმიერი პოლიტიკური თუ ძალისმიერი ქმედების დაგეგმვის და განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ ის არაორდინაციური ვითარება, რომელიც კავკასიის რეგიონში ობიექტურად შეიქმნა: ერთმანეთშია გადახლართული უამრავი ეთნიკური, კულტურული, ეკონომიკური თუ რელიგიური ხასიათის წინააღმდეგობები, მათი გადაჭრის ცდა იარაღით ნიშნავს დიდი კავკასიური ომის დაწყებას. ამაში კი თვით დიდი სხელმწიფოები, მათ შორის პირველ რიგში რუსეთი არ უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან „სტაბილური კავკასია“, სტაბილური რუსეთის „გარანტიაა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიის უმართავი კონფლიქტები, რუსეთის „რდვევის“ დასაწყისი იქნება. ასე და ამგვარად მშვიდობიან და სტაბილურ კავკასიას ალტერნატივა არ გააჩნია.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელოვანი ხელისშემსლელი პირობაა, რუსეთის გარეული სამხედრო და პოლიტიკური წრეების იმპერიული ნოსტალგიის განცდასთან ერთად შეში, რომ

დამოუკიდებელი, ძლიერი და მდიდარი საქართველო თითქოსდა თავისთავად შეუქმნის მათ პრობლემებს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში, რომელსაც როგორც აღწევის მიზნების მთლიანობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად, მათვის არანაკლებ მიუღებელია, ის რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი საბოლოოდ გამოვა რუსეთის გავლენის სფეროდან, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოზიციას ევრაზიულ სივრცეში.

ასეთი რეალობიდან გამომდინარე სავსებით ლოგიკური და არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს ძალისხმევა გაერთიანდეს-ჩაერთოს ევროპული ინტეგრაციულ პროცესებში, რაც ეტაპობრივად ხორციელდება კიდეც დღეს საქართველოს არის ეუთოს საბჭოს წევრი, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილე, სახემლწიფოთა არაფორმალური გაერთიანების სუჟამ-ის წევრი, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი, პროგრამის „პარტნიორობა მშენილებისთვის“ მონაწილე და სხვ.

საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს HATO-ს ბაზარიზების პროექტში, რომლის უმთავრესი მიზანია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება მთელი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, ევრო-კავშირის ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა და ეუთოს განმტკიცება. ნატოში გაწევრიანების გეგმა, MAP-ი მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, პერძოდ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ, თავდაცვისა და სამხედრო, რესურსების უსაფრთხოების და სამართლებრივ საკითხებს.

ამ ჩამონათვალში ყველაზე მნიშვნელოვანია ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის დაინტერესება სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი (უკრაინისა და შუა აზიის ქვეყნებთან ერთად), რაც უმთხვევა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესების ზრდას კასაის ენერგორესურსებისადმი.

მაგრამ ყველაფრის ენერგორესურსებზე დაყვანა შეცდომა იქნებოდა. აქ ალბათ ერთობლიობაში უნდა იქნას განხილული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მდიდარი ენერგორესურსები, რაც სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. იმ მოსაზრებას მრავალი ექსპერტი იზიარებს და ისინი გამოყოფენ 5 ძირითად პუნქტს რის გამოც ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციას სამხრეთ კავკასია აინტერესებს ესენია:

1. რეგიონის გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა;
2. რეგიონის როლი ეკონომიკურ საფრთხოებაში;
3. კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების გამოყენება;
4. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები;
5. რეგიონში ერთი რომელიმე სახელმწიფოს ბატონობის არ დაშვება.

ამ პუნქტებს დავამატებდი კიდევ ერთ პუნქტს:

ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ენერგორესურსების ტრანზიტი ეკონომის ქვეყნებში.

ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვანი, ეკონომიკურ გამოიკვეთა 2008 წლის შემოდგომაზე, რუსეთ-უკრაინის გართულებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე, და რაც ეკონომიკის უდიდეს ნაწილს, ენერგომატარებლების (გაზის) გარეშე დარჩენას უქადა.

აი ასეთი მეტამორფოზა განიცადა რუსეთის 200 წლიანმა კაგასიურმა ინტერვენციულმა პოლიტიკამ, რაც საბოლოოდ ძირდებული ქართული ტერიტორიების მთვისებით დამთავრდა. სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს საკითხის გარკვევა და ობიექტური გადაწყვეტა ძალიან შორსაა, თითქმის არ ჩანს.

## დასკვნა

საქართველოს უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემას. თუ თვალს გადავავდებოთ ქართული სახელმწიფოს 3000 წლივან ისტორიას, ვნახავთ, რომ მისი განვითარების ყოველ ეტაპზე ყველა ჩვენი პოლიტიკოსები ერთსულოვნად დასავლურ ორიენტაციას აძლევდნენ უპირატესობას, რადგან ქართულ პოლიტიკაში დასავლურ ორიენტაციას ვფიქრობთ, სხვა ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა სრულყოფილად ვერ გადაწყდება მხოლოდ დასავლური ორიენტაციის საფუძველზე, თუ მასთან ერთად საქართველომ არ გაითვალისწინა მისი საზღვრების გარშემო არსებული 4 მნიშვნელოვანი რეგიონის – რუსეთი, (ჩრდილოეთ კავკასია) – შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია, სამხედრო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

მიუხედავად უაღრესად გამწვავებული ურთიერთობისა განსაკუთრებით ყურადღება უნდა გავამასვილოთ რუსეთ-

საქართველოს მომავალი პეტილმეზობლური ურთიერთობების განვითარებაზე.

ეს ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის, რადგან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის, რუსეთის ფაქტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის. ასევე რუსეთის სამხრეთში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის უადრესად დიდია საქართველო როლი.

მიუხედავად არსებული უდიდესი სიძნელეებისა ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, ორივე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გასაგები უნდა გახდეს რათა და მათ საბოლოო გაუცხოვებამდე არ მიიყვანონ ამ ორ ქვეყანაში მცხოვრები ხალხი.

### **ლიტერატურა:**

#### **References**

1. Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostrategic Imperatives.
2. Mejdunarodni tsentr po issledovaniu konfliktov I peregovor "Konflikti I peregovori". Tbilisi, # 1 1999.
3. radvani Jan. saqarTvelo regionalizmis naRmi, gazeTi `le monde~, noemberi 1993 w. gv5.
4. saqarTvelo. amerikis SeerTebuli Statebi, ruseTis federacia. Jurn. saistorio vertikali. saqarTvelos teq. universiteti. Tbilisi 2008w. #14. gv.32.
5. ilia WavWavaZe, Txz. `krebuli~, gv.805.
6. narkotikebis geopolitikuri observatoria, narkotikebis msoflio atlasi, safrangeTis universitetis gamomcemloba, parizi, 1996 w.
7. Henry Kissinger. Diplomacy.

### **Jemal Janashia Geopolitical Problems of Georgia on Regional Scale and Coexistence of International Criminal Systems.**

#### **Summary**

It should be underlined that the processes ongoing in the “hot” points of the planet create favorable conditions for flourishing and prosperity of transnational criminal organizations, which in no small measure poses a threat to the national and international security.

Separatist Movements violate national sovereignty, undermine the democratic foundations even in the countries where democratic systems are well established, pose a threat to democracy and privatization processes in

the countries in transnational period, and deepen such problems as liberation of nuclear weapons and spread of terrorism.

Detailed analysis of New World order demonstrates that International community should pay closer, attention to the threat Separatist movements pose. They violate national sovereignty, undermine the democratic foundations even in the countries where democratic systems are well established, pose a threat to democracy and privatization processes in the countries in transitional period, deepen such problems as proliferation of nuclear weapons and spread of terrorism

Here we it doesn't freezes that the security of Georgia is tightly connected, to the foreign politics, and its orientation. Georgia has 3000 year history and on every stage of its development, Georgian politicians solely preferred western orientation, because we believe that in Georgian politics Western orientation does not have an alternative.

But at the same time we should not forget that, the problem the security of Georgia orientation, and by not taking in to consideration the Military, political, social-economical factors of 4 key regions, Russia (North Caucasus) – Black Sea region – new east, and Central Asia.

Even though, Relationships between Georgia and Russia have decorated trustily, we should concentrate on improving relationships with our Northern neighbor.

For the development, of Georgia's, Social-Economic, and political situation, Russia's factor is far more important than any other country's. At the same time, for peace and stability in South of Russia Georgia's role is fundamental.

Despite existing difficulties, above factors should be taken in to consideration by Governments of both countries, so the people of both nations do not grew apart.

**Keywords:** Separatism, terrorism, ethno conflicts, geopolitics, intervention, diplomacy, empire, colonization, aggressive wars, migration, diaspora, contrabanded vectores, transport spaces, transcaucasus space, reintegration, aggression, islam polarization, atheism, authoritarian regime.

**Reviewer** – professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Джанашия Джемал Парменович**

## **Геополитические проблемы Грузии в региональном масштабе и существование международной преступной системы**

### **Резюме**

Этнические конфликты, сепаратизм и события, развернувшиеся в горячих точках планеты, своей масштабностью создают реальную угрозу международной и национальной стабильности, посягают на национальный суверенитет, подрывают демократические системы даже в тех странах, где они отлично налажены, препятствуют процессам демократизации и приватизации в странах переходного этапа развития, углубляют проблему распространения ядерного оружия и терроризма, и, что самое главное, в экономически слаборазвитых странах способствуют возврату авторитарного режима.

На данном этапе безопасность Грузии тесно связана с проблемами внешне-политической ориентации. Если внимательно изучить 3000 летнюю историю Грузии, заметим, что на каждом этапе развития, почти все политические и государственные деятели предпочитали западную ориентацию, так как для Грузинского государства другой альтернативы не было.

Одновременно должны помнить, что безопасность Грузинского государства нельзя решать полноценно, опираясь только на западную ориентацию. Следует учесть значение политических и социально-экономических факторов соседних государств, а именно: России, (северный кавказ), стран черноморского бассейна, ближнего востока и центральной Азии.

**Ключевые слова.** Этнические конфликты, сепаратизм, стабильность, суверенитет, демократия, приватизация, терроризм, авторитарный режим, альтернатива, социально-экономические факторы, Россия, ближний восток, центральная Азия.

**Рецензент** - профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет

## სოფიო დოკონაძე

### პრეზენცია - პრასტრულოვანთა შორის დანაშაულის ტინაბაღდებ პროცესის მშემჩინობის საზუმგველი

საქართველო დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს სახის ჩამოყალიბებისათვის იღწვის. ასეთი სახელმწიფოს უპირველესი ღირებულება და საზრუნვი კი ადამიანია, რომლის თავისუფლება, განვითარება და შესაძლებლობების სრული რეალიზაცია უმთავრესი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უნდა იყოს. „უველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია“ [1] კონსტიტუციის ეს მოთხოვნა ერთნაირად ვრცელდება უველა ასაკის ადამიანზე, ამდენად, კანონმდებელი აწესრიგებს პასუხისმგებლობას ასაკობრივი ცენზის შესაბამისად.

ბოლო ორი ათეული წელია საქართველოში პრაქტიკულად მიმდინარეობს იურიდიული სფეროს რეფორმირების მუდმივი პროცესი, რომელიც მიმართულია კანონიერების განმტკიცების, დანაშაულია წინააღმდეგ ბრძოლის, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. დანაშაულებაზე სახელმწიფო კონტროლი იძენს სულ უფრო მიზანმიმართულ და სისტემურ ხასიათს. სამწუხაროდ ამ საქმიანობაში სათანადო უურადღება არ ეთმობა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის აღკვეთისაკენ მიმართულ საქმიანობას. ვერ ვიტყოდით, რომ საერთოდ უურადღებოდა მიტოვებული ეს სფერო. გადაიდგა არა ერთი კარდინალური ნაბიჯიც კი. ჩვენთვის მთლიანობაში, მისაღები არის თუ არა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამკაცრდა მოთხოვნები არასრულწლოვან სამართალდამრღვევების მიმართ, მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით. ასევე, სერიოზული ცვლილებები იქნა გატარებული პენიტენციალურ სისტემაში. წარსულს ჩაბარდა ის მდგომარეობა, როდესაც ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი საჯარებლად სრულების დაწესებულებაში მოხვედრისთანავე უპირველესად დამნაშავეთა გარემოცვაში ექცეოდა, ხშირად მათ წინასწარდაკავების პერიოდში განცალკევებულებად არ ათავსებდნენ. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ღონისძიებები არ გამოირჩევა სათანადო სისტემურობით, მეტიც, ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს, შესაბამისად ნაკლებად დაფიქტირინია. მაგალითით სათვის აღვნიშნავდით ისეთ დანაშაულს, როგორიც საკმაოდ იყო გავრცელებული ბოლო

წლების საქართველოში, მობილური ტელეფონების ქურდობა, წართმევა და. ა.შ. ზოგადად ამ დანაშაულის შემცირება მოხდა არა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებით, არამედ ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენების შედეგად, როდესაც მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტების დაღვენა გაიოდდა და გართულდა მოპარული ან წართმეული ტელეფონის გაყიდვა ან მისი პირადი მიზნებისათვის გამოყენება.

ეს მაგალითი მოვიტანეთ არა იმისათვის, რომ დაგაკინიოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და ზოგადად სახელმწიფოს მიერ გატარებული სერიოზული ღონისძიების შედეგები, არამედ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაგუსვათ იმ გარემოებას, რომ ასეთი პრაქტიკა სხვა სახის დანაშაულებთან, მათ შორის ანალოგიური ტიპის დანაშაულებთან საბრძოლველად შედეგის მომტანი ვერ იქნება. სამწუხაროდ დანაშაულებთა სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული წინა პერიოდებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი გახდა და სისახტიკე და ცინიზმიც შეემატა.

ამდენად, იმ კერძო და საერთო პრობლემათა ყოველმხრივი ანალიზი, მეცნიერული კვლევა, რომლებიც დაკავშირებულია სამართალუროიერთობათა რეგულირებასთან, ისეთ სოციალურ ფენომენთან ბრძოლასთან, როგორიცაა დანაშაული და უმთავრესად დანაშაული არასრულწლოვანთა შორის, არის ერთერთი აქტუალური, პერსპექტიული და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანები იურისპრუდენციაში.

პრესიდან და მედიის სხვა საშუალებებიდან ვიცით, რომ ჩვენს კვეყანაში ბევრი კეთდება ამ მიმართულებით, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ არსებული სურათი საქმაოდ მძიმეა. სამწუხაროა ისიც, რომ ბევრი რამ, რაზედაც მუშაობს ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები ცნობილი არ არის ფართო საზოგადოებისათვის. ამდენად, ამ ნაშრომში მოტანილი ჩვენი მიღებობიდან და მოსაზრდებებიდან ბევრი შეიძლება განხორციელებულიც კი იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს ცნობილი არ არის. შესაბამისად, ყურადღებას გავაძახვილებო იმაზე, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

უპირველესად შევჩერდებით ზოგადად დანაშაულის მიხედვებზე და სახელმწიფოს მიღებობის მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საზოგადოება ყოველთვის ეძებდა დანაშაულზე რეაგირების ოპტიმალურ საშუალებებს, იმისათვის, რომ თავი

დაეცვა დანაშაულისაგან, რომელიც ხდებოდა ან შეიძლებოდა მომხდარიყო. დანაშაულზე სოციალური კონტროლის პირველ ფორმად შესაძლებელია მივიჩნიოთ კონკრეტულ დანაშაულზე რეაქცია, გამოხატული სისხლის აღებაში. იგი უპირველესად წარმოიშვა, როგორც დამსჯელი ინსტიტუტი (რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებებისათვის), მაგრამ შემდგომში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოებების განვითარების პალდაკვალ, რომლის მორალი ეკროპაში უპირველესად ქრისტიანულ ზნეობრივ ფასეულობებზე დაერდნობით ყალიბდებოდა, სამაგიეროს გადახდის პრიციპი, ეჭვის ქვეშ დადგა. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, იურისპრუდენციაში პოპულარული გახდა ფრანგი განმანათლებლებისაგან მიღებული იდეა, იმის თაობაზე, რომ უფრო შედეგისმომტანია არა დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილება, ე.ი. არადასჯითი პრევენციის იდეა. ალბათ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ საუკუნეების მანძილზე გამეფებულმა პრაქტიკამ დანაშაულისათვის სასჯელის სიმკაცრისა და გარდაუგალოვბის შესახებ, რომლის მიზანიც იყო დანაშაულისაკენ მიღრებილ ადამიანთა დაშინება, შედეგი ვერ გამოიღო. დანაშაული იმატებდა და იგი უფრო და უფრო საშიშ ფორმებს იღებდა.

ადამიანთა დაშინებისა და მათ მიმართ განსაკუთრებული სისასტეკის პრაქტიკამ თავისი ლოგიური გაგრძელება პპოვა სოციალისტური ბანაკის არსებობის პირობებში. სადაც წესად მასობრივი რეპრესიები და დანაშაულის ლიკვიდირებისათვის ეწ. ბრძოლა ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 60-იან 80-იან წლებში საბჭოთა დოკუმენტებში გარკვეული შერბილების ტონები გამოჩნდა და აცენტები დანაშაულის პროფილაქტიკაზე გადაიტანეს, რეალურ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. დამნაშავეთა საჩვენებელი სისასტეკით დასჯა, მათი ხელახლი აღზრდის საქმეში საზოგადოების მონაწილეობა, საზოგადოების მიერ დამნაშავეთა განურჩეველი გაკიცხვა, მათ მიმართ ყალბი ჰუმანურობა ყოველდღიურობად იქცა.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკა კი მირითადად ეწ. ბავშვთა ოთახებსა და პედაგოგ-ორგანიზატორებს პქონდათ მინდობილი, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში სუსტი მომზადებისა და შესაძლებლობების ქალი მილიციელები, ან არც თუ ძლიერი პედაგოგები იყვნენ.

შესაბამისად მთელი ეს სერიოზულზე, სერიოზული პრობლემა ფორმალიზმამდე იყო დაყანილი.

ბევრი არაფერი შეცვლილა ამ თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოიცალა იმ მოზარდებისათვის, რომელთაც მშობლების უურადღება მოაკლდათ, ქვეყანაში გამეფებულმა კორუფციამ, დანაშაულებრივმა სივრცემ, სადაც პირველი სიტყვა ეწ. შავ სამყაროსა და „კანონიერ ქურდებს“ ეპუთხოდათ, სიდუხეჭირებ, უნიჭოდ განხორციელებულმა სასკოლო რეფორმებმა და სხვა, განსაკუთრებული დაღი დაასვა არასრულწლოვანთა ფინანსების და მათ შორის დანაშაულმა იმატა. დანაშაულის პროცესიაქტიკისა და აღკვეთის საქმეს ცედი სამსახური გაუწია ისეთმა არაჯანსაღმა მოვლენებმა, როგორსაც აღილი პქონდა და აქვს სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლოსა და სასჯელადსრულებით ორგანიზაციებში. ვერ ვიტყვით, რომ არაფერი კეთდება არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ მდგომარეობა ოპტიმიზმს ბადებს.

სამწუხაროდ, დანაშაულზე სახელმწიფოს რეაგირების პოლიტიკაში, მიუხედავად პერიოდული პროგრესული დეკლარაციებისა, გამოიყენება უფრო მეტად ცედი საშუალებები და სერხები, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკაზე და არა სტრატეგიულ ამოცანებზე. ამდენად სახელმწიფოს მიერ ხშირად იქმნება აქტუალური საკითხების გადაწყვეტის ილუზია, მაგალითად ისეთის, როგორიცაა დამნაშავის იზოლაცია და როგორც იტყვიან „გაპიარება“, ბუნებრივია ამით გარკვეული შედეგი, მაგალითად, დამნაშავისადმი საზოგადოების ნეგატიურად განწყობა მიიღწევა, მაგრამ დანაშაულის წარმოშობის მიზეზები იჩქმალება და რეალური პრობლემები გადაუწყვეტებელი რჩება.

სამწუხაროდ დანაშაულზე რეაგირების პოლიტიკა ჩვენში არ გულისხმობს დაზარალებულზე ზრუნვის (ზარალის ანაზღაურება, ფინანსურიზაცია ან სხვა საჭირო დახმარების აღმოჩენა), დაბალია პროცესიაქტიკის დონე იმათ შორისაც ვინც მოიხადა სასჯელი და საზოგადოებას დაუბრუნდა, სახელმწიფოს ზრუნვის გარეშემა ის მარგინალური ჯგუფებიც, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ამ სიტუაციებიდან კანონიერი გზებით თავის დაღწევის იმედი მათ მხოლოდ სახელმწიფოსაგან აქვთ.

დანაშაულის პროცესიაქტიკა, მათ შორის არასრულწლოვანთა შორის, ტრადიციული მიღგომებით

შეუძლებელია. ამიტომაცა, რომ თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია არსებული წესებისა და კანონებისადმი მორჩილების და არა კანონდარღვევების კვლევაზე. ე.ი. შეისწავლება არა იმდენად დანაშაულის ჩადენის მიზეზები, რამდენადაც დანაშაულისაგან თავის არიდების (შეკავების) მიზეზები. შესაბამისად ორიენტაციაა არა დანაშაულის ადგენიასა და ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებაზე, არამედ იმაზე, რომ აღმოიყვერას დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში, დამკიოდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები.

- დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვიწოდებენ ადმინისტრატიულ-დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სიციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ. განსაკუთრებით რისჯ-ჯგუფებისა და ფსიქოლოგიურ-სოციალურ განვითარებაში გადახრების მქონე მოზარდებისათვის. ს. ბელიქევა თავის ნაშრომში „პრევენციული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ [2] მიუთითებს, რომ პრევენციული პროგრამებისა და ზომების განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკას გარკვეული საერთო ტენდენციები და პრინციპები ახასიათებს. მათ შორის:
- აღმზრდელობით-პროფილაქტიკური საქმიანობის პროფესიონალიზაცია. სოციალური მუშაკების, სოციალური პედაგოგების, სოციალური რეაბილიტაციორების, პრაქტიკული ფსიქოლოგების მოზარდება და საქმიანობა, რომლებიც მუშაობენ მოზარდთა შესაბამის კოლექტივებთან და მათ ოჯახებთან.
  - სპეციალური პრევენციული ცენტრებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც მუშაობენ მოზარდებთან, ოჯახებთან, ბავშვებთან, უწვენ მათ სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახმარებას (ფსიქოლოგიური სამსახურები და კონსულტაციები, ნდობის ცენტრები, სარეაბილიტაციო და გართობის ცენტრები, კრიტიკულ სიტუაციებში ჩავარდნილ ბავშვთა და მოზარდთა თავშესაფრები და სხვა).
  - ოჯახის, როგორც უმთავრესი სოციალური ინსტიტუტებს ადარება და სპეციალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ღონისძიებების გატარება მათი გაძლიერებისა და გაჯანსარებისათვის.

- სხვადასხვა სოციალურ და ფსიქოლოგიურ გადახრის მქონე მოზარდების რეაბილიტაცია.

კარგად გვესმის, რომ აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს საჭიროებს. მაგრამ, როგორც იტყვიან იგი ამად ღირს, რამდენადაც მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდასთანაა დაკავშირებული. უდაოდ გაადვილდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ მას ექნება სისტემური ხასიათი და ადრეული ასაკიდან დაიწყება. სახელმწიფოსთან ერთად ამ მნიშვნელოვან საქმეს არასამთავრობო სექტორიც უნდა გაუძლვეს. ზოგი რამ ამ მიმართებით ნამდვილად კეთდება, მაგრამ მას არ აქვს მიზანმიმართული და თანმიმდევრული ხასიათი. ვერცეროთ სერიოზული საქმე ვერ ითქმნს არათანხმიმდევრულობასა და ვპიზოდურობას, მაგრამ საქმიანობა რომელიც მიმართულია მოზარდების ჩამოყალიბების, მათში სამართლებრივი ცნობიერების ფორმირებისა და ზოგადად დანაშაულებრივი ქმედებისადმი მათი ხევარტიური დამოკიდებულების გამომუშავებისაკენ განსაკუთრებულ სიფრთხილეს, ზომიერებას, თანხმიმდევრულობას, კოორდინაციასა და დიდ პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს. ეს ის შემთხვევაა, რომ ცუდად კეთებას, საერთოდ პრობლემისაგან გვერდზე გადგომა სჯობია. და რამდენადაც ჩვენ ასეთი უყურადრებობის ფუფუნების უფლებას ჩვენს თავს ვერ მივცემთ, სახელმწიფომ ეველაფერი უნდა იღონოს, რათა დანაშაულის პრევენცია, განსაკუთრებით მოზარდთა შორის, თავისი ღირსების საქმედ აქციოს, ორგანიზაცია გაუწიოს სოციალურ კონტროლს ამ საქმიანობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მიღგომები და წინადაღებები არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს მიღგომები ორიენტირებულია დანაშაულის პრევენციაზე, რამდენადაც არასრულწლოვანთა დანაშაულის მინიმზაციისა და ამ პრობლემის დაძლევისათვის გაწეულ ყველა საქმიანობათა შორის სწორედ ეს უკანასკნელია ყველაზე ეფექტური.

მრავალ ღონისძიებათა და ნაბიჯებს შორის მიგვაჩნია ქვემოთ ჩამოვლილი მოსაზრებები ბევრად შეუწყობს ხელს დანაშაულის პრევენციას იმ გამოცდილებაზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც გამოიყენება ევროპის და არა მარტო ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.

1. საჭიროა შესწავლით იქნეს პენიტეციარული დაწესებულების, როგორც სოციალური ინსტიტუტის ფუნქციონირების საკითხები. კლასიფიცირებულ და შეჯერებულ იქნეს ისინი არებულ თეორიულ მიღებობთან. შესაბამისად ამაღლდეს სოციალური სტრუქტურების ქმედითობა და გავლენა მსჯავრდებულებზე.
2. შესწავლით იქნეს არასრულწლოვანთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების კონტროლის პროცესების სოციალური შემადგენლობა და სოციალურ-სტრუქტურული სივრცე, მიღებულ იქნეს ზომები მათი გაჯანსაღებისათვის.
3. განხორციელდეს პენიტეციარული დაწესებულების ფორმაციალური ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლა და გაანალიზება ემპირიული გამოკვლევის გატარების გზით; გაანალიზდეს სახელისუფლებო გავლენა ამ დაწესებულებების საქმიანობაზე. გამოკვლეულ იქნეს არასრულწლოვანთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე კონტროლის განხორციელების რესურსები სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის მხრიდან.
4. ემპირიული გამოკვლევის გატარების გზით განხორციელდეს არასრულწლოვანთა საზოგადოებრივ-სოციალური სტრუქტურის შესწავლა და გაანალიზება.
5. პენიტეციალურ დაწესებულებებში პროფილაქტიკური საქმიანობა უნდა წარიმართოს იმის გათვალისწინებით, რომ იზოლაციის დროს მოზარდები ეუფლებიან დახურულ პირობებში ადაპტაციის პრაქტიკულ ცოდნას, ასევე რეჟიმისა და კონტროლისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებებს. არასრულწლოვანი კანონდამრდველებისთვის პენიტეციარული სისტემა გახლავთ პოლიტიკურად დეგრემინირებული სოციალური ინსტიტუტი. პენიტეციარულ დაწესებულებებში არასრულწლოვან კანონდამრდველებთან მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა უნდა ითვალისწინებდეს სოციალური და კრიმინალური პოლიტიკის კონფიგურციის ცვლილებებს რომელიც განხორციელდა პოსტსაბჭოური პერიოდის განმავლობაში. არასრულწლოვანი კანონდამრდველების სოციალური კონტროლის თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყოფილ იქნა 4 ეტაპი, რომლებიც ასახავენ არასრულწლოვანთა დანაშაულის სოციალური კონტროლის შემადგენლობასა და ხასიათს საბჭოურ და პოსტსაბჭოურ სივრცეში, ესენია: “პროტექციონიზმი”, “რეაქცია”, “ორიენტაცია” და ჰუმანიზაცია”, “ასალი რეაქცია”.

6. სერიოზული განსჯის საგანად უნდა იქცეს დღეს არსებული მდგომარეობა, როდესაც პენიტენციალურ სისტემაში მოქმედებს კონტროლის სხვადასხვა ტიპი. სადამსჯელო ტიპი - მიმართული დისციპლინის დაცვისკენ, გაქცევების აღკვეთისა და არასრულწლოვანთა კანონდამრღვევების გამოაშკარავებისაკენ. “კონტროლნომინაცია” რეგულირდება ინდივიდუალური შეჯიბრების, განაწილების, ინდივიდუალური გასაუბრების გზით და არასრულწლოვანთა თავისებურებების გათვალისწინებით. “კონტროლ-სანქცია” რეგულირდება დასჯისა და დარწმუნების წესებით. სასჯელი დგინდება პრინციპით: “ჯგუფის ერთობლივი პასუხისმგებლობა ცალკეული წევრის დანაშაულზე”. კნტროლის “თერაპიული ტიპი” მიმართულია მოზარდთა გონებაში ხარვეზების ლიკვიდაციისაკენ და იზოლაციის პრიოდში უწევს მას ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. მასწავლებლები, ადსაზრდელებთან შედარებით, ფლობენ უფრო ნაბეჭდ გავლენას არასრულწლოვანებზე და შეზღუდული არიან მათ ქმედებაზე კონტროლის ინსტრუმენტებში. “კონტროლნომინაციისა” და “კონტროლი-სანქციის” მთავარი ინსტრუმენტია ქულებით შეფასება. მხარდაჭერა, ისევე როგორც, დასჯა ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს. ასეთი მეთოდები არც თუ იშვიათად ამართლებენ, მაგრამ მათი გამოყენებისათვის საჭიროა თითოეული მოზარდის ფსიქოლოგიის ზუსტი ცოდნა, რაც ჩვენს პირობებში და რესურსებით პრაქტიკულად შეუძლებელია.
7. ამდენად, პენიტენციალურ დაწესებულებებში არასრულწლოვანთა შიდა ჯგუფური კონტროლის უფრო გავრცელებული პრაქტიკა გახლავთ ფიზიკური ძალადობა და დაბეზდება. ორივე პრაქტიკა არასრულწლოვანებში ასახავს კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებს, რაც ერთდროულად ურთიერთარსებობის შედეგიც და პირობაცაა, სამწუხაროდ არც თუ იშვიათად ეს პრაქტიკა მხარდაჭერას პოვებს არა მარტო არასრულწლოვანების, არამედ პერსონალის მხრიდან. სავალალოა, რომ ასეთი მეთოდებით რეგულირდება დისციპლინი და წესრიგი მთლიანად დაწესებულებაში. ეს მდგომარეობა სასწავლო გამოსწორებას საჭიროებს.
- მიგაბანია, რომ ასეთი ვითარება სერიოზულ განსჯასა და ყურადღებას მოითხოვს, ალბათ საეციალური სამინისტრო, რომელსაც პრობაციის საკითხებზე მოუწევს მუშაობა სკურპულოზურად განსჯის აღნიშნულ საკითხების.

არასრულწლოვანთა განმეორებითი დანაშაულის აღკვეთისათვის ბრძოლა სულ მცირე სწორედ პენიტენციალურ სისტემაში უნდა დაიწყოს და ლოგიკურად გაგრძელდეს ახალგაზრდის საზოგადეობაში დაბრუნების შემდეგ.

### **ლიტერატურა:**

#### **References**

1. saqarTvelos konstitucia raizi, 2004, gv.1 (Georgian)
2. Adler F., Mueller G.O. W., Laufer W.S. New York, 1995. Criminology. Second edition. P. 160;
3. Graham J., Bennet T. Crime Prevention Strategies in Europe and North America. Helsinki. 1995. P. VIII;
4. Belbcheva C. A. Osnovi preventivnoi psirhologii/ M., 1994 (Russian)
5. Zabrianski G. I. Sociologia prestupnicti nesovershennoletnich. Minsk, 1997 c.90 (Russian)
6. Shestakov D.A. Ob upravlenii prestupnostiu // Problemi sovershenstvovania ispolzovaniya ugolovnich nakazanii// Pod. red. A.I. Vasileva. Riazan 1992.

**Sophie Dogonadze**

#### **Prevention – effective struggle against juvenile delinquency**

#### **Summary**

Georgia has implemented and streamlined the law system especially in the field of juvenile crime for the last two decades. The crime has acquired more cynical and degraded forms. The existing system requires new approaches and methods in order to prevent the above mentioned delinquency.

The article deals with the measures aimed at preventing juvenile crime. One of the most common punitive measures still remains to be imprisonment. The existing penitentiary system is far from being flawless and doesn't respond to the requirements of the modern Georgian society. In order to achieve desired goals it is essential to single out the efficiency of social control as one of the most important mechanisms for crime prevention. The social control in itself implies creating more flexible state ideology providing strengthening governmental influence on penitentiary system configuration and models of treating misbehavior. Based on the modern theoretical achievements the dialectical concept of social control in

“total Institution” has been elaborated and recourses and regulations of its implementations have been defined.

The system refinement requires a wide range of measures. Applying firm measures against primary delinquency can have even more negative feedback. Freedom limitation could encourage more aggressive reaction from imprisoned adults. The penitentiary system of juvenile delinquents is politically determined social institution. The modern practice toward juvenile delinquency encompass four stages: “protectionism”, “reaction”, “mild and liberal treatment”, “new reaction”.

Special centers should be established that will prepare the delinquents to adapt with outer environment after having served the term. The system refinement activities should be of regular and constant nature and it should embrace the society and the state.

**Key Words:** Juvenile delinquents, crime, law enforcement bodies, penitentiary system, prevention, social control, state, society, Georgia, ideology, protectionism, reaction, mild and liberal treatment, new reaction.

**Reviewer** – PhD of Law Jemal Janashia

**Догонадзе София Шотаевна**

**Превенция – основа эффективности борьбы с преступностью  
среди несовершеннолетних**

### **Резюме**

В Грузии за последние два десятилетия идет интенсивная работа по реорганизации правозащитной системы, в том числе в сфере борьбы с подростковыми преступлениями. Эти преступления основательно изменили свою структуру, стали более циничными и изощренными.

Реформирование существующей системы профилактики и правосудия в отношении несовершеннолетних происходит путем внедрения новых современных подходов.

В статье дан анализ существующего положения в деле профилактики правонарушения среди несовершеннолетних. Несмотря на изменения в законодательстве, направленные на смягчение карательных мер в отношении несовершеннолетних правонарушителей, одной из самых распространенных мер остается практика лишения свободы. Существующее на сегодняшний день положение в пенитенциарных учреждениях для несовершеннолетних правонарушителей оставляет желать лучшего. Функционирование пенитенциарной системы для несовершеннолетних правонарушителей не соответствуют задачам трансформации современного общества Грузии.

Основу работы составляет выделение задачи социального контроля, как основного подхода к исследуемой проблеме. Выдвигается задача возведения социального контроля противоправного поведения несовершеннолетних на уровне государственной идеологии, с целью усиления ее влияние на конфигурацию системы пенитенциарных учреждений и моделей обращения с воспитанниками. Основываясь на современных теоретических достижениях, разработана концепция анализа диалектики социального контроля в «тотальном институте»; выделены правила и ресурсы его осуществления.

Выдвигаются некоторые положения для совершенствования деятельности в этом направлении, в частности:

- подтверждается гипотеза о том, что функционирование первичного пенитенциарного учреждения для несовершеннолетних, по причине диалектики социального контроля в «тотальных институтах», сопряжено с непреднамеренными последствиями. Непреднамеренные последствия профилактической работы пенитенциарного учреждения выражаются в том, что за время изоляции подростки овладевают практическим знанием адаптации к закрытым условиям, способами сопротивления к правилам режима и контроля.

- пенитенциарная система для несовершеннолетних правонарушителей является политически детерминированным социальным институтом. Современная практика работы с несовершеннолетними правонарушителями в пенитенциарном учреждении должна содержать в себе четыре этапа, отражающие характер и содержание социального контроля преступности несовершеннолетних: «протекционизм», «реакция», «ориентация на гуманизацию» и «новая реакция».

- предлагается основать центры временной изоляции несовершеннолетних правонарушителей, которые займутся комплексной работой с несовершеннолетними, для подготовки их к успешной адаптации с обществом после отбывания наказания.

Улучшение профилактической деятельности среди несовершеннолетних не одноразовая работа, которую можно проводить эпизодично, необходимо спланировать и последовательно осуществлять комплекс мер с участием всего общества и государства.

**Ключевые слова:** несовершеннолетние, преступность, правоохранительные органы, пенитенциальная система, профилактика, социальный контроль, государство, общество, Грузия, идеология, протекционизм, реакция, ориентация на гуманизацию, новая реакция.

**Рецензент – доктор юридических наук Джемал Джанашия**

## ბეთლემიძე გეგი, ერმოლაევი სერგო

### ელექტრონული გინების განვითარების პრისამარტივები საჭარიველოში

საქართველოში ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ამას ვაკეირდებით სხვადასხვა სფეროებში, მრეწველობიდან დაწყებული, ფინანსური სტრუქტურებით დამთავრებული. განვითარებას იწყებს ელექტრონული კომერცია, რაც ჩანს ახალ რეალიზებულ პროექტებში. თანდათან ხორციელდება გადასვლა ინტერნეტის რესურსების ელემენტარული გამოყენებიდან ქსელის ექსპლუატაციის უფრო ტექნოლოგიურ ფორმებზე. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში ელექტრონული ბიზნესისათვის მიმზიდველ სფეროებზე, პირველ რიგში ცხადია, უნდა ავლნიშნოთ საბანკო სისტემა. იქ არის მოთხოვნა e-business - ზე, და მისი დანერგვისთვის აუცილებელი რესურსებიც.

მეორე მაგალითია სატრანსპორტო სფერო, დანერგვის შესაძლებლობით არამარტო ბილეთების გაყიდვისა, არამედ დამატებითი ელექტრონული მომსახურეობის გაწვისათვის, ისეთი, როგორიცაა სასტუმროებში ნომრების დაჯავშნა. ეს ყველაფერი არსებითი დამატებითი კაპიტალური დანახარჯების გარეშე, ასე რომ, ელექტრონული ბიზნესისათვის საქართველოში არსებობს გამოუყენებელი რესურსები.

ელექტრონული ბიზნესი საქართველოსთვის ფართო პერსპექტივებს სწორის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისათვის, იმიტომ რომ ელექტრონული ბიზნესი საშუალებას იძლევა მინიმუმადე დავიყვანოთ ზედნადები დანახარჯები და მთლიანად აღმოვფხვრათ მთელი რეტინა, რომელშიც ახლა იხტება მცირე ბიზნესი. ქსელში გარიგებების რაოდენობა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სწორედ ეს ბიზნესი მომავალში მიუხედავად შედარებით მცირე მოცულობისა, დაიწყებს ბიზნესის განვითარებას, გამოიწვევს მისდამი ინტერესს და მის სფეროში ჩაითრვებს სულ უფრო მრავალრიცხოვან კლიენტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის პროექტები, რომლებიც მუშაობენ ახალ, ჯერ კიდევ განუვითარებელ ან საერთოდ უნიკალურ ნიშებში. ისინი ითხოვენ დიდ პირველდაწყებით დროებით ფულად დანახარჯებს, რომლებითაც იფარება პერსპექტივების შეფასება, მაგრამ საბოლოო ჯამში, დიდი მოგების გარანტიასაც იძლევა. ზოგიერთი პერსპექტიული ნიშა

ზედაპირზე ძევს. უპირველეს ყოვლისა, თვით ქსელის ქართული სეგმენტის ზრდის დინამიკა მოწმობს, რომ ახლა საქართველოს ბაზარს ესაჭიროება წებ დაზაინერები. იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ვებდიზაინის სტუდიები თავისი ხელოვნების “ნაკადზე დაუკენებას”, იქნება დამოკიდებული მათი გაბიტალიზაცია.

და ბოლოს, კიდევ ერთი ნიშა, რომელიც პრაქტიკულად არ არის განვითარებული - ეს არის საერთაშორისო ბიზნეს პროექტები. მათი უმეტესობა დღეს წარმოადგენს ლოკალურ პროექტებს, ისინი ემსახურებიან ხელის მომწერებს მხოლოდ და მხოლოდ თავისი განლაგების ზონაში. ამასთან ცხადია, რომ ტელეკომუნიკაციები და საერთოდ, ინტერნეტ გარემო არაჩვეულებრივად განწყობილია გლობალურობისადმი, არა მხოლოდ შეთავაზების, არამედ მოთხოვნის თვალსაზრისითაც. ამის შედეგად, გარდაუვალია თანდათანობითი გადასვლა შრომის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან, სადაც არის ქსელი. წარმატებას მიაღწევენ ინტერნეტ კომპანიები, რომლებიც არ არიან მიბმული ლოკალურ ბაზრებთან და რომლებიც გამოიმუშავებენ უნივერსალურ პროდუქტებსა და მომსახურებას, რომელიც მისაწვდომია მთელ მსოფლიოში. მხოვლით ქსელური ბაზარი შეიძლება საქართველოს მომავალიც გახდეს.

როდესაც ვაკვირდებით საქართველოში ამ ბაზრის განვითარებას, ნათლად ჩანს, თუ რა ბევრია ჯერ კიდევ არარეალიზებული სერვისები, რა ბევრია კონკურენციისათვის თავისუფალი ნიშა, რამდენად დიდია მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ პროგრამისტებზე, მენეჯერებზე და დიზაინერებზე. ძალიან დიდი შესაძლებლობებია ქსელური პროექტების რეალიზაციისათვის მსხვილ ქალაქებში. ეს ბაზრები ჯერჯერობით ჩანასახობრივ მდგომარეობაში არიან, მაგრამ პოტენციალი მათი ზრდისათვის კოლოსალურია.

როდესაც ვახასიათებთ ელექტრონული ბიზნესის პრობლემებს საქართველოში, უნდა დავანაწილოთ ისინი საერთო პრობლემებად, რომლებიც მთელი მსოფლიოსთვის არის დამახასიათებელი, და იმ პრობლემებად, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ახასიათებს. მსოფლიოსთვის დამახასიათებელი პრობლემებიდან დღესდღეობით გამოყოფენ შემდეგ აქტუალურ პრობლემებს:

I) ციფრული ნადდი ფულის და გადახდის პრობლემა ინტერნეტ ში. ეს პრობლემა გაწნდა ელექტრონული ბიზნესის

გაჩენასთან ერთად. ელექტრონულ, ანუ როგორც კიდევ მას უწოდებენ, ვირტუალურ ბიზნესს უნდა ჰქონდეს გადახდის შესაბამისი სისტემა - ელექტრონული ან ვირტუალური. ციფრული გადახდის ტექნოლოგიები ყურადღებას იპყრობდნენ აგრეთვე როგორც მიკრო გადახდების რეალიზაციის საშუალება. წლების მანძილზე ჩამოყალიბებული საგადასახადო მექანიზმების ნელი და ფრთხილი ეკოლოგია ჯერჯერობით განვითარების ერთადერთი შესაძლებელი მიმართულება აღმოჩნდა.

2) კიდევ ერთი პრობლემა საქონლის დაბრუნებაა. ამერიკაში ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა, ვიდრე საქართველოში, რადგანაც ჩვენთან ინტერნეტ მაღაზიები ჯერჯერობით ლოკალური მოვლენაა. ქსელური მაღაზიების ხელმძღვანელობას აქვს შემდეგი პოლიტიკა: მაღაზია პირველივე მოთხოვნისთანავე ახორციელებს ფულის დაბრუნებას, თუკი კლიენტი უარს ამბობს საქონელზე მიზეზის ასენის გარეშეც კი. ასეთ ხარჯებზე (ისინი კი ცოტანი როდი არიან) მაღაზიის ხელმძღვანელობა მიდის იმიტომ, რომ ხალხს დადგებითი დამოკიდებულება პქონდეს ინტერნეტ მაღაზიებთან.

3) მიწოდება გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე გადახდა. სწორედ მიწოდებასთან სირთულეების გამო კომპანიები რეგიონში გაცილებით ნაკლებ საქონელს ყიდიან, ვიდრე ცხნილებში. თუ ავიდებთ საქონელზე უარის თქმის საერთო რიცხვს, აღმოჩნდება, რომ მათგან მხოლოდ სამი პროცენტი მოხდა იმის გამო, რომ არ იყო საკრედიტო ბარათებით დაგახდის საშუალება, ხოლო მიწოდების სისტემის არარსებობის გამო - 70 %. დასავლური გამოცდილება აჩვენებს, რომ ინტერნეტ მაღაზიებით გაცილებით უფრო მეტად სარგებლობებს ის მომხმარებლები, რომლებიც დაცილებულები არიან მსხვილი ქალაქებიდან. განვიხილოთ ელექტრონული ბიზნესის პრობლემები, რომელიც მხოლოდ საქართველოსთვისა დამახასიათებელი:

1) ელექტრონული ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის აუცილებელი ინფრასტრუქტურების არარსებობა. პირველ რიგში ეს კავშირის ინფრასტრუქტურაა. თუკი მყიდველი ვეტერნიდის ჩატვირთვას ელოდება რამდენიმე წუთს, მაშინ აქ არავითარ ელექტრონულ კომერციაზე საუბარი არ შეიძლება.

2) საქართველოში არ არსებობს საგადასახადო სისტემა. რასაკვირველია, არსებობენ ბანკები, რომლებიც განვითარებენ ელექტრონულ საგადასახადო სისტემებს, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი სისტემა, რომლის ფართოდ გამოყენება შეიძლებოდეს. თუკი ვსაუბრობთ საქართველოში

საგადასახადო სისტემებზე, აქ უნდა ავღნიშნოთ სამი თავისებურება. პირველი ონლაინ გადახდების ნიშა ცარიელია. დასავლეთში პრაქტიკულად ყველა გადახდა ინტერნეტში ხორციელდება ბარათებით. საქართველოში კი ორი პრობლემაა: ჯერ ერთი, მსხვილი ქალაქების, ისეთის, როგორიცაა თბილისი და ბათუმის გარდა, ისინი პრაქტიკულად არ არსებობენ. მეორეც, დედაქალაქშიც კი, სადაც ბარათები მრავლადაა, ისინი პასურები არიან. ხალხი იყენებს ბარათებს მხოლოდ ფულის განაღდებისათვის და არა მაღაზიებში საყიდლებისათვის.

3) საგადასახადო სისტემების ნდობის არარსებობა და ერთდროულად თაღლითობის მაღალი დონე. დასავლეთში, აშშ-ში მყიდველი დაზღვეულია მის ბარათოან თაღლითობისაგან, როგორც ქსელში, ისე მის გარეთაც, როგორც მორალურად, ასევე ფედერალური კანონის მიერ. ამ ბაზარზე უფრო აქტიური მოთამაშები, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე დასავლეთში, არიან მცირე დინამიური კომპანიები და ბანკები, რომლებიც ეძებენ თავიანთი კლიენტებისთვის უფრო ხარისხიანი მომსახურების გასაწევად ახალი ტექნოლოგიების საშუალებებს. ამასთან ერთად, სხვადასხვა ჯურის შეამავლები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ნებისმიერი საგადასახადო სისტემის მხარდაჭერაში, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლისა და მომხმარებლის პირდაპირ კავშირებს.

4) დღვენდებული ქართული ელექტრონული კომერციის ერთეული მთავარი პრობლემაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქართული ინტერნეტისათვის პოტენციალური საგადასახო სისტემა ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული თაღლითობისაგან, დაშვებული უნდა იყოს მცირე გადასახადები და ჰქონდეს გავრცელების დაბალი თვითლირებულება.

5) რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობასა და საერთოდ, სახელმწიფოს დამოკიდებულებას, ის ჯერ მზად არ არის. ნაწილობრივ დასახელვია იურიდიული ბაზაც.

6) საქართველოში ჯერ კიდევ იგრძნობა საქონლის მიწოდების საიმედო სისტემების დეფიციტი. პრაქტიკულად ყველა დიდი მაღაზია იძულებულია იქონიოს მიწოდების სამსახური, იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ არსებობენ ფირმები, რომელთა სპეციალიზაციაა საქონლის მიწოდება და რომელთა მომსახურებით სარფიანად სარგებლობენ ინტერნეტ მაღაზიები. ასეთი მომსახურების კომპანიების არარსებობა იწვევს პოტენციალური კლიენტების რიცხვის შემცირებასა და როგორც შედეგს, საწარმოს შემთხვევლის შემცირებასაც კი.

7) ქართულ ბაზარზე მუშაობის ერთერთ თავისებურებას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ინფორმაციის თითქმის სრული არარსებობა. განვითარებად კომპანიებს სჭირდებათ მონაცემები და პროგნოზები ბაზრის მდგომარეობის შესახებ, ისინი კი პრაქტიკულად არ არსებობენ. კომპანიები იძულებული არიან თვითონ ჩატარონ საკუთარი გამოკვლევები, გააკეთონ საკუთარი შეფასებები, მაგრამ ეს ცოტაა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაჩნდა ბიზნესის ახალი სახე - ინტერნეტ ბიზნესი. ის საფუძვლიანად განსხვავდება ჩვეულებრივი, არაქსელური ბიზნესისაგან, ვითარდება ისევე სწრაფად, როგორც თვითონ გარემო. ინტერნეტი ვირტუალურ ბაზარზე მუშაობის საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მცირე ბიზნესის საწარმოების დანახარჯებს; საშუალებას იძლევა არსებითად გაზარდოს პოტენციალური კლიენტების წრე საქართველოსათვის ამ ბიზნესის ერთერთ ხელსაყრელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ის (ბიზნესი) არაჩვეულებრივად მიზიდველია დასავლური ინვესტორებისათვის. ეს კი მოცემულ მომენტში საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია: ეკონომიკას დღეს სჭირდება ფულადი სახსრები მცირე ბიზნესის განსავითარებლად, მსხვილი ბიზნესისათვის კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, რაც ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ მეწარმეობის ახალი სახის ღირსებებთან ერთად, ჩნდება პრობლემებიც. ძირითადში ისინი დაკავშირებული არიან საქართველოს განუვითარებელ საბეჭდეფო სტრუქტურასთან და მეწარმეების გამოუცდელობასთან ბაზრის მოცემულ სეგმენტში. ამას გარდა, საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა მმართველი პერსონალისა და მომსახურე პერსონალის ახალი თაობა, რომელსაც ეფექტურად შეეძლება მუშაობა ელექტრონული მომსახურების ბაზარზე. არ არსებობენ ინტერნეტ პროექტებზე დასპეციალიზებული საინვესტიციო კომპანიები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ბაზრის განვითარებას, კაპიტალის გარეშე კი უკელაზე ორიგინალური იდეაც არაფერს არ ნიშნავს. საქართველოს ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადამიანების უმრავლესობის აზრი ინტერნეტის შესახებ უარყოფითია. საქართველოში ელექტრონული მომსახურების ბაზარი ჯერჯერობით სრულყოფილი არაა და შორსაა

დასავლურისაგან, მაგრამ ქართველი მეწარმე შეგნებულად მიდის ამ სირთულეებზე, ხედავს რა ამ ბაზრის პერსპექტივებს. ამას მოწოდებ ახალი ინტერნეტ პროექტები. ქართველი მეწარმე ასევე სარჯავს თავის სახსრებს ელექტრონული მომსახურების ბაზრის, მისი განვითარებისა და იმ სტერეოტიპების შესასწავლად, რომლებიც ჩამოუყალიბდა ხალხს. ჩვენ ვიმედოვნებოთ, რომ ეს ძალისხმევა უქმად არ ჩაივლის და ინტერნეტ ბიზნესი საქართველოში ისეთივე მომგებიანი და მიმზიდველი გახდება, როგორც დასავლეთის ქვეყნებში.

### **ლიტერატურა:**

#### **References**

1. Yarovo V.I. – “Sovremenniy menegemnt: teoria I praktika;”, 2003. (Russian)
2. Grabadurov V. A. – “Informacionnie technologie dlja menegerov”, 2004. (Russian)
3. Andreeva F. V. – “Elektronnaia kommercia”, 2004. (Russian).

**Betlemidze Gogi, Ermolaev Sergo**

#### **Electronic Business Development Prospects in Georgia**

#### **Summary**

In conditions of market economics in Georgia, there was appeared the new type of business – internet business. It absolutely defers from the typical, non-network business, it is developing as fast as surroundings itself. Internet allows you to work on virtual market that significantly reduces expenses, gives you possibility to increase circle of potential clients. One of the most profitable originality of this business is that it represents an attractive business for western investors. And this all is very important for Georgia at this moment: today Georgian economics really needs money sources for developing business, creating concurrent atmosphere for large business that represents the basis of economics for any developed country.

But with the new type of advantages of entrepreneurship, problems appear too. Basically they are related with an undeveloped telephone structure of Georgia and inexperience of owners in given segment. In addition, a new generation of ruling and serving personnel has not formed yet in Georgia, which could effectively work in electronic service market. There are no

investing companies that are specialized in internet projects that significantly reduce development of this market, without capital even the most original idea is nothing. The biggest problem of Georgia is that by the opinion of most people about using internet in business, is sufficiently negative. Today in Georgia, market of electronic service is not improved and is quite far from western one, but Georgian entrepreneur consciously goes to this complication, foresees the prospects of this market, which is proved by new internet projects. Georgian entrepreneur also spends its sources for studying and developing electronic service market and stereotypes that are formed in minds of people. We hope that this strong desire will not go wrong and internet business in Georgia will be such profitable and attractive as it is in western countries.

**Keywords:** Internet, entrepreneurship, electronic business, infrastructure, Georgia, electronic services, Internet projects, Georgian economy, Georgian market.

**Reviewer** – professor Genadi Iashvili, Georgian Technical University

**Бетлемидзе Геги Василиевич, Ермолаев Сергей Викторович**

### **Перспективы развития электронного бизнеса в Грузии**

#### **Резюме**

В условиях рыночной экономики в Грузии появился новый вид бизнеса - Интернет-бизнес. Он абсолютно отличается от обычного, не сетевого бизнеса, и развивается так быстро, как окружающий мир. Интернет позволяет работать на виртуальном рынке, что существенно сокращает затраты и дает возможность увеличить круг потенциальных клиентов. Одним из наиболее прибыльных особенностей этого бизнеса заключается в том, что он представляет собой привлекательный бизнес для западных инвесторов. Это очень важно для Грузии на данный момент: сегодня грузинская экономика нуждается в источнике денег для развития бизнеса, создание конкурентных условий для крупного бизнеса, что является основой экономики любой развитой страны.

Но при наличии преимуществ нового предпринимательства, появляются и новые проблемы. В основном они связаны с неразвитой телефонной структурой Грузии и неопытностью предпринимателей в данном сегменте. Кроме того, новое поколение управляющего и обслуживающего персонала еще не сформированы в Грузии, которые могли бы эффективно работать на рынке электронных услуг. Нет инвестиционных компаний, которые специализируются на поддержку

интернет-проектов, что значительно снижает развитие этого рынка, без капитала даже самая оригинальная идея - ничто. Самая большая проблема заключается в том, что, мнения большинства людей об использовании Интернета в бизнесе, являются достаточно негативными. Сегодня в Грузии, рынок электронных услуг не развит и очень далек по уровню от западных, но грузинские предприниматели сознательно идут на сложности, предвидя перспективы этого рынка, что подтверждают новые интернет-проекты. Грузинские предприниматели также приводят свои источники по изучению и разработке электронных услуг рынка и стереотипов, которые формируются в сознании людей. Мы надеемся, что это сильное желание не будет напрасным и Интернет-бизнес в Грузии будет таким же прибыльным и привлекательным, как в западных странах.

**Ключевые слова:** интернет, предпринимательство, электронный бизнес, инфраструктура, Грузия, электронные услуги, интернет-проекты, грузинская экономика, грузинский рынок.

**Рецензент** - профессор Геннадий Яшвили, Грузинский технический университет

# რ ს ტ ე რ ი ს

## ია ხუბაშვილი

### დანტე – Una Italia და უნივერსალური მსოფლიო მონარქიის იდეის ფარმმდეგაცნი

XIII-XIV საუკუნეებში იტალია რჩებოდა პოლიტიკურად დაქუცხაცებულ ქვეყნად. მისი დეცენტრალიზაციის მთავარ განსაკუთრებულობას წარმოადგენდა დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების უზარმაზარი რიცხვი ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში (70 ქალაქი). ისინი სუვერენიტეტის ფართო უფლებებით გამოირჩეოდნენ: ჰყავდათ თავისი არმია, ფინანსები, არჩევითი ადმინისტრაცია. შეეძლოთ კანონების მიღება და ა.შ. პოლიტიკური პოლიცენტრიზმის პირობებში გარდაუვალი ხდებოდა მეტოქეობა მსხვილ და გავლენიან ქალაქებს შორის და თანაც არამარტო სავაჭრო-ეკონომიკური ოკალსაზრისით. შეირადებულ პოლიტიკურ ბრძოლას იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების შორის თან სდევდა იდეოლოგიური აკომპანიმენტი, რომელშიც მქეოთრად ქდერდა მთავარი თემა – თავისუფლების შენარჩუნება. საქმე ეხებოდა არამარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, აგრეთვე კონსტიტუციურ მოწყობასაც, რომელიც ქალაქის სტატუტებით იყო განმტკიცებული. ნახვარკუნძულზე არსებული სახელმწიფო ფორმების მრავალ ფეროვნება (რესპუბლიკა, სინიორია, მონარქია) სპეციფიკური იტალიური პირობებიდან გამომდინარე თავისუფლებას რესპუბლიკასთან აიგივებდა. ეს განისაზღვრებოდა ქალაქ-სახელმწიფოების პოლიტიკური განვითარებით, რომელიც XIII საუკუნეში დაიწყო საშინაო კონფლიქტების გავლენით და დაკავშირებული იყო ქალაქებში ძალაუფლებისათვის ბრძოლასთან, ევროპიით-რესპუბლიკიდან სინიორისაკენ. ქალაქის თვითმმართველობის ორგანოები სინიორიის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა, რომელსაც თავიდან ხელისუფლება ანდეს ქალაქში წესრიგის დასამყარებლად, პარტიებსა და კლანებს შორის ბრძოლის დასაზვავებლად. უკვე XIII საუკუნის ბოლოს სინიორია წარმოიშვა მილანში, ფერარაში, მანტუაში. რესპუბლიკური წყობა XV საუკუნის დასაწყისისთვის შენარჩუნებული იყო

ვენეციაში, გენუაში, ფლორენციაში, სიენაში, ლუკასა და სხვა ქალაქებში.

იტალიაში პოლიტიკურმა პოლიცენტრიზმა და სახელმწიფო სისტემების მრავალფეროვნებამ, ისევე, როგორც სხვა ფაქტორებმა, მნიშვნელოვნად განაპირობა რენესანსული კულტურის განვითარების განსაკუთრებულობა ქვეყანაში – ისიც პოლიცენტრული იყო და გამოირჩეოდა იდეური მიმდინარეობების ფართო სპექტრითა და სტილისტური მიმართულებით. კულტურულ პროცესებს დინამიზმს აძლევდა ქალაქებს შორის დიალოგი, რომელშიც სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთად (სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური) ჩართული იყვნენ ასევე ინტელექტუალთა სხვადასხვა ფენები, რომლებიც ეწეოდნენ პატრიოტულ პროპაგანდას. ადგილობრივი პატრიოტიზმის პოზიციების განმტკიცებას ხელს უწყობდა ქალაქის ისტორია და მისი კულტურული მიღწევები. პროპაგანდისტულ ბრძოლაში განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ჰუმანისტების რილი, რომლებიც გამოირჩეოდნენ ანტიკური კულტურის დრმა ცოდნით, ადგილობრივი ლიტერატურულ-ისტორიული ტრადიციებით და შესანიშნავად ფლობდნენ თრატორულ ხელოვნებას (ჰუმანისტებს სშირად დიპლომატიურ მისიებსაც ანდობდნენ). ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჰუმანისტების მწვავე კულტურულ-პოლიტიკური დიალოგი, რომელიც მილანსა და ფლორენციას შორის წარმოებდა XV საუკუნის დასასრულს.

ჰუმანისტებისათვის სამოქალაქო ცხოვრებისა და სახელმწიფოების ნორმად იქცა ძველი რომი და რომის სამართალი. ჰუმანიზმის აღმოცენებას პოლიტიკური ჰოტივები ჰქონდა; საერო ხელისუფლებამ XII საუკუნიდან სახელმწიფოს პრაქტიკაში შემოიტანა რომის სამართალი. პოლიტიკის სეკულარიზაციამ და სოციალურმა ცხოვრებამ, საერო ცხოვრებაზე აქცენტირებამ, ღვთაებრივი ელემენტების მნიშვნელობის შემცირებამ და ადამიანური ღირსების წინ წამოწევამ საზოგადოება მოამზადა ახალი იდეების მისაღებად და ინტელექტუალური აქტივობის გაზრდისათვის. ჰუმანისტებმა დაიწყეს განმაახლებლის როლის შესრულება ქალაქის მუნიციპალურ ინსტიტუციაში. ბევრი მათგანი კანცლერი იყო ან სინიორიის აპარატში მუშაობდა.

ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ბრძოლას პირველობისთვის თან სდევდა საგარეო პრობლემებიც. რომის საღმრთო იმპერია, საფრანგეთი და ესპანეთი ცდილობდნენ თავიანთი გავლენის სფეროდ ექციათ ეს უმდიდრესი ქვეყანა. ამას ემატებოდა ისიც, რომ პაპობა, რომელიც თავს „ქრისტეს

მოადგილედ” თვლიდა, საერო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. XIII საუკუნეში რომის საღმრთო იმპერატორებსა და პაპებს შორის ატენილმა ბრძოლამ თრი სამკუდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პარტია წარმოშვა იტალიაში გველფებისა და გიბელინების სახით. მთელი იტალია ამ პარტიულ პოლიტიკურ ბრძოლაში იყო გახვეული. მანამდე კი, 800 წლის 25 დეკემბერს კარლოს დიდმა რომში გერმანელი იმპერატორების კორონაციის ტრადიცია დაამკვიდრა. შესაძლოა, თავის დროზე რომს დიდი ილუზიები გაუდვიძა ახალი ცეზარული სახელმწიფოს აღდგენამ. თუმცა, როგორც შემდგომში ისტორიამ დაამტკიცა, მას სისხლის მეტი არაფერი მოუტანია არც იტალიისათვის და არც გერმანიისათვის.

რომის საღმრთო იმპერია 962 წელს დაარსა ოტოI-მა, რომელსაც XII საუკუნეში კიდევ თრი სიტყვა დაემატა და ამიერიდან იგი იწოდებოდა „გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერიად”. ოტოს ვაჟმა ოტო II-მ იცნება დაიწყო მთელი ქრისტიანული დასავლეთის მომცველი სახელმწიფოს შექმნაზე რომლის დიდაქალაქი რომი იქნებოდა, საკუთარი სასახლეც იმ ადგილას მოაწყობინა, სადაც ოდესდაც რომის იმპერატორები ცხოვრობდნენ. 1046-1058 წლებს „გერმანელ პაპთა ეპოქას” უწოდებდნენ. პაპები ეკლესიის რეფორმირებაში იმპერატორს ეკრძნობოდნენ. გერმანელი იმპერატორების რეფორმატორული სწრაფვა კი მიმართული იყო საიმპერიო ეკლესიის სისტემის განმტკიცებისაკენ. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ჰოპენშტაუფენთა მესიანისტური დინასტიის კველაზე ძლიერი წარმომადგენლის ფრიდრის II-ს დროს (1194-1250), რომელსაც თავისი განსწავლულობით ხშირად აღორძინების ხანის პირველ ადამიანს უწოდებს. იგი შესანიშნავად იცნობდა ანტიქურ ფილოსოფიას, ნაზიარები იყო არაბულ ფილოსოფიასა და კულტურას და ბუნებით კოსმოპოლიტი ოცნებობდა ისეთი მსოფლიო იმპერიის შექმნაზე, რომელ შიც გერმანიასთან ერთად შევიდოდა იტალია, საფრანგეთი, იერუსალიმი, ეგვიპტე იმპერიის ტერიტორია ბალტიის ზღვიდან მონდოლეთის სტეპებამდე უნდა ყრფილიყო გადაჭიმული. ამიტომაც ფრიდრის II-ის პოლიტიკური ინტერესების სიმძიმის ცენტრი მდებარეობდა არა გერმანიაში, არამედ იტალიაში. 1229 წელს ეგვიპტის სულთანთან ალ-ჯამილთან დადებული ხელშეკრულებით მან დიპლომატიური გზით დაიბრუნა იერუსალიმი, ბეთლემი, და ნაზარეთი ათი წლით, ანუ ის, რაც ჯვაროსნებმა ცეცხლით და მახვილით ვეღარ დაიბრუნეს. 1229 წლის მარტში ქრისტეს საფლავის ტაძარში ფრიდრის II ჰოპენშტაუფენმა იერუსალიმის მეფის გვირგვინი საკუთარი

ხელით დაიდგა თავზე. იერუსალიმის უბრძოლველად გათავისუფლება მუსლიმებისაგან მჭიდროდა დაკავშირებული გერმანელი იმპერატორების განსაკუთრებულ როლზე კაცობრიობის ისტორიაში. ისინი თავს ყოველთვის თვლიდნენ ქრისტიანული სამყაროს წინამდღოლებად, რადგანაც მიაჩნიათ, რომ რომის საღმრთო იმპერია, დანიელ წინასწარმეტყველის თანახმად, უკანასკნელ მსოფლიო იმპერიას წარმოადგენდა, და რომ კაცობრიობა საშინელ სამსჯავროზე სწორედ გერმანელი იმპერატორის მეთაურობით უნდა წარმდგარიყო. 1250 წელს, როცა ფრიდრიხ II გარდაიცვალა, ლეგენდაც კი შეთხეს, თითქოს იმპერატორი კი არ გარდაიცვალა, არამედ საიდუმლოდ გაქრა, რათა სამყაროს დასასრულს გამოჩნდეს, ეკლესიის რეფორმაცია მოახდინოს და მსოფლიო მეფობა დაამყაროსო. ეს ლეგენდა იმდენად პოპულარული იყო, რომ მთელი შეუ საუკუნეების მანძილზე იტალიისა და გერმანიაში გამოჩნდნენ თვითმარქვიები, რომლებიც თავის თავს ფრიდრიხ II-ს უწოდებდნენ.

ფრიდრიხ II-ის პალერმოს სასახლის კარი დია იყო არაბი მეცნიერებისათვის. სწორედ არაბებმა შეითვისეს ანტიკური ფილოსოფია და მათი მეშვეობით დაიბრუნა ევროპაში ის. ჰუმანისტები არაბული თარგმანებიდან ეცნობოდნენ არისტოტელესა და პლატონს, ფრიდრიხ II-ს ბრძანებით არისტოტელე არაბულიდან ლათინურად თარგმნეს. თვითონ იმპერატორი სასახლეში გამართულ ფილოსოფიურ აკადემიას თავმჯდომარეობდა და აქტიურად მონაწილეობდა დისპუტებში, პაპობა, რომელიც თავგამოდგებით იბრძოდა არაქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და კულტურას, ერეტიკოსებად ნათლავდა კველას. სავსებით გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ არაბთა ზეგავლენის გარეშე, რაც ფრიდრიხ II-ის დამსახურება იყო, ძველი ბერძნული კულტურა XII-XIII საუკუნეების ევროპაში ვერ შემოიტრებოდა და ცხადია, იტალიური რენესანსიც არ დაიგვიანებდა, ან საერთოდ არ იქნებოდა.

ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ბადდადში თავისუფალი მეცნიერული კვლევის იდეა დაუპირისპირდა ყურანის დოგმატურ სწავლებას. ომაბიდებმა ეს მოძრაობა ესპანეთში გადაიტანეს და ცენტრად აქციეს კორდოვას ფილოსოფიის სკოლა. XII საუკუნეში ამ მოძღვრებას არაბი მწიგნობარი ავეროსი ქადაგებდა. ავეროსი კვლესიამ ათეიზმის ფუძემდებლად გამოაცხადა. ის რელიგიისადმი გულგრილობას ქადაგებდა. მისი სწავლების მიხედვით, ყოველი ადამიანის სინდისი თავისუფალი უნდა იყოს ქეთილისა და ჰეშმარიტის

შესაცნობად. ამიტომაც მთელ იტალიას მოედო არაბული სკეპტიციზმი, რელიგიისადმი გულგრილობა და რაციონალიზმი. აქვე ისიც უნდა აღვნიშოთ, რომ ავეროსი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ფრიდრიხ II-ის სასახლის გარზე.

კათოლიკური ეკლესია ენერგიულად ებრძოდა რაციონალიზმს, რომელმაც ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქამდე იჩინა თავი, თუნდაც, პალერმოელ სიბრძნის შეტყველთა და მათ მიმდევართა შორის. ასეთი ატმოსფერო სუფენდა მანამდე, სანამ დაწერ არ გამოჩნდა.

ეპოქაში, რომელშიც დაწერ ცხოვრობდა, უკვე აღარც პაპი და არც იმპერატორი აღარ ასრულებდნენ მითიურ პოლიტიკურ როლს. ამიტომაც დაწერს ტრაქტატმა “De Monarchia” ფართო მნიშვნელობა შეიძინა და თავისი უნიკალურობა გამოავლინა. ის მკვეთრად განსხვავდებოდა ნეტარი ავგუსტინეს, თომა აქვინელისა და მათი მიმდევრების – პავლე ოროზიას, ანგელობერტისა და გვილო ვერნანის მოძღვრებებისაგან. წინააღმდეგობაშია ფრანგი იურისტების თეორიებთანაც, რომლებიც თვითმყოფადი ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძოდნენ და არ აღიარებდნენ მსოფლიო საერო იმპერიას. და ბოლოს, ის განსხვავდება ასევე ოკამასა და მარსილიო პადუელის წმინდა პოლიტიკური კონცეფციისგან საერო და სასულიერო ძალაუფლების დაყოფის შესახებ. დაწერს ტრაქტატი შეიცავს რელიგიურ და ზნეობრივ იდეალებს, მსოფლიო მონარქის იდეალურ სახეს, რომელიც სრულიად არ ჰგავს შუა საუკუნეების ეპოქის სიუზრუნებს, უფრო ნაკლებად კი, მაკიაველის ტრაქტატის ტირანებს.

იტალიური აზროვნების კორიფეს დაწერ ალეგიერის პოლიტიკური მსოფლმხედველობა კოსმოპოლიტიზმის ელემენტებზეა აგებული. ამაზე თვითონ სამშობლოდან განდევნილი პოეტის სიტყვებიც მეტყველებს: “ჩემი სამშობლო ყველგანაა, მთელს მსოფლიოში” (1, 376). დაწერს ტრაქტატი De Monarchia იტალიის გაერთიანების იდეაზეა აგებული. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს 1312-1313 წლებში დაწერს ვერონაში ყოფნის დროს კან გრანდე დელა სკალას სასახლის კარზე-ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გიბელინების ინტერესების დასაცავად. ამ აზრს ანვითარებს რიჩი, ცინგარელი, ერკოლი და სხვები. უდიდესი დაწერებობი მიქელე ბარბი ბოკაზოზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ეს ტრაქტატი დაწერ პაინრის VII-ის ლაშქრობის დროს დაწერა.

პაინრის VII ლუქსემბურგელი 1309 წელს აახენში აკურთხეს მეფედ. ის რომის საღმრთო იმპერიის აღდგენას აპირებდა და ამიტომაც 1311 წელს მილანში იმპერატორის გვირგვინი დაიდგა თავზე. დანტე პაინრის VII-ში უნივერსალური მონარქიის სულის ჩამდგმელსა და Una Italia-ს იდეის რეალიზაციონს ხედავდა, ამიტომაც იმპერატორს მისასალმებელი წერილი გაუგზავნა. დანტეს ერთ-ერთი მკვლევარი პლემპტი ამტკიცებს, რომ პოეტი იმპერატორს პარიზის უნივერსიტეტში შეხვდა. შემდგე მილანშიც ეახლა, მაგრამ როცა ის ფლორენციისქვენ დაიძრა, გაეცალა, რათა მჟობლიური ქალაქის დაპყრობაში წილი არ დაედო. პაინრის VII-ის ლაშქრობით დამფრთხალმა ფლორენციამ 1311წ. ორი ამნისტიი გამოიჭვეუნა, თუმცა დანტეს არცერთი არ შეხებია. გერმანელი იმპერატორი ნეაპოლის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ სიენაში ის მოწამდეს. დანტესთვის მისი მოულოდნელი სიკვდილი პოლიტიკური იმედების კრახი იყო. ამგარად, რეალობამ არ მისცა შესაძლებლობა დიდ იტალიელს შეხვედროდა მონარქს, რომელიც თავისი ბრძენი მრჩევლის ღირსეული იქნებოდა.

პოლიტიკურ ტრაქტატში *De Monarchia* (მონარქის შესახებ) სამი უმთავრესი საკითხია დასმული: 1) მსოფლიო მონარქიის აუცილებლობა; 2) რომაელი სალხის განსაკუთრებულობა; 3) ორი მახვილის საკითხი (საერო თუ სასულიერო მონარქიის უპირატესობა). ტრაქტატზე მუშაობისას დანტე ეყრდნობოდა არისტოტელეს, ციცერონის, ევალიდესა და ავეროსის შეხედულებებს საერო მსოფლიო მონარქიაზე და ამასთანავე სიამაყით აცხადებდა: “... რათა პირველმა მოვიხევჰო გამარჯვების პალმა ესოდენ დიდ შეჯიბრში და ვაუწყო ქვეყნიერებას ჭეშმარიტება, რომელიც ჯერ არავის გამოუკვლევია”. (2, 147)

ავეროსის მეტაფიზიკურ მოძღვრებაზე და არისტოტელეს “სულზე” დაყრდნობით დანტე ანგითარებს თეორიას დედამიწაზე ადამიანთა ერთიანი საზოგადოების არსებობის შესაძლებლობაზე. ამისთვის კი, მისი აზრით, საჭიროა არა მარტო აზროვნება, არამედ პრაქტიკული მოქმედებაც. სახელმწიფო სეპულარიზაციის იდეა XIV საუკუნის იტალიისა და საფრანგეთში უკვე მუსირებდა. დანტე ისწრაფის მიიღოს ეს იდეა ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობისთვის, უფრო მეტიც, გამბედობით ის შორს მიდის თავისი თანამედროვეებისაგან, როდესაც ციტირებას

ახდენს ბიბლიიდან: “ისმინე ისრაელო, ღმერთი შენი ერთია.” (1, 25)

დანტეს ბოლონიაში იურიდიული განათლება პქონდა მიღებული, რაც ნათლად იგრძნობა მის მთელ შემოქმედებაში. მისი აზრით, ერთიან იმპერიას ერთიანი უმაღლესი სასამართლო უნდა პქონდეს. დანტეს კაცობრიობის უნივერსალურ მიზნად მსოფლიო მონარქიის შექმნა მიაჩნდა, რომელიც ადამიანებს დედამიწაზე უზრუნველყოფდ სამართლიანობით, აღკვეთდა ომებსა და ურთიერთდაპირისპირებას. დანტეს აზრით, “თავისუფლება ადამიანისათვის ღმერთისგან ბოძებული უდიდესი ნიჭია” (1, 42), ამიტომაც მსოფლიო მონარქის ძალაუფლების ქვეშ ცხოვრება თავისუფლებასაც ნიშნავს. დანტეს მსოფლებელებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ დემოკრატია, ოლიგარქია და ტირანია, ასევე მონარქიაც, თუ ის მსოფლიო იმპერიას არ წარმოადგენს, ძალაუფლების უზურპაციაა. დანტემ შესანიშნავად იცოდა, რას ნიშნავდა არასწორი პოლიტიკური ძალაუფლება. ფლორენციის რესპუბლიკამ უჩვენა მას დემოკრატიის ნებატიური მხარეები. მის თვალწინ გაიარა ტირანიამ, ოლიგარქიამ და სხვა სახელმწიფოებრივმა ფორმებმა. ამიტომაც იყო რომ ძალაუფლების მისაღებ ფორმას დანტესთვის მსოფლიო იმპერიის შექმნა წარმოადგენდა.

De Monarchia მეორე წიგნის III თავში დანტე სიამაყით წერს, რომ „იტალია ევროპის ყველაზე ცნობილი მხარეა, ხოლო რომაელები კი ცისქვეშეთში ყველაზე ცნობილი ხალხი. ამიტომ ვისთვის უნდა იყოს დაფარული უზენაესის ნება მსოფლიოს ყველა ნაწილის სისხლის ორმაგი შერწყმა ერთ-ერთადერთში, რომის დამაარსებელში” (1.62-63).

დანტეს საერთო პოლიტიკური სისტემის გასაგებად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია I წიგნის XIV თავიდან ნაწყვეტი, სადაც დანტე წერს, რომ „ღმერთისთვის გაცილებით მისაღებია კაცობრიობას მართავდეს ყველაზე საუკეთესო. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს კეთილდღეობისათვის აუცილებელია არსებობდეს მონარქია, სადაც წინ წამოწეული იქნება ავტონომიურობისა და კანონიერების პრინციპი, შენარჩუნებული იქნება ადგილობრივი ადამიანები. მონარქმა. რომელიც ხალხის რჩეულიც უნდა იყოს, დედამიწაზე მარადიული მშვიდობა უნდა უზრუნველყოს” (1, 49-50).

უნივერსალური მონარქიისა და უმაღლესი სასამართლოს შესახებ დანტეს აზრები ემთხვევა ადმონტის აბატის ენგელბრიტის ტრაქტატს „რომის იმპერიის ადგილზე

და მიზნებზე” (1297), სადაც ნათქვამია, რომ: „ყველა სამეფო და ყველა მეფე ემორჩილებიან ერთიან იმპერიასა და ერთ იმპერატორს, იმისთვის, რომ დამყარდეს მშვიდობა და სუვერენიტეტის თანხმობა ყველა ტომსა და ყველა სამეფოს შორის” (1, 148), მაგრამ ენგელბერტი დანტესგან განსხვავებით, ამ აზრს ანგიორებს რწმენით გაერთიანების საფუძველზე და არა გონების. იმპერატორი მისთვის მხოლოდ ეკლესიის ნების შემსრულებელია.

დანტე მსოფლიო იმპერიაში ხედავს არა შეუსაუკუნების გერმანულ იმპერიას, რომელიც მისთვის ანაქრონიზმს წარმოადგენდა, არამედ ანტიკური რომის აღორძინებას, რაც მისთვის მსოფლიო მონარქიის სტატუსის განსაზღვრაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. აზრი ანტიკური რომის მისის შესახებ, რათა მას მსოფლიო ემართა, შეუსაუკუნებში კიდევ უფრო მომწიფვდა, რადგან რომი იქცა დასავლეთის ქრისტიანობის ცენტრად. დანტე ადიდებს რომის მისიას და მიაჩნია, რომ რადგანაც რომის იურისდიქცია ქრისტეს დროს პალესტინაზეც ვრცელდებოდა, ხოლო ქრისტემ კი რომის მოქალაქეობა მიიღო, ამიტომაც რომის მისიას წარმოადგენს მიწიერი და ზეციური მეფობა. აქვე ისიც უნდა ავლინშნოთ, რომ რომის იმპერიის დათიური მისიის შესახებ თეორეტიკოსთა შორის დანტემდე ბევრად ადრე, აზრთა სხვადასხვაობა იყო, დანტე „გონგბანლუნგებს” უწოდებს ნეტარ ავგუსტინესა და მის მომხრეებს, რომლებიც რომის იმპერიის განსაკუთრებულობას უარყოფენ და სამართლიან მექვიდრეებად ფრიდრიხ II პოპენშტაუფენისა და პაინრიხ VII ლუქსემბურგელის იმპერიები მიაჩნია. დანტესთვის ძველი რომი მსოფლიო ინტერნაციონალური სახელმწიფოა. უზენაესის ნებას კი ხედავს არა რომის იმპერიის დამხობაში, არამედ მის განსაკუთრებულ ისტორიულ მისიაში. რომის წარმართველ იმპერიაში ის მსოფლიო მონარქიის საწყისებს ხედავს. დანტე მშვიდობის ჭეშმარიტი აპოლოგეტია და მისი De Monarchia პირველი ტრაქტატია მსოფლიოში, რომელმაც ევროპის პოლიტიკური არსი უნდა შეიმეცნოს. მართალია, მისი მოძღვრება მშვიდობასა და სახელმწიფოზე აკეროსის ფილოსოფიაზე დაფუძნებული. და მაინც, დანტე პირველია, ვინც საერთოდ კაცობრიობაზე ალაპარაკდა.

რაც შეეხება ორი მახვილის თეორიას, დანტე თავისი მსოფლედველობით დაუპირისპირდა ისეთ დიდ საეკლესიო მოაზროვნეს, როგორიც თომა აქინელი იყო, რომელსაც მიაჩნდა, რომ იმპერატორი პაპს ისე უნდა ემორჩილებოდეს, როგორც თვით ქრისტეს. დანტე არ ეთანხმება არც ცნობილ

დეკრეტალისტს პოსტენზიუს და არც პაპების დოქტრინებს, რომელთა მიხედვით იმპერატორი პაპის ვასალია და De Monarchia III წიგნის XIII თავში წერს: “პაპი ქრისტეს მოადგილე კი არ არის, არამედ პეტრეს. ეკლესიის ძალაუფლება კი საიმპერატორო ძალაუფლების მიზეზი არაა, რადგანაც რომის იმპერია და იმპერატორი ეკლესიის დაარსებამდე გაცილებით ადრე არსებობდნენ. ამიტომაც იმპერატორის ძალაუფლება ღმერთისგანაა ბოძებული და არა პაპისგან. სახელმწიფო კი ეკლესიისაგან დამოუკიდებელია” (1, 128).

საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ დანტე დაუპირისპირა ნეტარი ავგუსტინესა და თომა აქეინელის მოძღვრებებს და მათ მიმდევრებს, მათ შორის პტოლემეიუს ლუკელს, ავტორს ტრაქტატისა De Regimine principium (მეფეთა მმართველობის შესახებ). ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პაპმა იოანე XXII დანტეს ტრაქტატი გაასამართლა და როგორც ერეტიკული ნაწარმოები, დაწვაც მოთხოვა 1324წ. პაპის კარდინალ-ლეგატის ბერტრან დელ პოლჯეტოს ბრძანებით De Monarchia დაწვეს. კარდინალს მისი ნეშტის დაწვაც უნდოდა, მაგრამ, როგორც ბოკაჩო წერს, ფლორენციელი პინოდელლა ტოსკას წყალობით, გადაიფიქრა. ფრანცისკელთა ორდენის წინამდოლმა ბერებს პოეტის საფლავთან მიახლოებაც კი აუკრძალა. 1554 წ. ტრაქტატი სავონაროლას ბრძანებით აკრძალულ წიგნთა ინდექსში იქნა შეტანილი და მხოლოდ XIX საუკუნეში მოქმენა ეს აკრძალვა.

ამგვარად, დანტეს პოლიტიკურმა ტრაქტატმა De Monarchia ღროს გაუსწრო. მასში დასმული პრობლემები საკუთარი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვას წარმოადგენდა. მსოფლიო იმპერიის შექმნაში დანტე ხედავდა ერთადერთ შესაძლებლობას სამუდამოდ დაქსვა წერტილი დაჭუცმაცებული იტალიისთვის: “რომაელი ხალხი სამართლიანად, უზურპაციის გარეშე მოიხვეჭოს ყველა მოკვდავზე ძალაუფლებას, რომელსაც იმპერია ერქმევა; იტალიელები კანონიერი მემკვიდრეები არიან ძველი რომაელების; მონარქია, რომელიც მსოფლიოს უზრუნველყოფს სამართლიანობით, თავისუფლებით, კეთილდღეობით უნდა იყოს საერო; იმპერიის ძალაუფლება არ უნდა იყოს ეკლესიაზე დამოკიდებული” (1, 323). ასეთი გახლავთ დანტეს პოლიტიკური ტრაქტატის ძირითადი პოსტულატები. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა გარემოებაა; დანტეს მსოფლიო მონარქია წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ერთიანი იტალია, რომელიც სათავეში

ჩაუდგებოდა სხვა ხალხებსაც, მისი მონარქი კი ანტიკური ცეზარების მემკვიდრე იქნებოდა. აქ ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწეს უტოპია ორი ფაქტორის გავლენით ჩამოყალიბდა. ანტიკურობის გატაცებით, რითაც დაწეს ჰუმანისტებს გაუსწრო და ოცნებით - იტალიის გაერთიანებაზე, რაც იმ დროისთვის განუხორციელებელი იყო. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, დაწეს ხალხებსაც მონარქია ნაციონალური არაა; მართალია ის ამბობს, რომაელმა ხალხმა უნდა მართოს მსოფლიო, მაგრამ არსად ამბობს, რომ მონარქი რომაელი ან იტალიელი უნდა იყოს. დაწეს მიესალმა ნახევრად გერმანელ და ნახევრად ფრანგ პაინტის VII-ს, როგორც რომის კანონიერ იმპერატორს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დაწეს გერმანელი იმპერატორის აპოლოგები იყო, რომელსაც მრჩეველი აუცილებლად ფილოსოფოსი უნდა ჰყოლოდა. უბრალოდ, მას სხვა ძალა არ ეგულებოდა, რომელიც იტალიას გააერთიანებდა. მსოფლიო იმპერიის დედაბობადაც დაწეს იტალია მიაჩნდა და არა გერმანია. დაწეს ფუძემდებელია Una Italia (ერთიანი იტალიის) იდეისა, რომელიც 1870 წელს ჯუზეპე გარიბალდიმ განახორციელა. მათინი წერდა: L'Italia se incarnata in Dante (დაწესში იტალიამ ხორცი შეისხაო). დაწეს, ჩვენი აზრით ფუძემდებელია ფაშიზმის იდეისა (fashio – კონას, შეკვრას, გაერთიანებას ნიშნავს) და დაქუცმაცებულ იტალიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად (თუმცა ტერმინი მოგვიანებით გაჩნდა) და არაფერი აქვს საერთო გერმანულ ნაციზმთან, რომელიც სხვა ხალხებისადმი (სლავები, ებრაელები) სიძულევილით გამოიჩეოდა. ამიტომაც არასწორად მიგაჩნია ფაშიზმისა და ნაციზმის იდენტიფიკაცია.

დაბოლოს, თუ მოგახდენთ De Monarchia დასმული პრობლემატიკის ანალიზს, დავინახავთ, რომ XIII საუკუნის დაწეს არც თუ ისე შორსაა თანამედროვე კოლიზიებისაგან; ურწმუნო თავისუფლება ან იდეური მონობა. ამ უკიდურესობებს შორის XXI საუკუნის ისტორია დღესაც მერყეობს, დაწეს, შესაძლოა იწინასწარმეტყველა ტოტალიტარიზმისა და ლიბერალიზმის მოსალოდნებით კრიზისი რომელსაც დღესაც ვერ გაუყვიათ ძალაუფლების ორი მახვილი.

### ლიტერატურა

#### References:

1. Dante, Monarkhia, M., 1999 (Russian)
2. Dante, Malie proizvedenia. M. 1987 (Russian)

3. dante, RvTaebri komedia, Tb. 1941
4. d. xubaSvili, dante, komunis moqalaqe da politikosi, Tb. 2001
5. d. xubaSvili, italiuri nacionalizmisa da saxelmwifoebriwi mowyobis saTaveebTan (XIII-XVss.) Tb. 2002

### **Ia Khubasvili**

### **Dante – Una Italia and the World Monarchy idea creator**

#### **Summary**

Italy was not perfect and united in XIII century. Because of, comparative thesis is the later event. The economical-political centers independent existence gave power to Italy's separation and it's clear that made its mark on its statement.

But, although, the culture was developing, that craned public Italian character and reached its development in XV the century. The tractates were created; those were signing the difficult situation of Italia and were looking for the way of its independence.

The Italian thinking's coryphée in the political philosophy of Dante Alighieri contacted of the cosmopolitan elements. In his tractate named "De Monarchia" was signed three basic problems. 1) The necessity of the world monarchy. 2) The specialty of the Roman people. 3) Public or spiritual state's superiority.

Dante admitted Italy as a centre of the world. He did not care about whatever city he lived. Its interesting detail according to Dante's opinion, it was necessary that the world monarch to have near the philosopher, who could help him to govern the Empire, in order to avoid him becoming tyranny.

The church has been cruel to Dante's "De Monarchia". In 1329 he was burnt in 1554 it was involved in the banned book's index.

**Keywords:** Dante; Italy; monarchy; world view of humanity; empire. Rome; authority; people of Rome; state; democracy; tyranny; philosophy, world; Averroes; Aristotle; church; pop and state; function; doctrine; Holy Rome empire; Palestine;. Christ; world-wide; sacred; political; Augustine; Thomas Aquinas; theory; index of unlawful books; cultural process; theocracy; sacred authority; political history; idealistic model; decentralization; polycentrism; Hohenstaufen; Fridrik II; Henry VII of Luxemburg; treatise.

**Reviewer** – professor Nana Gelovani, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

### **Хубашвили Ия Багратовна**

#### **Данте – основатель идеи Una Italia и универсальной всемирной монархии**

##### **Резюме**

Мировоззрение Данте детально изучено и истолковано в бесчисленных научных трудах; его роль в мировой культуре представляется достаточно отчетливо, но и когда мы читаем обстоятельную многотомную историю литературы, то узнаем из нескольких абацев, что у Данте была своя философия, отразившая те или иные тенденции средневековья. Когда же обращаемся к истории философии, то узнаем, что Данте велик как поэт, выразивший идеи философии на языке литературы. Роль иллюстратора средневековой философии не совсем вяжется с тем влиянием, которое Данте оказал на умы мыслителей последующих столетий, в том числе и в области своих социально-политических взглядов, систематически изложенных им в его трактате «Монархия».

В своем сочинении Данте стремится доказать три главных положения: для земного счастья человечества необходима империя; власть императора дается ему непосредственно богом; римский народ по праву взял на себя роль имперской власти. Примечательная деталь: рядом с монархом, по замыслу Данте должен находиться философ (кн. З. XVI сп. «Пир», IV ,4).

«Монархия», пожалуй, первый трактат о всеобщем мире, который узнала политическая мысль Европы. Нет сомнения в том, что всемирное государство с центром в Риме Данте представлял себе как господство итальянской нации.

Церковь отнеслась к «Монархии» сурово. В 1329 году она была осуждена, а в 1554 г – внесена в индекс запрещенных книг. Но, несмотря на это, «Монархия» не только обозначила некий момент равновесия между социальным мышлением средневековья и Возрождения, но и закрепил духовный опыт, понадобившийся через 700 лет.

**Ключевые слова.** Данте, Италия, Монархия, мировоззрение человечества, империя, Рим, власть, римский народ, государства, демократия, тирания, философия, мир, Аверроэс, Аристотель, церковь, папа и император, функции, учение, Священная Римская империя, Палестина, Христос, Всемирное государство, духовный, политический, Августин, Фома Аквинский, теория, индекс

запрещенных книг, культурный процесс, теократия, духовный авторитет, политическая история, идеализированная модель, децентрализация, полицентризм, Гогенштауфены, Фридрих II. Генрих VII Люксембургский, трактат.

**Рецензент:** профессор Нана Геловани, Тбилисский государственный университет имю И.Джавахишвили

## სალომე ხიზანიშვილი

### აპელაციულობის გაცენობილობიდან ისტორიულ რჩალობამდე

ფრანგი ექსისტენციალისტი ალბერ კამიუ, ნაშრომში „მითი სიზიფეზე“, საუბარს იწყებს „აბსურდის ფილოსოფიაზე“, რომელსაც მისი თქმით, „თანამედროვეობა არც კი იცნობს“. აბსურდის პრობლემისადმი ფილოსოფიის ინტერესი განპირობებულია იმ შედეგების გაცნობიერების აუცილებლობით, რასაც აბსურდული გონი ადამიანს სთავაზობს ცხოვრების წესის თვალსაზრისით, და კიდევ, იმ ვითარებათა შექმნის გამო, რაც აბსურდულმა აზროვნებამ ისტორიულ სინამდვილედ აქცია.

„ჩემი ინტერესი არა იმდენად აბსურდის, რამდენადაც მისი შედეგების აღმოჩენაა“, აქცენტს აკეთებს ფილოსოფობის [1,3]. კვლევის პირველ ეტაპზე, ფილოსოფობის აბსურდის ფენომენს განხილავს და აღვენს გრძნობისა და ცნების თვალსაზრისით. (საკითხის განხილვისას, ჩვენ ვრჩებით კამიუს ლოგიის თანმიმდევრი).

ირკვევა, რომ აბსურდულობის გრძნობა ადამიანში ჩნდება ყოფიერების მხარეებში „სინათლის შეტანისა და გარკვეულობის მოთხოვნით“. მაგრამ საბოლოოდ, „ამ მოთხოვნას“ ანაცვლებს უსაზრისობის განცდა, ყოფიერება მნიშვნელობადაკარგულად მოჩანს. იწყება განხეთქილება – ადამიანსა და სამყაროს შორის. „აბსურდი, შენიშვნავს კამიუ, ჩნდება ამ კონფრონტაციით – ადამიანურ მოწოდებასა და სამყაროს გონიერობებულ მდუმარებას შორის“ [2,3]. ე.ი. აბსურდი არ გვეძლევა არც ადამიანური გონის, ის ქრება სიკვდილთან ერთად, და არც სამყაროს გარეშე. ამ ორ წევრს შორის გადაუჭრელი „წინააღმდეგობა და განუწყვეტელი ბრძოლა“ შეადგენს აბსურდის ცნების შინაარსს.

„ერთადერთი მოცემულობა ჩემთვის აბსურდია“. – ლოგიკურ დასკვნას აკეთებს ექსისტენციალისტი-მოაზროვნე და აგრძელებს, „პრობლემა იმისი ცოდნაა, როგორ დავადწიოთ თავი მას და თუ უნდა გამოვიყვანოთ ამ აბსურდიდან თვითმკვდელობა“ [3,3].

სიცოცხლის საზრისის ექსისტენციალური მიების გზაზე, აშკარა ხდება დაპირისპირება სამყაროსა და ადამიანს, სიცოცხლესა და ცხოვრებას შორის, რომელიც მთავრდება „უმედო აღსარებით“ – ცხოვრება აღარ დირს. თვითმკვდელობა, როგორც გაუგებარი და გაუსაძლისი

რეალობიდან თავის დაღწევის საშუალება ცხადდება აბსურდული ცნობიერების ლოგიკურ შედეგად. რაც აბსურდის არსებაზე მსჯელობისას, ფილოსოფიური აზროვნებისათვის უცხო არც მანამდე იყო. „ეს პატარა პლანეტა სიცრუეა. სიცრუეზე დგას. ყველაფერი მხოლოდ ადამიანის დაცინვაა. მაში, მიასუსტე, კითხულობს დოსტოევსკის მეამბოხე გმირი, – კირილოვი, ლირს სიცოცხლე?” [4,6] და იმის დასამტკიცებლად, რომ ცხოვრება “არ ღირს” იგი თავს იკლავს.

აბსურდის ფილოსოფიაში, პირველ დასკვნას, რომ ცხოვრება “არ ღირს”, ანაცელებს კამიუს კატეგორიული მოთხოვნა: აბსურდულობის გაცნობიერება საფუძვლად არ უნდა დაედოს ადამიანური უფლების მოპოვებას საერთოდ, ყოფიერების შეურაცხოვაზე.

აღნიშნულ გარემოებებს ღრმად აცნობიერებს დიდი წინამორბედიც და იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ ადამიანისათვის აუცილებელია მარადიულობაში დარწმუნებლობა, უავდავების რწმენის არსებობა, რადგანაც „მათ სასოწარკეთილება მოუღებთ ბოლოს “, და „სხვაგვარად ისინი ვერ იცოცხლებენ”, ექსისტენციალისტი-მწერალი უშვებს ღმერთის არსებობას. „მქები კარამაზოვები”-ს დასასრულს ვკითხულობთ: „„კარამაზოვ!... რელიგია გვასწავლის, რომ მკვდრეობით აღვსდებით, ხორცს შევისხამთ და კვლავ ვიხილავთ ერთმანეთს, მხიარულად მოვუყვებით ერთმანეთს ყოველივეს, რაც თავს გადაგვხვდება” – ალიოშას პასუხი დადებითია”. [1,1].

კამიუს სხვა გზით მიღის. იგი ბოლომდე თანმიმდევარი რჩება აბსურდის ლოგიკისა და ადამიანური უფლებების მოპოვებაზე უფრო დიდ პასუხისმგებლობასაც იღებს.

კამიუს მეამბოხე გმირებისათვის დოსტოევსკისეული „რეინის ლოგიკა“ „ნაკლებ დამამტკიცებელი საბუთია“. აბსურდის სამყაროდან ტრანსცენდენტურში „ნახტომი“ უშედგოდ, არასაიმედოდ მოჩანს. გაორებული აბსურდული გონი ამ პორიზონტზე „გამარჯვებას ვერ იზიმების“. „მტანჯველ და უცნაურ აბსურდთან სანაძლეოს დაღება“ კვლავაც გარდაუქალი ხდება. დასკვნები უნდა გაკეთდეს.

„მაში, სხვა რომელი უტყუარი“ ჭეშმარიტების აღიარება შემიძლია იმედის კვლავმოხმობის გარეშე, რომელიც არ გამაჩნია და არც მნიშვნელობს ჩემი არსებობის საზღვრებში?“ [2,5] – ამ კითხვაზე პასუხით, კამიუ აქცენტს აკეთებს ექსისტენციალური ფილოსოფიისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გატეგორიაზე – ესაა თავისუფლება. დოსტოევსკიმ, კირილოვის თვითმკვლელობით, ამ დირებულების უზენაესობა ამცნო

კაცობრიობას. „ვისაც თავისუფლება უველაფერს ურჩევნია, იმან უნდა გაბედოს თავის მოკვლა. ამის იქთ თავისუფლება არაა. ყოველივე აქაა, ამის იქთ აღარაფერია. ვისაც შეუძლია თავი მოიკლას, ისაა ღმერთი. ახლა უველას შეუძლია ისე გააკეთოს, რომ არც ღმერთი იყოს და აღარც აღარაფერი. მაგრამ ეს ჯერ არავის გაუკეთებია“. [2,2].

გარკვეული აზრით, კამიუ აღიარებს, რომ ეს თვითმკვლელობა უმაღლესია, რადგანაც იგი მოვასის სიკარულითაა ჩადენილი. დარწმუნებული იმაში, რომ დოსტოევსკიმ „ამ ფაქტით“, აღამიანს მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე მიანიშნა და ამგვარად სცადა მისი თავისუფლების სამყაროს გახსნა. კამიუ თავისებურად, სხვა გზით ცდილობს აღამიანური თავისუფლების ექსისტენციალური პრინციპების განვითარებას. მისი მეამბოხე გმირებისათვის თვითმკვლელობა არაა სამართლიანი გზა. თუმცა, ვერც ისინი დააღწევენ თავს უკიდურესობებს. რაც სრულებითაც არ არის გასაკირი. ვინაიდან, აღამიანური „გრის გაწმენდა“ ირაციონალურისაგან და აბსურდის საფუძველზე აბსოლუტური თავისუფლების აღიარება, მთავრდება ფორმულით: „უველაფერი ნებადართულია“, რაც თავისთავად აჩენს ნიპილიზმს – „სტუმართაგან უველაზე აუტანელს“. ამ საფრთხის ქვეშ დოსტოევსკიმ თვითმკვლელობისა და მკვლელობის რისკით იარა. უდავოა, ყოფიერების საზრისის ექსისტენციალისტური ძიების გზაზე სწორედ აღნიშნულის გამო იქმნება უველაზე რთული და საბასუხისმგებლო მომენტი: „იქ, სადაც მეფობს სიცხადე (აბსურდის სიცხადე – ხ.ხ.) დირებულებათა სკალა უსარგებლო ხდება“ [1,5], აღიარებს კამიუ.

„აბსურდის ფილოსოფოსი“ ასეთი უკუდურესობების ფონზე მაინც ცდილობს აღადგინოს ძირფესვიანად შერყეული, იდეებამდე დამსხვრეული ყოფიერება და პოზიტიური აზრი შესძინოს აღამიანურ თავისუფლებას.

„პოდლემა შეცვლილია, აცხადებს კამიუ, ადრე საქმე ეხებოდა ცოდნას – ცხოვრების გავლა დირდა მაშინ, თუ აზრი ექნებოდა. აქ, პირიქით ჩანს, რაც უფრო ნაკლები აზრი აქვს მას, მთო უფრო დირებულია. ბედისწერა ისაა, მთლიანად დაეთანხმო ცხოვრებას“ [2,5]. ე.ი. ცხოვრება უნდა მიიღო მთელი თავისი წინაარმდევობებითა და დირსებანაკლოვანებებით. „არ არსებობს ბედი, რომლის დათორგუნვაზიზე არ შეიძლებოდეს“, ასეთია აბსურდის გმირის – სიზიფეს მსოფლმხედველობრივი პოზიცია. ხოლო პათოსი და გზა, რომლითაც ის ცდილობს აღამიანურ ყოფიერებაში

ადგილის დამკვიდრებას, ამბოხია – დოსტოევსკის მეამბოხე გმირების საცდელი ქვა. „პო“-სა და „არა“-ს შორის სულ შეხუთული ივანე კარამაზოვი ქიდებს ერთ მსოფლმხედველობრივ პასუხს ითხოვს: „ხომ შეიძლება ამბოხით ცხოვრება და მსურს ცხოვრება“ [3,1].

გამოდის, რომ ყველა მოსალოდნელი დასკვნა აბსურდულობის გაცნობიერებიდან გამომდინარე, დოსტოევსკისთან, გაკეთებულია: 1) აბსურდის ადამიანს სურს იცხოვროს წუთისოფელში, სადაც „ყველაფერი თუნდაც ცოფიანი ქაოსია“, – 2) იქ ძალაში შევა კანონი „ყველაფერი ნებადართულია“, და 3) ცხოვრება ნიშნავს, იმოქმედო. ეს ყოველივე გზავნილი გახდა ნიცშესთან, ვინც, კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, ამბოხის ფილოსოფია კი არ გაღმოსცა, მან ფილოსოფია ამბოხზე ააგო. (ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებო).

კამიუ, კვლევის მეორე ეტაპზე, ნაშრომში „აჯანყებული ადამიანი“, აბსურდის პრობლემას ამბოხის პრობლემასთან მიმართებაში განიხილავს. ამბოხის არსის, მისი მოქმედების მიზეზებისა და შედეგების დადგენას ცდილობს ერთი უმთავრესი მიზნით: ამბოხის დირექტულების საფუძველზე უნდა ახსნას და გადმოსცეს თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი ლოგიკური დანაშაულის არსი. ამ მოტივით, ფილოსოფიის აბსურდის ანალიზი მის განსჯადე მიყავს და ეს ყველაზე მნიშვნელოვნებად მიაჩნია. ვინაიდან, მის მიერ ასეთი არჩევანი ემსახურება ამბოხის, როგორც ერთ-ერთი უძირათადებით ექსისტენციალური კატეგორიის შემოქმედებითი ნიშნით დაფუძნების იდეას. აბსურდს, როგორც სუფთა დაფას (რაც ჩიხში გვტოვებს), კამიუ მიიჩნევს სამიზნედ, მეთოდურ ეჭვად, დეკარტეს ფილოსოფიური ეჭვის ექსისტენციალურ ექვივალენტზე. ხოლო გამომდინარე, სწორედ იქვედან, რომ ის ეჭვია, ამბოხი ინარჩუნებს შინაგან ძალას ცნობიერება მიმართოს ახალი ძიებებისაკენ. აბსურდის გამოცდილებაში ერთადერთი უტყუარი დირექტულება, რაც Cogito\_S მნიშვნელობას იძენს – ამბოხია, შინაგანი განხეთქილებით გადრმავებული სიცხადის მოთხოვნა, რომელიც, კამიუს მტკიცებით, ამავე დროს, უნდა გახდეს სამყაროსეული ერთიანობისა და წესრიგის გარანტი.

ამ მოტივით, კამიუ აფართოებს ამბოხის გავლენის სფეროებს. თუ კვლევის პირველ ეტაპზე იგი გაცნობიერდა როგორც სამყაროსეულ უსაზრისობაზე ინდივიდის პროგესტი, მეორე ეტაპზე ამბოხის ცნების შინაარსი მოიცავს ადამიანურ

პროტესტს სამყაროს მეტაფიზიკური საზღვრებიდან ისტორიულ სინამდვილემდე.

ამბობის არსის პოზიტიური ნიშნით წარმოქნისათვის, კამიუ ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: მაინც ვინ არის მეამბოხე ადამიანი, რას ითვალისწინებს ბუნტარული მისწრაფება, რას ემყარება მეტაფიზიკური ამბოხი და როგორია მისი შედეგები.

მეამბოხე ადამიანი, კამიუ უპირველესად, აქ აკეთებს აქცენტს, „არა“-ს მთქმელია, თუმცა მისი „უარი“ განდგომას არ ნიშნავს. მონურ ყოვასთან შეურიგბელი მეამბოხის „არა“ მისი ადამიანური ღირსების დაცვის საქმეს მემსახურება; მეამბოხის არსობრივი ძალების გამოვლენა თვალსაჩინო ხდება ბუნტარულ მისწრაფებაში. – ეს, ერთის მხრივ, არის აბსურდულობასთან შეურიგბელობის მომენტი, ღირებულებათა მოთხოვნით, ადამიანი გაუცხოებისაგან რომ უნდა დაიცვას, ხოლო მეორე მხრივ, ესაა წესრიგის, ერთიანობის, ზომიერების, თავისუფლების, სამართლიანობის მოთხოვნა, რომელთა აღმოჩენითა და დაცვით მეამბოხე ცდილობს საკუთარ არსებას გაუთანაბრდეს. გარდა ამისა, რაც კიდევ უფრო არსებითია, ბუნტარული მისწრაფება არის საერთო ხელდროან ინდივიდთა იდენტიფიკაციის რაღაცაგვარი საზღვარი, საიდანაც ცხადდება ადამიანთა ერთობის მეტაფიზიკური მხარე. კამიუს ინტერესი ამ ასევებშიც ცალსახაა. მას სურს აჩვენოს ბუნტარული მისწრაფების თანამედროვე ფორმებში რამდენადაა დაცული ამბოხის პოზიტიური შინაარსი, და რაც კიდევ უფრო მთავარია, ამბოხი რამდენად დარჩა საკუთარი სათავეების ერთგული. იქნებ პირიქით, ისტორიულად ამბოხება მოითვა რა უფლება ენგრია ადამიანთა ერთობა, რაც ხშირად მომხდარა, ისტორიის დიდ გზაზე დაკარგა ჭეშმარიტი საზრისი.

კამიუს მიერ ამბოხის ფენომენის კვლევა ამ აზრით კონკრეტდება. ფილოსოფობის აინტერესებს: აბსურდულობის გაცნობიერებამ თუ რაზე გახადა უფლებამოსილი ადამიანის ისტორიული ცნობიერება და რა ფორმებში დაიწყო ამბოხება გამოვლენა, ანუ ერთმა მეორე რა დონით განაპირობა.

ამბოხი, კიდევ ერთხელ შენიშვნავს კამიუ, ესაა მოძრაობა, რომლითაც ადამიანი უჯანყდება საკუთარ ხელდრესა და საერთოდ მთელ ქმნადობას. „ის მეტაფიზიკურია, რადგანაც სადაც ხდის ადამიანისა და მთელი სამყაროს საბოლოო მიზნებს“ [1,6]. მეამბოხე-მეტაფიზიკოსს სწორედ დამსხვრეულ სამყაროზე სურს ამაღლება, რათა მისი ერთიანობა აჩვენოს. უსამართლობა, რომლითაც იმართება სამყარო, უპირისპირებს

მისეულ სამართლიანობას, რათა გადაჭრას სამყაროსეული წინააღმდეგობანი და აშენოს სამართლიანობის ამქვეყნიური სამეცო. მეამბოხექ-მეტაფიზიკოსის პროტესტი მიმართულია ტანჯვისა და სიკვდილის, ადამიანია დაქსაქსულობის წინააღმდეგ. სიკვდილისა და უმაღლესი სკანდალის სათავეს იგი ღმერთში ხედავს, მის უნაყოფო ძალა-უფლებას აიგივებს ადამიანურ ხვედროთან და უმაღლეს არსებას ისტორიის ავანტიურაში ჩართავს, რათა ესაუბროს როგორც თანასწორმა თანასწორს. მისი პოლემიკა უზენაესთან გამარჯვების სურვილითაა შთაგონებული. ადამიანური ხვედრის წინააღმდეგ გარევეულ ეტაზზე ამბოხი ზეცის წინააღმდეგ გალაშქრებას ერწყმის; ადამიანური ამბოხი გადადის მეტაფიზიკურ რევოლუციაში. სიტყვას საქმე მოსდევს. მეამბოხე რწმუნდება, რომ წესრიგი, ერთიანობა, სამართლიანობა, სიცოცხლის პროცესში ამაღლ რომ ექცება, საკუთარი ხელებით აქვს მოსაპოვებელი. ამ მოტივით ამართლებს მეამბოხე-მეტაფიზიკოსი ღმერთთან მეტოქეობას.

სადაც არ არის, რომ მეტაფიზიკური ამბოხი თავდაპირველად, მონის ამბოხის მსგავსად, პოზიტიურ შინაარსს ატარებს. იგი ითხოვს გარევეულ ღირებულებას, (ეს ღირებულება სამართლიანობაა – ხ.ხ.), რომლის გარეშე თვითონებობა და დანაშაული იმეუგებს ამქვეყნად. მეამბოხე მის მოპოვებას ცდილობს, სადაც თავს იჩენს ადამიანთა ერთობის აუცილებლობა. ასეთია მეტაფიზიკური ამბოხის ჭეშმარიტი ბუნება. მაგრამ ისტორიაში პირიქით მოხდა. სიტყვაში გამოხატულმა მეტაფიზიკურმა ამბოხმა (დაწყებული ბერძნული გონიდან, დოსტოევსკისა და ნიკშეს შემოქმედებით დამთვარებული), ამბოხის ნეგატიური შინაარსი იქადაგა და ისტორიულ ვითარებაში დაიწყო ფეხის მოკიდება. ისტორიულად, მე-19 საუკუნემ – მეტაფიზიკური ამბოხის ფპოქამ გზა გაუხსნა მე-20 საუკუნეს. – ისტორიული ამბოხი, რევოლუციების სახით, შეეცადა დაპატრონებოდა მთელ სამყაროს. მსოფლიო იმპერიისაკენ და უნივერსუალური წესრიგისაკენ მიმართულმა ამბოხმა, მართალია, უარყო ყოველგვარი მონობა, როგორც ასეთი, მაგრამ უფრო დიდი ბატონობა განიზრახა. საშუალებად გაიხადა პოლიტიკური ძალმომრეობა და გლობალური დაპყრობები. მეამბოხეს, რომელსაც ეწადა საკუთარი არსებობა ანუ თავი გადაერჩინა ღმერთის ბატონობისაგან (ნიკშე), „სულის იმპერიალიზმის“ კარნახით გამსჭვალულმა, მორალური ნიპილიზმისა და ძალაუფლების ნების საფასურად, უარი თქვა ჭეშმარიტ ამბოხზე და სამყაროს დამონქება გადაწყვიტა. ღმერთი

მკვდარია, ე.ი. დარჩა მხოლოდ ისტორია, რომელიც თუნდაც ნებისმიერი საშუალებით, უნდა აშენო. კამიუს მტკიცებით, ეს ის ჩიხია, საიდანაც დაიწყო სვლა ისტორიული ნიპილიზმისაკენ – ვითარება, რომელმაც შთანთქა ამბოხის შემოქმედებითი ძალა. ამბოხის დიდებულ მიზანზე წარმოოქმულ ფორმულას: „გჯანყდები, ე.ი. ვარსებობთ,“ ისტორიამ აზრი შეუცვალა („და ჩვენ მარტონი ვართ“), რაც ექვისტენციალური პოზიციებიდან, ამბოხის სიკვდილს ნიშნავდა.

ისტორიულ ამბოხზე კამიუ საუბრობს რევოლუციის ფენომენის წარმოქნისა და ახსნის მაგალითზე. მისი მიზანია აჩვენოს ამბოხი როგორი ლოგიკით მივიღა რევოლუციამდე, რატომ გაჩნდა წინააღმდეგობა თავისუფლების მოთხოვნასა და სამართლიანობის ძიებას შორის და, რაც არსებითია, თავისუფლების სახელით დაწყებული რევოლუცია რატომ მივიღა მკვდელობის დაშვებამდე.

რასაკვირველია, კამიუ იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ XX საუკუნის რევოლუციები ადამიანური მოდგმის განთავისუფლების სახელით წარიმართა, მაგრამ რამდენადაც რევოლუციამ იარაღით ხელში ისტორიული ტოტალურობის დამყარება განიზრახა, უსაზღვრო ჯვაროსნული ლაშქრობის პათოსით, მეტაფიზიკურ ამბოხს პრაქტიკულად ხორცი შეასხა. ტოტალური ერთიანობის მოთხოვნა ნაიდილისტური გონისათვის ტოტალური დაპყრობის იგივეობრივი გახდა. ისტორიის (რომელიც შთაგონებულია ხელისუფლებისათვის ბრძოლისა და მუდმივი დავის იმპულსებით), ტრანსცენდენციის ზმანებით განმსჭვალულმა XX საუკუნის რევოლუციონერებმა მოახდინეს ზნეობის ფორმალური პრინციპების სრული ლიკვიდაცია. ლირებულებებისა თუ ჰეშმარიტებების შემოქმედად ისტორია აღიარეს, თავისი შედეგებით; ნიპილიზმი და ცინიზმი, ისტორიისა და მატერიალურის გაღმერთება, ინდივიდუალური ტერორი და სახელმწიფო დანაშაული. საბოლოოდ ამ ლირებულებებზე გაჩერდა დასრულდა სამყაროს ორაზროვანი კონცეფცია.

ეპოქამ, რომელიც მეამბოხის სახელით გამოიდიოდა, კონფორმიზმის იდეა დაამკვიდრა, ყველაზე უარესი გზითა და ფორმით. კამიუს ხატოვანი გამოთქმით, ასე დასრულდა ისტორიაში მეამბოხე გმირის – „პრომეთეს განსაციიფრებელი ხეტიალი.“

### ლიტერატურა

#### References

1. Velikovski S.I. Search of the lost sense. Moscow, 1979.

2. Dostoevski F.M. Demons. Leningrad, v.7, 1990.
3. Dostoevski F.M. The Karamazov brothers. Leningrad, v.10, 1991.
4. Nietzsche F. v.1-2, 1990.
5. Nikolas A. Albert Camus or real Prometheus, 1966, edited in France.
6. Camus A. Myth of Sisyphus, Paris, 1942.
7. Camus A. Homo rebel. Paris, 1951.
8. Contemporary literature. V.1-2, Paris, 1986.

### **Salome Khizanishvili**

#### **From perception of the Absurd to historical reality**

#### **Summary**

French existentialist Albert Camus (the contemporaries called him “philosopher of the Absurd”) acknowledged absurdity as ontological basis of existence (such deduction is not alien to philosophic thinking). Existential research of the phenomenon of the Absurd he determined with introduction of the most important problem of suicide which on the thorny path of searching the notion of human existence will always be the unusually live spot, course-setter for search orientation to those generally in touch with the world view of existentialists.

When Camus studied the nature of the Absurd it also became evident that the second, uttermost, but logical result of the Absurd is killing. While suicide and killing feed “the most unendurable of guests” - nihilism. The eternal ailment of absurd consciousness - nihilism was profoundly demonstrated by Camus’ great teachers – Dostoevski and Nietzsche. This was the touchstone of the philosophy of life and existence – the most principal problem of the problems of the Absurd.

The whole activity of Camus serves the most complicated and important matter of suppressing nihilism. The evolution of his philosophical view is in direct connection with historical reality. “There exist crimes inspired with passion and prompted with cold logic”, with alert courage characteristic to genius, Camus accentuates the “conscience” of the contemporary world and with Promethean resolve tries to serve the most important matter of protection and survival of the world’s most unique being – human being. “... This world, - declares the philosopher, – is adorned with the single truth - this is a human being. Our task is to equip him with convincing views which will help him to fight with his own fate”.

Accordingly it should be said that for Camus (like his predecessor as well as his contemporary existentialists) the sole means of understanding and acknowledgement of the Absurd of being is to overcome nihilism making clear those values which should give stability to existence. In other case it becomes impossible to avoid those extremes which were made clear with awareness of the Absurd; otherwise the human being will suffer failure in this world (history has shown this not once).

Camus having conveyed long history of metaphysical rebellion showed credibly that thinking has to be entrusted its share of responsibility for those negative life results which it has stipulated. Hence he substituted “philosophy of rebellion” with “philosophy of the Absurd” with one major demand: the understanding of nihilism should be accompanied by its overcoming with admittance of such valuables as freedom, rebellion, moderation, justice.

It can categorically be said that in philosophical works by Camus, with the viewpoint of novelty, category of justice is declared as equivalent to rebellion value. The French existentialist estimates the history of mankind with the view of establishment of the bounds of the demand of justice and its realization. Of course, the level of searching freedom, justice, and rebellion is upward but history as the arena of human rebellion demonstration is full of contradictions and whim of destruction. That's why it always was, is and will be the Achilles' heel.

**Keywords:** absurd; sense of absurd; term of absurd; absurd streaming; mutineer; mutiny; liberty; moderation; justice; metaphysical mutiny; historical mutiny; nihilism.

**Reviewer -** professor Roza Gaprindashvili, Georgian Technical University

## Хизанишвили Саломэ Алексеевна

### От осознания абсурдности до исторической реальности

#### **Резюме**

Французский экзистенциалист – Альбер Камю (современники называли его «философом абсурдности») онтологической основой бытия объявил абсурдность (для философического мышления такое заключение не чуждо). Экзистенциалистическое исследование феномена абсурдности он определил введением самоубийства, как важнейшей проблемы, которая на сложном пути поиска смысла человеческого бытия всегда будет являться необычно ответственным местом, направляющим ориентацию исследования, для тех, кто вообще будет иметь соприкосновение с мировоззрением экзистенциалистов.

При исследовании Камю природы абсурда стало очевидным и то, что вторым, наиболее значительным, но логическим результатом абсурдности является убийство. Но самоубийство и убийство питаются «самого невыносимого из гостей» – нигилизм. Извечная болезнь абсурдного разума – нигилизм был основательно выявлен великими учителями Камю – Достоевским и Ницше. Это был пробным камнем философии жизни и существования – важнейшим из проблем абсурда.

Вся деятельность Камю служит сложнейшему и важнейшему делу преодоления нигилизма. Эволюция его философского видения непосредственно связана с исторической реальностью. «Существуют преступления вдохновленные страстью и подсказанные беспристрастной логикой», Камю, с присущей гению бдительным мужеством делает акцент на «совести» современного мира и с твердостью Прометея старается служить важнейшему делу сохранения и выживания уникального существа вселенной – человека. «...Этот мир – заявляет философ – украшен единственной истиной - это человек. Наша задача вооружить его убедительными суждениями, посредством которых он сможет бороться со своей судьбой».

На этой основе можно сказать, что для Камю (подобно его предшественникам и его современным экзистенциалистам) осмысление и признание существования абсурда является единственным средством для подавления нигилизма, с прояснением тех ценностей, которые должны придать миру стабильность. В противном случае, становится невозможным избежать те крайности, которые абсурдное восприятие уже сделало явным; иначе человека в этом мире ожидает неудача (история не раз показала это).

Передав продолжительную историю метафизического мятежа, Камю достоверно показал, что мышление должно нести свою долю ответственности за те негативные жизненные следствия, которые волей неволей были им вызваны. Исходя из этого он заменил «философию абсурда» «философией мятежа» с одним важнейшим требованием: за осмыслением нигилизма должно последовать его преодоление путем признания таких ценностей как свобода, мятеж, умеренность, справедливость.

Можно категорически заявить, что в смысле инновации исследования в деятельности Камю категория справедливости объявляется эквивалентным ценности мятежа. Человеческую историю французский экзистенциалист оценивает в смысле потребности справедливости и установления границ ее осуществления. Конечно, уровень поиска свободы, справедливости, мятежа восходящий, но история, как арена проявления человеческого мятежа - полна противоречиями и жаждой разрушения. И поэтому она всегда была, есть и будет ахиллесовой пятой человечества.

**Ключевые слова:** абсурд, чувство абсурда, понятие абсурда, абсурдное стремление, мятежник, мятеж, свобода, умеренность, справедливость, метафизический мятеж, исторический мятеж, нигилизм.

**Рецензент:** профессор Роза Гаприндашвили, Грузинский технический университет

## ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე

ბერძნულ-ქართული ლექსიტური შეხვედრები.

I. მრთი სამრთაშორისო სიტყვა-ტერმინის („ტრაბედია“) ეტიმოლოგიისათვის

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძველ ბერძნებსა და წვენს წინაპრებს ოდითგანვე მჭიდრო კულტურულ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. ბერძნული ენის კუთვნილი არაერთი ლექსიტური ერთული შემოჭრილა და დამკვიდრებულა ქართული ენაში და პირუკუ – ქართულის კვალიც შერჩენია ძველ ბერძნულ სამყაროს. ოფონდ ეს უკანასკნელი სპეციალისტებისაგან ღრმა მეცნიერულ და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ამჯერად წვენი ყურადღება საერთაშორისო სიტყვა-ტერმინმა „ტრაბედია“ მიიქცია. როგორია ამ ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა? სადაური წარმომავლობისაა, საკუთრივ ბერძნული თუ ქართულ-კავკასიური? ან, სხვაგვარად რომ ვთქათ, რა კავშირშია ტრაბედიის ტრაბ ძირი ძველი ქართული ენის ტარიგ სიტყვასთან, როგორია ამ უკანასკნელის გენეზისი ქართველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში?

ძველ ბერძნულ ენაში ტრაბ (ტრაგოს) „თხა“-ს ნიშნავს. აკაკი ურუშაძის შენიშვნით, ტრაბედია „თხის სიმღერას“ აღნიშნავდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ტრაგიკულ აგონში (შეჯიბრში) გამარჯვებულ პოეტს იაფფასიანი თხით აჯილდოებდნენ, არამედ იმიტომ, რომ დიონისეს კულტან დაკავშირებულ რიტუალთა აღსრულების დროს დვთაების სახოტო სიმღერების შემსრულებელი გუნდის წევრები – სატირები თხის ტყავებით იყვნენ შემოსილნი. თხა ხომ მათ დიონისე დმეტოს წმინდა ცხოველად მიაჩნდათ [1,14]. ასე რომ ბერძნული რთული აგქელებების სიტყვა – კომპოზიტი ტრაბედია თავდაპირველი მნიშვნელობით „თხის სიმღერა“ ძველი ბერძნ. ტრაგოს „თხა“ და ძღვ „ხოტბა“-ს შეერთების შედეგად წარმოიშვა ძველ საბერძნეთში VI-V სს წვენს ერამდე [2]. ძველი ბერძნული ტრაბედიის ტრაბ ძირთან დაკავშირებით წვენი ყურადღება მიიქცია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქრისტეს ერთ-ერთმა ეპითეტმა ტარიგმა, რომელიც „ტრაბ“-ს ნიშნავს: „აჲა, ქრისტე, ტარიგი ღმრთისავ“ ი.1,36; (შძრ. რუს. „бог агнец божий“). ასეა ხანძეტ ტექსტებსა [3] და ქართული ოთხთავის ორ ბოლო რედაქციაშიც [4]. „ისტორია და აზმანიც“ ანალოგიურ ვითარებას ასახავს: „ტარიგი

უმანკონ, მსგავსი ძისა დმრთისა, ქრისტესი“ (92,22); „...და ვისითა მღდელთ-მოქმედებითა შეიწირავს უსისხლოსა მსხუერპლსა, ვითა ქლიტა მოსცემს ტარიგი დმრთისა დაკლვად თავსა თქმისა“ (იქვ, გვ. 119,23) [5]. შდრ. გურული ბატქი – „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი“ [6]

ტარიგ კრავადა განმარტებული ო. იმაიშვილის მიერ, ო. აბულაძე „პრავ. ბატქან“-ადაც განმარტავს [7]. პ. კეკელიძე კი „კრავის, ბატქანი“-ს განმარტებას „ზიარების მასალა“-საც უმატებს [5]. ქველ ქართულ წერილობით ძეგლებში არაიშვიათად ტარიგის ნაცვლად მისი სინონიმური ცალი კრავიც გვევლინება: „მოიბოთ... ტარიგი წელიწდეული“. Օ, მოიყვანეთ კრავი წელიწდეული, ც. ლევიტ; „წარგავლინებ თქუენ ვითარცა კრავთა შორის მგელთა“ ლ. 10,3. „მოვდეს მგელი კრავთა თანა“. ო. ესაია, 11,6; ... მოსცემდა ხარგება... ას ათასსა კრავსა. Օ.ტ. 3,4) ქველ ქართულ ში კრავ ფუძედ დასდებია ადამიანის საკუთარ სახელს – კრავაბ (მაგ., კრავაი ჯაველი – ისტორიული პიროვნება), ან კიდევ: კრავა ძველად, ისტორიული წეაროვნით, ავტორ-დამკვეთი ან გადამწერიც ყოფილა [8,315].

ს-ს ორბელიანის მიხედვით, ტარიგი კრავი, უბიწოდ ZAB. წლის კრავი C. თოხლი E. იმავე „სიტყვის კონაში“ ცხოვარ ლექსემის განმარტებისას ლექსიკოგრაფი კრავის, ბატქნისა და ტარიგის ასეთ განმარტებებს გვთავაზობს: კრავი – ვერძისა და ნერბის შვილი, ცხოვართ შვილი; ბატქანი – ჩვილი კრავი; ტარიგი – დიღი და უბიწოდ კრავი [9].

ძველი ქართველი ლექსიკოგრაფების დავით და ნიკო ჩუბინაშვილების განმარტებებიც ანალოგიურია: ტარიგი – კრავი წლისა უბიწოდ აგნეც [10], [11].

ქართული ენის მთის კილოებში, კერძოდ, ხევსურულ ში, შიშაქს (დედალ ცხვარს) ტარიგი ეწოდება, სანამ მოიგებდეს – „სატარიგე ბატქანი“, საპირისპიროა საგერძე ბატქანი [12,405-406].

ტარიგი შემოუნახავს ქართული ენის რაჭულ კილოს. ერთ-ერთ ხალხურ ლექსეში ვკითხულობთ: „წაიყვანეს თამარი, შესვეს ტარიგსა ცხენზედა“ [13,214].

დაისმის კითხვა: გვაქვს თუ არა ეს ლექსემა (ტარიგი) ქართული ენის სხვა დიალექტებში?

უნდა ითქვას, რომ ტარიგ ძირძველი ლექსემა ძველი ქართული ენის კუთხინილებაა, რადგან იგი არ შემოუნახავს ქართული ენის სხვა დიალექტებს, არ გვხვდება მეგრულ-ჭაბურსა და სვანურში. თვით ხევსურულ ში ეს სიტყვა მხოლოდ ა. შანიძის მიერაა ფიქსირებული XX ს-ის 10-იან წლებში.

თუმცა ახალ ქართულში, კერძოდ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეულის) მიხედვით, ეს სიტყვა უხმარიათ დაკით გურამიშვილს („ტარიგის“ და მწყემსის დედავ, მე ნუ დამიტოვებ მარტი“), აკაკი წერეთელს – გადატანითი მნიშვნელობით (შესაწირავი, რაც მსხვერპლად უნდა შესწიროს: „ცხოვრება მსხვერპლს ითხოვდა და ტარიგიც დიდი იყო“), გიორგი ლიონიძეს („ნუთუ არ ეყო ქართლის სამსხვერპლოს ურიცხვი მსხვერპლი, წმინდა ტარიგი“). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშვერ (რვატომეულში) იქვე დამოტმბებულია ტარიგის მესამე მნიშვნელობაც: რელიგ. „სეფისკვერიდან ამოჭრილი კრავის გამოსახულება“[14]. აღსანიშნავია, რომ ტარიგი ქრისტეს ეპითეტად ხშირადაა გამოყენებული ანტონ კათალიკოსის „წეობილსიტეკვაობაში“ [15,402], ტარიგი-ი პოემა „სადღეგრძელოში“ ნახმარი აქვს გრიგოლ ორბელიანსაც:

„ელისარ, შალვა, ბიძინა მტარვლისხან დატანჯულები,  
ტარიგათ, შესაწირავათ მახვილით განგმირულები“... [16,94]  
ტარიგ ლექსემას კარგად იცნობს ი. ჭავჭავაძეც [17,74].

XX საუკუნის ოციანი წლების პერიოდული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა ნიჭიერი მწერლის ბასილ მელიქიშვილის მოთხრობები. მის ერთ-ერთ მოთხრობას „ტარიგი“ ჰქვია (გამოქვეყნდა 1927 წელს), რომელიც შეიდი თავისგან შედგება. ამ ნაწარმოებში „ტარიგი“ მოთვარი მოქმედი გმირია. გმირის სახელად ქცეული ეპითეტი ტარიგი აქ, ამ მცირე მოცულობის მოთხრობაში, 30-ჯერად მოხსენიებული [18,125-138]. აკაკი ბაქრაძემ ჭაბუქა ამირეჯიბის რომანს „დათა თუთაშნიას“, მის მთავარ პერსონაჟს, 1975 წელს სპეციალური წერილი მიუძღვნა, რომელსაც „ტარიგი ღმრთისაი“ უწოდა [19,338-363]. ასე რომ ტარიგი დღემდე მოღწეული ტრადიციული სიტყვა-ტერმინია, დ. გურამიშვილის, ანტონ ბაგრატიონის (კათალიკოსის), გრ. ორბელიანის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, გ. ლელიძის, ბ. მელიქიშვილის, ა. ბაქრაძის... შემოქმედებაში ეს სიტყვა არქაიზმია და არა საყოველთაოდ გავრცელებული ნორმირებული სიტყვა.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქართული სახარების ტარიგს, კრაგს რუსულ სახარებაში *აგнეც* შეესაბამება, თუმცა დ. ჩუბინაშვილი თავის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ ტარიგს მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვაფორმას აგნიცას უძებნის (აგნიცა სახელი მდედრობითი სქესისა, ტარიგი)[20]. მ. ფასმერი კი ამ ლექსემას რუსულში ძევლი სლავურიდან ნასესხებ სიტყვად მიიჩნევს [21,61]. აღსანიშნავია,

რომ ეს სიტყვა-ძირი ინდოევროპულ ენებშიც გვაქვს: ფრანგულში ungneau [22], სომხურში agneau „გარნ“ -ადაა განმარტებული [23], ინგლისურის lamb „კრავი“, გერმანულ lamm „კრავი“, ziegen „თხა“-ს არაფერი აქვს საერთო „აგნეც“ ლექსეგმასთან. თვით რუსულში ეს სიტყვა ფრანგულიდანაა შესული, რომელიც თავის მხრივ სათავეს იღებს ლათინური aagnellus-იდან „აგნეოჩე ბარაშე“ [24].

როგორც გაირკვა, ძველი ქართული ტარიგი ანალოგს მხოლოდ ძველ ბერძნულ ტრაგოს, ტრაგედიისეულ ტრაგ ძირთან პოულობს (სხვათა შორის, ბერძნული სიტყვა „თხის“ მნიშვნელობით შესულა ლათინურში). დაისმის კითხვა: რა მოხდა ამ სიტყვაში ფონეტიკური თვალსაზრისით? ტრაგედია < \*ტარიგ-ედია (ა ხმოვნის ამოვარდნა-შეკუმშვა, რედუქცია) თუ ტრაგ < \*ტარაგ > ტარიგ? (შდრ. პურაკპარაკ > ლაპარაკ > ლაპარიკი-ი), ეს ახლა ძნელი სათქმელია. ძნელია იმის თქმაც, ტარიგ საკუთრივ ქართული ლექსემაა თუ ბერძნული. ვფიქრობთ, უფრო ქართული, რადგან:

1. სემანტიკურად თხა და ცხვარი, მათი ნაშიერი ახლოსაა ურთიერთობან. როგორც ცნობილია, დიონისეს კულტი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში აზიდანაა შესული..
2. ქართულ-კოლხური ტყაფ-ტკებ ძველ ბერძნულში ტკოვ ქართველური ენებიდან შეთვისებულ ძირს გვიჩვენებს [25, 908] შდრ. ქართული გვარსახელი (წარმოშობით ლაზურ-მეგრული ძირის შემცველი ფუძე) ტყებუაძე (=ქართ. ტყავაძე)
3. ოქროს საწმინა - ოქროს მოპოვება კოლხ-იბერებს, სვანებს ძველთაგანვე ახასიათებდა. ძველ ბერძნოთ ცნობით, ოქროს მოპოვება კოლხებს ცხვრის ტყავზე პქონდათ დაწერილი. აქედან ადვილი შესაძლებელია ცხვრის, ბატკნის შეწირვა (ტყავის შეწირვაც!) იმთავითვე რელიგიური დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ქართველურ-კოლხურ რელიგიურ რიტუალში. ქართული დიონისური დღესასწაული ცხვრის ტყავში მოსილი სატირები ბერძნულში „თხის ტყავის“ მატარებელ სატირებად იქცნენ (შდრ. ბერიკები და ბერიკაბის ვარიაციული ფორმები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...) ამრიგად, ტარიგ (ქართული ლექსემა) ცხვარს, ცხვრის ნაშიერს, ბატკანს, მოგვიანებით, საერთოდ, შესაწირავს დაერქვა, იმთავითვე ქრისტიანობამდელ ხანაში ბერძნულში ტრაგ (ტარაგ // ტარიგ) ფორმით შევიდა და დამკვიდრდა სემანტიკური სახესსხვაობით: ტარაგ > ტრაგ // ტრაგოს ბერძნულში არა ცხვრის ნაშიერად, არამედ თხის შვილად, თხის „კრავად“ იქცა (შდრ. გერმანული „ციგე“, ქართ. ციკანი <- თიკანი, \*ბათიკანი –> ბატკანი,

გურული „ბატკი“). ამჟამად ქრაფის, ცხერის შეწირვა (ქართველებში, მთელ სამაჲმადიანო სამყაროში ძველისძველი წარმართული ტრადიციის უწყვეტი გაგრძელებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ეროვნული მწერლობის უპირველეს პაგიოგრაფიულ ძეგლში („წამებაზ წმიდისა შუშანიკისი“) იაკობ ხუცესის მიერ შუშანიკის ტარიგად მოხსენიება აგრეთვე ძირძველი ტრადიციის ანარეკლია. როგორც მიუთითებენ, ძველი ებრაული ტრადიციაც კაცობრიობის მხსნელს, მესიას, სიმბოლურად ტარიგით გამოხატავდა [26, 63]. ასე რომ ტარიგის შეწირვა, „ტარიგობა“ წარმართობისდროინდელი მოვლენაა.

**PS.** სულხან-საბა თრბელიანის „სიტყვის კონაში“ ჩვენი ყურადღება მიიქცია ტარქე ლექსემამ, რომელიც ლექსიკოგრაფის განმარტებით, დამარილებულს აღნიშნავს („ეწოდების... დამარილულსა და არა { მელსა { ორცსა და თვეზსა...“) [9]. ტარქე სიტყვა ა- სუფიქსდართული და სემანტიკურად სახეცვლილი დღემდე შემორჩია თურქთში მცხოვრებ ჩვენებურთა მეტყველებას: ტარქება-ი „სუსტი აგებულების მოხუცზე“-ც გადატანა-თქმაც.

ცხადია, ქართულ აუთხურ-კილოურ მეტყველებაში და საერთოდ, ქართულ ენაში „დამარილულსა და არა { მელსა { ორცსა და თვეზსა...“ შინაარსისგან მნელი არ უნდა იყოს „სუსტი აგებულების მოხუცზე“-ც გადატანა-თქმაც.

ამრიგად, ძველი ქართული ტარიგ → სულხან-საბასეული (ანუ დიალექტური) ტარის // ტარქე // (ტარქება), ფონეტიკური პროცესი გ → ხ საგსებით რეალურია: როგორც ვიცით, ქართულ ენაში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, მელერი თანხმოვანი ყრუედება, ყრუ მკვეთრად ან ყრუ-ფშვინინიერად იქცევა. რაც შეეხება ტარიგის სემანტიკურ სახეცვლილებას, ესეც ორგანული და ბუნებრივი ჩანს: კრაფი → მსხვერპლი → ხორცი → დამარილებული ხორცი → სუსტი აგებულების „დაჩახანაკებული“ მოხუცი.

ენათმეცნიერმა-ლექსიკოლოგმა ი. ქერქაძემ ძველ ქართულში ცხოველების აღმნიშვნელ ლექსიკას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა [28]. მკვლევრის ვარაუდით, ტარიგ-ი უნდა მომდინარეობდეს სომხური სიტყვიდან „ტარი“, რაც ნიშნავს „წედს“ (გო); tarekan „ტარეკან“ „წლიანი“, „წლიური“. ავტორი ქმედარება და, როგორც ჩანს, იზიარებს მზ. ანდრონიკაშვილის ცნობას. იქევ მინიშნებულია, რომ არც აკად. ნ. მარი მიიჩნევდა ამ სიტყვას ქართულად, თუმცა მის წარმომავლობაზე არაფერია თქმულიო [29,269]. ვფიქრობთ,

ადვილი შესაძლებელია პირიქით მომხდარიყო – ქართული ტარიგ სომხურში დამკვიდრებულიყო „ტარი“ ფორმით: ტარიგ → ტარი. და თუ პირიქით – სომხურად დავსახავთ, მაშინ ძელი ასახსხელია, რატომ გაჩნდა ქართულში გ//ს ბოლოკიდური თანხმოვანი: ტარი → ტარიგ → ტარიხ //ტარეხ → ტარეხა? (შდრ. ტაოხი – ტაო, კოლა – კოლხი). ამრიგად, ქართ. ტარიგი (დიალექტ. ტარეხ // ტარეხა) → სომხ. ტარი



ძველი ბერძნ. \*ტარიგოს → ტრაგოს.

**PSP. ტრაგედია,** როგორც საერთაშორისო, ინტერნაციონალური სიტყვა-ტერმინი დღეს სამუელ ქართველურ ენაში გვაქვს (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური), მაგრამ ამ ლექსემის თავისებური ხმარებითა და ისტორიულობით გამოირჩევა ლაზური (resp. ჭანური). ლაზეთში ანუ ჭანეთში, თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, ტრაგედია ოდნავ სახეცვლილი ფორმით იხმარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს თურქული ენის გავლენის შედეგი კი არაა, არამედ ბერძნებითან ძველისძველი კონტაქტისა და კულტურულად თანაარსებობის-თანაცხოვრების ანარეკლი. ლირსსაცნობია, რომ ჭანურად ფერხულს, საფერხულო ცეკვას, მამაკაცოა მონაწილეობით, ობირუ ანუ ოტრადოდუ ეწოდება. პირველი ტერმინი (**ობირუ**) ო—უ ცირკუმფიქსითურთ (// თავსართოთა და ბოლოსართოთ) მთლიანად ჭანურია, როგორც წარმოებით, ისე ფუძითაც. შდრ. მეგრული ბირ-აფ-ა, ბირ-ა „ამდერება, მდერა, სიმდერა, გალობა“ [30,242]. ე. ი. საფერხულო სიმდერა. ასე რომ ობირუ საცეკვაო-სასიმღერო ფერხულის აღმნიშვნელი ტერმინია, ხოლო ოტრადოდუ ბერძნულიდან საკუთრივ ჭანურში შემოსული და დამკვიდრებული სახელდება მხოლოდ ფუძითაა ბერძნული (**ტრადოდ**, შდრ. **ტრადედია**) „საწარმოებელი აფიქსები ჭანურია (**ოუ**), იმავდროულად დაცულია ბერძნული ტერმინისატერმინი : ბერძნ. ო – ზანური (მეგრულ-ჭანური) ო. ამ სიტყვის ფუძის წარმომავლობა თურქულადაც რომ დავსახოთ (შდრ. თურქ. Trajedi, facia „ტრაგედია“), ბერძნულის უარყოფა-უბულებელყოფას მაინც ვერ შეგძლებო, მეტიც: თურქობამდე, თურქებთან ენობრივ-კულტურულ კონტაქტამდე-ლაზებს ბერძნებთან ერთად ხომ ერთიანი სახელმწიფო, ტრაპიზონის სამეფო, აერთიანებდათ. ლირსსაცნობია ისიც, რომ ჭანურშივე ობირუ // ოტრადოდუ ფერხულის აღმნიშვნელი სინონიმების გვერდით გვხვდება ბერძნულფუძიანი ლექსემა-

ტრადოდუმან, რომელიც ქალთა ფერხულის სახელდება. ესეც (ტრადოდ...) ბერძნული ტრაგედიის ფუძის „ბაჭანურებულ-გალაზურებული“ ვარიანტია.

საფიქრებელია, მსგავსი ძიება და კვლევა არაერთ ქართულ-ბერძნულ და ბერძნულ-ქართულ ენობრივ-კულტურულ და კულტუროლოგიურ ფაქტს გამოავლენს.

### ლიტერატურა და წყაროები

#### Referenses and origins

- kvintus horacius flakusi, poeturi xelovnebisatvis. laTinuridan Targmna, Sesavali werili da komentarebi daurTo a. uruSaZem, Tb., 1981 (Georgian)
- Benselers Griechisch-Deutsches worterbuch. Leipzig, 1985
- xanmeti teqstebi, nakveTi I. teqsti gamosacemad moamzada, gamokvleva da simfonia daurTo l. qajaim, Tb., 1984 (Georgian)
- qarTuli oTxTavis ori bolo redaqcia, teqsti gamosca da gamokvleva daurTo i. imnaiSvilma, Tb., 1979 (Georgian)
- istoriani da azmani SaravandedTani, (cda teqstis aRdgenisa) akad. k. kekeliZis redaqciiTa da gamokvleviT, Tb., 1941 (Georgian)
- Wyonia i., sityvis kona sulxan-saba orbelianisa da daviT CubinaSvilis leqsikonebSi gamotovebuli sityvebi, s.-peterburgi, 1910 (Georgian)
- abulaZe. i., Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1973 (Georgian)
- javaxiSvili. iv., sinis mTis qarTul xelnawerTa aRweriloba, Tb., 1947 (Georgian)
- orbeliani. s-s, Txzulebani, t. IV, avtografuli nusxebis mixedviT gamosacemad moamzada i. abulaZem, Tb., 1966 (Georgian)
- CubinaSvili d., qarTul-rusuli leqsikoni, meore gamocema, aRdgenili ofsetis wesiT. sastambod moamzada da winasityvaoba daurTo a. SaniZem, Tb., 1984 (Georgian)
- CubinaSvili n., qarTuli leqsikoni rusuli TargmaniTurT. al. Rlontis redaqciiTa da gamokvleviT, Tb., 1961 (Georgian)
- SaniZe a., mTis kiloTa leqsikoni. Txzulebani, t. I. qarTuli kiloebi mTaSi, Tb., 1984 (Georgian)
- ZiZiguri S, Ziebani qarTuli dialeqtologiidian, Tb., 1954 (Georgian)
- qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni, (rvatomeuli) arn. Ciqobavas saerTo redaqciiT, t. 6, Tb., 1960 (Georgian)
- bagrationi a., wyobilsityvaoba, gamosacemad moamzada, gamokvleva da komentarebi daurTo i. lolaSvilma, Tb., 1980 (Georgian)

16. orbeliani gr., poeturi nawerebis sruli krebuli, poezia (lirika, eposi, Targmanebi), akaki gawerelias Sesavali weriliT, redaqciiTa da SeniSvnebiT, Tb., 1951(Georgian)
17. ZiZiguri S., ilia WavWavaZe da qarTuli ena, Tb., 1978(Georgian)
18. meliqiSvili b., mkerdSebolili mercxali (moTxroebi), Seadgina al. gomiaSvilma, Tb., 1987 (Georgian)
19. baqraZe a., rwmena (literaturul-publicisturi werilebi), Tb., 1990 (Georgian)
20. CubinaSvili d. (// Д.Чубинов) Русско-грузинский словарь внов составленный по новейшим русским словарям Д.Чубиновым). СПб., 1886 (Georgian-Russian)
22. fasmer m. etimologiCeskii slovar russkogo iazika.. perevod s nemeckogo I dopolnenia C.k. an sssr o.n.trubaCeva, izdanie vtoroe, stereotipnoe, v Cetiriox tomax m. 1986 (Russian)
23. Dictionnaire francais-armenian turs. Venise, 1840
24. dvorecki i. x. latincko-russkii slovar, m. 1986
25. gamkrelidze t.v., ivanov biaC. vs. indoevropeiskii iazik I indoevropeici. II. rekonstrukcia I ictoriko- tipologiCeskii analiz praiazika I protokulturi. tb., 1984 (Russian)
26. xucesi iakob, wamebaB wmidisa SuSanikisi. ix. Zveli qarTuli literaturis qrestomaTia, meore gadamuSavebuli gamocema. Seadgines da komentarebi daurTes m. gigineiSvilma, l. grigolaSvilma, v. rodonaiam, Tb., 2003 (Georgian)
27. futkaraZe S., Cvneburebis qarTuli, wigni pirveli, baTumi, 1993 (Georgian)
28. qerqaZe. i., cxovelebis aRmniSvneli leqsika Zvel qarTulSi sxva qarTveluri enebis monacemebTan SedarebiT, Tb., 1974 (Georgian)
29. marr n. i. zametki po tekctam sv. pisania. xv. t. 2. vip. 3 1914 (Russian)
30. qajaia o., megrul-qarTuli leqsikoni. t. I Tb., 2001 (Georgian)

**Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze**

### Greek-Georgian lexical meetings.

#### I.To the etymology of one international word-term (“tragedy”)

##### **Summary**

The term **tragedy** has meant in Greek language “the goat ode”, “the goat song”. Old and modern signification of this word, as well as Kartvelian languages data gives us a nudge about Georgian origin of the root **trag** of this word. It is necessary to note, that in the ancient monuments of Georgian writing the word **tarigi** means “a lamb”, sacrifice, material for sacrificial offering, while in the Georgian lexicographic works the word **tarigi** is explained as one-year old immaculate lamb. In Khevsurian dialect the word **tarigi** still means a sheep. It seems, today the word **tarigi** doesn’t exist anymore in other dialects. In old Georgian **tarigi** is used as an epithet of Jesus Christ. It’s noteworthy that the word **tarigi** (“one-year old lamb”) has remained also in old Armenian language in the form of **tari**, where the last consonant **g** is lost: **tarig** → **tari**. Thus, it seems that in ancient times this word entered into Armenian language from Georgian. According to Sulkhan-Saba Orbeliani the word **tarekh** means “salted”. It’s necessary to note that this word, with addition of flexion **a**, in complicated and semantically modified form **tarekha** still exists in the speech of Georgians, living in Turkey: in their speech this word denotes epithet of “elderly man of weak constitution” (i.e. withered, weak, emaciated...). Taking into consideration all above mentioned, it’s possible to make the following conclusion: old Georgian **tarig** → the word **tarikh/tarekh**, taken from Sulkhan-Saba Orbeliani lexicon → the word **tarekha**, taken from the speech of Georgians, living in Turkey; all they are Georgian words: the process of replacing **g** → **kh** is quite real, as well as substantive and variational modification of the word **tarig** is also natural: **lamb** → **sacrifice** → **meat** → **salted meat** → **elderly man of weak constitution**.

Georgian **tarig** → Greek **\*tarigos** → **tragos** (hence: **tragedy**) are originated from common root **tarig** (>**trag**). So, the root of tragedy, the word **trag** is originally Georgian.

Tragedy, as a term and an international word is available today in all three Kartvelian languages (Georgian, Svan, Zan or Megrelian-Laz), but Laz (the same Chan) Language differs among them by original use of this word, as well by historicity and variational forms. Among Georgians, living in Lazika (Lazistan), in Turkey the word **tragedy** in these days is used in slightly modified form; it’s noteworthy, that in Chan-Laz language the word

perkhuli (round dance with participation of men) is denoted as **obiru** and **otragodu**. The first term (o-bir-u) with prefix-flexion o-u is a Laz-Chan word, both by word-formation and by its root. Comp. with bir-af-a, bir-a “begin to sing, singing, song, chant), i.e. song for perkhuli. So, **obiry** is the term, which denotes dancing-song perkhuli, while **otragodu** is the title, borrowed from Greek language, which is entered and inculcated in Chan language (it is the Greek word only by its root. **Tragod**, comp. with traged(y)). Prefix and flexion **o-u** are of Laz origin, and at the same time the accordance in sounds is kept: (Greek **a** – Zan **o**). It’s also necessary to note, that along with synonym **obiru/otragodu** (which means perkhuli), there is an old Greek word-term **tragoduman** in Laz-Chan language, by which women’s perkhuli is denoted.

Deep and close relationships of Georgian-Greek contacts and Kartvelian language- Georgian-Greek contacts in the ancient Greek world is obviously demonstrated by above mentioned words. There are no doubts, that studies carried out in this direction will reveal many more language-culturological terms.

**Keywords.** tragedy, trag, tarigi, tar, tarekha, obiru, , otragodu, tragoduman, Tragod, Greek language, Kartvelian languages, Kartvelian languages (Georgian, Svan, Zan or Megrelian-Laz), Greek-Georgian lexical meetings, Georgian origin, Georgian lexicographic, Khevsurian dialect, old Georgian, Georgians, Chan-Laz language// Laz-Chan language, Georgian words, , old Armenian language, Armenian language, Greek language, Georgian-Greek contacts, Greek world, old Greek word-term,language-culturological terms.Turkey, Lazika (Lazistan), Jesus Christ, Sulkhan-Saba Orbeliani, Sulkhan-Saba Orbeliani lexicon.

**Reviewer-** Professor Temur Jagodnishvili, Georgian Technical University.

**Цхададзе Бадри Андреевич, Цхададзе Ека Гурамовна**

### **Греко-Грузинские лексические встречи. I. К этимологии одного международного слова-термина («трагедия»)**

#### **Резюме**

Термин **трагедия** в греческом языке означал «козлиную оду», «козлиную песню». Старое и современное значение этого слова, а также данные картвельских языков навели нас на мысль о грузинском происхождении корня слова трагедия - **траг**. Необходимо отметить, что в древних памятниках грузинской письменности слово **тариги**

означает «ягненка», жертву, «материал для жертвоприношения», а в грузинских лексикографических трудах **тариги** разъясняется как годовалый непорочный ягненок. В хевсурском диалекте и по сей день словом **тариги** обозначают овцу. Как видно, в других диалектах слово **тариги** на сегодняшний день уже не существует. В древнегрузинском **тариги** применяется как эпитет Христа. Заслуживает внимания, что слово **тариги** («годовалый ягненок») сохранилось и в древнеармянском языке в форме слова **тари**, в котором утеряна крайняя согласная г: **тариг** → **тари**. Таким образом, это слово по всей видимости в древние времена вошло в армянский язык из грузинского. По Сулхан-Саба Орбелиани слово **тарех** означает «засоленный». Необходимо отметить, что это слово с окончанием **а** в усложненной и семантически видоизмененной форме **тареха** сохранилось в речи грузин, проживающих в Турции: в их речи это слово означает эпитет «пожилого человека слабого телосложения» (т.е. увядший, слабый, изнуренный...). Суммируя все вышесказанное, можно сделать следующий вывод: древнегрузинское **тариг** → слово, взятое из лексикона (словаря) Сулхан-Саба Орбелиани **тарих//тарех** → слово, взятое из речи грузин, проживающих в Турции **тареха** собственно являются грузинским словом: процесс замены г → х вполне реален, семантически также естественны содержательные и вариационные видоизменения слова **тариг**: **ягненок** → **жертва** → **мясо** → **засоленное мясо** → **пожилой дряхлый человек слабого телосложения**.

Грузинское **тариг** → греческое \* **таригос** → **tragos** (отсюда: **трагедия**) происходят от общего корня **тариг** (> **траг**). Таким образом, корень трагедии слово **траг** по происхождению является грузинским.

Трагедия, как термин и как международное слово, сегодня имеется во всех трех картвельских языках (грузинский, сванский, занский или мегрельско-лазский), однако лазский (тот же чанский) язык выделяется среди них своеобразным использованием этого слова, историчностью, вариационными формами. Среди грузин, проживающих в Лазике (Лазистане), Турции **трагедия** на сегодняшний день используется в слегка видоизмененной форме, достойно внимания, что в чанско-лазском слово перхули (круговой танец с участием мужчин) обозначается как **обибу** и **отрагоду**. Первый термин (о-бир-у) с приставкой-окончанием о-у является лазско-чанским словом, как по словообразованию, так и по корню. Ср., мегрельское бир-аф-а, бир-а «запевание, пение, песня, песнопение», т.е. песня для перхули. Таким образом, **обибу** является термином, обозначающим танцевально-песенное перхули, а **отрагоду** - название, заимствованное из греческого, вошедшее и укоренившееся собственно

в чанском (оно только лишь по корню является греческим. **Трагод**, ср. трагедия). Приставка и окончание являются лазскими **օ-у**, одновременно соблюдается и звуковое соответствие: (греческое **α** - занское **օ**). Также необходимо отметить, что одновременно в лазско-chanском же, наряду с синонимом **обибу//отрагоду**, обозначающим перхули, имеется также древнегреческое слово-термин **трагодуман**, которым обозначается женское перхули.

Глубинные тесные взаимоотношения грузино-греческих контактов и картвельский языково-культурологический вклад в древнегреческий мир наглядно проявляется и в вышеуказанных словах. Несомненно, что исследование, проведенное под этим углом выявит еще один языково-культурологический термин.

**Ключевые слова.** трагедия, траг, ариги, тари, тарех, тареха, обибу и отрагоду, трагод, трагодуман; трагодуман - женское перхули-пляска, бир-аф-а, вариационные видоизменения слова, грузинское слово, греческое слово, международное слово, мегрельское слово, обибу является термином, обозначающим танцевально-песенное перхули, греческий язык, картвельские языки, Турция; грузин, проживающих в Турции, грузин, проживающих в Лазике (Лазистане), чанское слово-термин, грузино-греческие контакты, хевсурский диалект грузинского языка, древнегрузинский язык, древнеармянский язык, армянский язык, грузинский язык, картвельские языки (грузинский, сванский, занский или мегрельско-лазский), чанско-лазское слово перхули, картвельский языково-культурологический вклад, древнегреческий мир, языково-культурологический термин. Христос, Сулхан-Саба Орбелиани.

**Рецензент-** профессор Темур Джагоднишвили, Грузинский технический университет.

## ეთერ ბერიძე

### ნიბალის ხეობის მცხოვრებთა მატყველება

ორად გახდეჩილი საქართველო – სარუსეთო და ოსმალოსი, ძალიან აღელვებდათ ჩვენს დიდებულ, არცოუ ისე შორეულ წინაპრებს. მაგ., დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ ლოგინად მიჯაჭვულ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ინტერვიუში უთქამს: „დიდი სიამოვნებით ვეგებდი მაკმადიანი ძმებისადმი ჩვენი საზოგადოების უკრადვების გაცხოველებას. ავადმყოფის სარუცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მიღების იმედი, რომ ქრისტიან და მაკმადიან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებს. პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო, დიდებული მესხეთი – ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამაკმადიანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა. იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი მმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე... ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა!

დღესდღისობით ქართველი მაკმადიანებისათვის უველაზე უფრო საჭიროდ მიმაჩნია მორალური თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება“ [1,237]. სამწუხაოდ, კ. წ. საბჭოურმა ეპოქამ რბილად რომ ვთქათ, მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეაფერება სამხრეთ საქართველოსთან ურთიერთობა, ჩვენებურთა ნახვის სურვილი და ინტერესი კი გაუნედებელი რჩებოდა.

ახლაც, პოსტსაბჭოურ ეპოქაში ჯერ კიდევ ბევრ ქართველ სპეციალისტს არ უხილავს სამხრეთ საქართველო, მისი მატერიალური თუ ეთნოკულტურული, ეთნომუსიკალური თუ ეთნოქორეგორაფიული წარსულით, არ დაინტერესებულა ჩვენებურთა მეტყველებით. ქართული ენის დიალექტთაგან იმერხეული (კლარჯული) კილო ერთ-ერთი თავისებური და „ქრელი“ ერთეულია. თავის დროზე იმერხეული კილოს ენობრივი თუ ფოლკლორული ნიმუშები ჩაწერა აკად. ნ. მარმა (1911 წელს), აქ იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმაც... ენობრივი თვალსაზრისით, იმერხეული ახლოს დგას ქართული ენის სამხრეთ და დასავლურ დიალექტებთან: უწინარეს, აჭარულთან, შემდეგ – სამცხე-ჯავახურთან, გურულთან; თავს იჩენს ქართლური ფენაც [2, 375-378], [3, 576].

ტაო-კლარჯეთი კვლავ ელის არაერთ ქართველ ფილოლოგს (ენათმეცნიერს, ფოლკლორისტს...) არქეოლოგს,

ისტორიკოსს, ეთნოგრაფისა და ეთნოლოგს, თუ ხელოვნებათმცოდნეს. საკვლევი არაერთი და არაერთმხრივია... ამ ქუთხით, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის მკიდრი, ჩვენც დავინტერესდით, ავისრულეთ დიდი ხნის ოცნება – ლინგვისტურ-დიალექტოლოგიურად თუ ფოლკლორული თვალთახედვით დაგვეხვერა ნიგალის ხეობის მცხოვრებთა ეთნოგელტურული და სამეტყველო სივრცე. ამ მიზნითა და სურვილით 2007 წლის ზაფხულში, ჩვენივე ინიციატივით, ნიგალის ხეობაში მოვაწყვეთ ექსპედიცია. ჩავწერეთ ტოპონიმები, ანთროპონიმები, დაგამზადეთ დიდ სოფელთა რუკები ტოპონიმების მიხედვით (ტოპონიმიკურ-დიალექტური ატლასი), ავსახეთ ვიდეოფირზე ამ ხეობაში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, აგრეთვე ჩავწერეთ ჩვენებურთა სამეტყველო ტექსტები და ფოლკლორული ნიმუშები, რომელთაგან, თემატური თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ: 1. სახასიათო-სატრაფიალო ლირიკული ლექსები, 2. საოჯახო კულინარიის ამსახველი ტექსტები და ტერმინები, 3. მუპაჯირობა და მისი კვალი დღევანდელობაში, 4. საქორწინო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა, 5. საამშენებლო დიალექტური ლექსიკა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის კუთხეთაგან ნიგალის (ლივანას) ხეობა ანუ ნიგალისხვი ფიზიკურ-გეოგრაფიულად არც ისე მნიშვნელოვანი ხევია, მაგრამ თავისი მოხერხებული მდებარეობითა და ბუნებრივი რესურსების წყალობით თითქმის მთელი ჭოროხის ქვემო დინების სახელად იქცა. ნიგალი ბარის სოფელია – ხევის მარჯვენა სანაპიროზე და დიდად არც ჭოროხს არაა დაშორებული. როგორც აღნიშვნები, ნიგალი ამ ხევს მას შემდეგ უნდა შერქმეოდა, როცა ხევის ცენტრმა ბარში გადმოინაცვლა [4, 3].

ისტორიული ლივანის ხეობა მოიცავს ბორჩხის, მურდულის, ართვინის, ხების, დუღესქელის, ქლასქურის, ბელლევანის, ზედა მარადიდის, კირნათის, კობალეთის, შუშანეთის, გვარას, ქვედა მარადიდის (ეს ხუთი უკანასკნელი საქართველოს შემადგენლობაშია) ნაწილებს, იგი მოქცეულია დასავლეთიდან პონტოს ქედს, აღმოსავლეთიდან არსიანის მთებს, ჩრდილოეთიდან შავშეთის მთებსა და სამხრეთით კარჩხალის მთებს შორის. მოიცავს ჭოროხის ქვემოწელს ართვინის სოფელ არიბულაგიდან (ძველი ქართული სახელი მელო) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ უბეგმდე.

**ბორჩების ტერიტორიაზე ჭოროხის მარჯვენა შენაგადების სოფლები:** დეველოპმენტის ხეობის - არავეთი, შუახევი, დევესქელი, ბაგინი, ქლასქერის ხეობის - ქვედა ქლასქერი, ზედა ქლასქერი; ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს სოფლები: იბრიკლი, ადგული, ხება; ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სოფლები: ჯივანი, არხვა, ტრაპენი, დამფალი, თხილაზრო, აგანა, კატაფხია, არწვეთი, მარადიდი და თყით ბორჩება და ართვინის სოფლი ქართლა ორენოვანია: ქართულადაც ლაპარაკობენ და თურქულადაც.

ექსპერიტის სამი დღე დაგუავით დეველოპმენტის ხეობის იაილებში, თეორი წყლის იაილაში არის სასტუმრო ტურისტებისათვის. ამ იაილაში იღებს სათავეს **მდ.თეორი წყალი.**

მემთეურებთან ერთად გარსევლაგის ტბაზე მოვაწყვეთ დაშქრობა. ჩვენ ვნახეთ ქარჩხალის კლდოვან-ებილოვანი მთების ძირში, 3000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ცისფრად და თეორად მოელგარე, გამჭირვალე, ნახევრად გაყინული და ყინულივით ცივი, ულამაზესი ტბა. ირგვლივ თოვლის დანქერები და 200-მდე მეტრის დაშორებით მმივებივით მიმობნეული მრავალფეროვანი ყვავილები..., ცხელი და მწერლი მზე და დურბინდის საშუალებით ხელისგულზე გადაშლილი ბათუმი, მაჭახლის გორგითის იაილა და აქ განლაგებული იუნესკოს პაკილიონები, ერთად ზემო და ქვემო მაჭახელი (თურქეთისა და საქართველოსი), ბუნების ულამაზესი ხედები. ამ მშვენიერების ხილვამ და ვარსკვლავის ტბაზე მოწყობილი ლაშქრობის მონაწილეობა, დევესქელის ხეობის მკვიდრთა მხიარულმა შეძახილებმა, გასამხნევებელმა და გასახალისებელმა გასროლებმა, რომელთაც მთები ექს აძლევდა, მოლაშქრეები შაირის ხასიათზე დააყენა და ჩვენც მოვიმარჯვეთ მიკროფონი. ყველაფერმა ამან სისარულს დაგვაუფლა, დაღლილობა საერთოდ დაგვავიწყა, წამოსვლა აღარ გვინდოდა. გაგვიჩნდა აზრი - ხომ შეიძლება, ხოვა-“მასკლავაგოლის” საჭაერო ტურისტული მარშრუტის დაწესება გარსევლაგის ტბისა და საერთოდ თურქეთის საქართველოს ამ უმშვენიერესი პეიზაჟების ხილვისათვის, როგორც ეს თბილისი-სვანეთის საჭაერო ტურისტული მარშრუტია!

ე. თაყაიშვილის შენიშვნით, თურქეთის საქართველო ანუ „სამუსულმანო საქართველო“ ძირითადად მთელი ჭოროხის რეგიონს მოიცავდა - სამ დიდ პროვინციას - კლარჯეთს, ტაოს და ისპირს. საზღვრები ამ პროვინციებისა ზოგჯერ იცვლებოდა. მაგრამ საზოგადოდ კლარჯეთი შეადგენდა, ფართო მნიშვნელობით, ამ სახელისა, ქვემო წელს ჭოროხის

ბასეინისა და დაახლოებით უდრიდა ყოფილ ბათუმის ოლქს სოფელ მელომდიშის“ [5,197].

1970-იან წლებში (საბჭოთა კავშირის ქ. წ. „ჩაკეტილი სივრცეში“ არსებობის პირობებში), თურქეთში სპეციალური მივლინებით საქართველოდან იმყოფებოდა „ტურისტული“ ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულ იქნა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით (ჯგუფის ხელმძღვანელი ნოდარ (ვასიკო) კომანდე, შემდგომში XX საუკუნის მიწურულს, საქართველოს ელჩი თურქეთში, წევრები: რამაზ შიშნიაშვილი, ილიზ (ილდიზ) ჭოლოშვილი, მარადი და პაპუნა მინდელები, ნინო და მარინე ჯიქიები, ციცინო გაბისკირია, ნოდარ ასათიანი (თხუ პროფესორი), მელქნტი სანქციის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კათედრის გამგე), თამარ სიმონიძე, მანანა ჯამასპიშვილი, ლია ჩლაიძე (აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი), თამარ იმნაძე, ბესარიონ (ბესიკ) სვანიძე (ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი) და სხვ. [6,216]. ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილის, პროფ. ბ. სვანიძის მიერ იმ დროს თურქეთში ჩაწერილი ტექსტები ძვირფასი მასალა აღმოჩნდა ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის [7,222-224].

თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველებას სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა ჩვენმა კოლეგამ, ენათმეცნიერ-დიალექტოლოგმა შ. ფუტკარაძემ, რომელმაც 1993 წელს ბათუმში გამოსცა პირველი წიგნი „ჩვენებურების ქართული“ საკუთარი საველე მუშაობის შედეგად მოიძებული დიალექტური ტექსტებით, ლექსიკონითა და გამოკვლევითურთ [8]. მკვლევარს გამოსაცემად მზად აქვს მეორე წიგნიც.

უცხოელ მეცნიერობან ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია დ. ს. ჰილზის ნაშრომი „ჩემი მოგზაურობანი თურქეთში“, სადაც ავტორი დაწვრილებით და ერთგვარი ნოსტალგიით მოგვითხრობს ქველი ლაზეთისა და ლაზების, ჭოროხის ხეობის, ბიზანტიური და ქართული ეკლესიების შესახებ [9,120-143].

ამ არცოუ მცირე ექსპურსის შემდეგ დაისმის კითხვა: როგორია თურქეთის საქართველოში, კერძოდ, ნიგალის ხეობაში, ენობრივი სიტუაცია? როგორ და რამდენ ენაზე მეტყველებები ჩვენებურები?

სანამ უშეალოდ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, ორიოდე სიტყვით ჩვენებურთა ყოფისა და მეტყველების მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ენობრივ ვთარებასაც შევხეოთ.

ქართულ-თურქული კონტაქტები და ჩვენებურებთან ურთიერთობა და ინტენსიური მიმოსვლა, კულტურულ-სახელმწიფოებრივი კონტაქტები 1990-იანი წლებიდან დაიწყო...

[10] როგორც ცნობილია, თურქელი სტატისტიკა ცალ-ცალება აღრიცხავს ქართულ და ლაზურ ელემენტს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის (კერძოდ, ტრაპიზონისა და რიზებ) მცხოვრებო, მართალია, ლაზე უწოდებენ, თუმცა აյ ბევრია მჰობლიურ ენადაგიწყებული ლაზი, ქართველი, სხვა ეროვნების წარმომადგენელი. როგორც მიუთითებენ, ოდესაც აბორიგენი მოსახლეობა (ლაზ-ქართველები...) უფრო ფართოდ იყო გაგრცელებული ანატოლიაში. მცირე აზის უძველესი ხალხები – ხეთები, ლიდიელები, კარიელები და სხვ. მოიცავდნენ ქართველებისა და ლაზების წინაპრებსაც [11,224]. თუმცა ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი დღესაც კომპაქტურად სახლობს მამაკაპურ მიწაზე და სახელებიც ქართული აქვთ, მაგრამ არაქართული (თურქელი) სახელდების მოძალება ტოპონიმებად თვალში საცემია. მაგ., როგორც რ. გაჩეჩილაძე მიუთითებს, XIX ს-ის ბოლოს ქართული ტოპონიმების რიცხვი გაცილებით მეტი იყო. ერთ-ერთი საარქივო მასალის მიხედვით ვიგებთ, იმ დროს ართვინის, ბათუმის ოკრუგებში და ყარსის ოლქში რა სახელდების სოფლები და ტოპონიმები გვქონდა (ავჭალა, ლიბი, ორი, ორისი, ენისეთი, ურეკი, საკურეთი და სხვ), ასევე არტანის უბანშიც: (თოროსევი, ხევა, ვარდოსანი, ჩიორა, მაჩევთი, ახაშენი, ორუშეთი, ხაშურეთი და სხვ), ართვინის უბანშიც: (ბერთა, წყალთერი, დოლისყანა, ახალდაბა, გურჯანი, კვარცხანა, აგარა, ბოსელი, წრია, ომანა, დამპალა, კორიდეთი, ჩხალეთი და სხვ.) არტანუჯის უბანშიც (უნუსევი, ხორაული, ხემოგრეთი, ბროშეთი, სამწყარო, ანჩი, ბიჭა, საღარა, კლარჯეთი, სახრე, ვარცხელი, ლონგოთხევი, ხერთვისი..) [12,535].

დღეს, სამწუხაროდ, ამ ტოპონიმთა დიდი ნაწილი მივიწყებულია იქაურ ქართველთაოვის. მივიწყებულია მათი ძირძევლი გვარებიც. ზოგიერთსდა თუ ახსოვს, ისიც ასაკოვანის. ცხადია, ყველამ იცის თურქელი, მოსახლეობის ერთი ნაწილი ორენევნია, ახალგაზრდა ქართველთა უმეტესობა – ერთენოვანი, მათ მხოლოდ თურქელი იციან. ამას მოწმობს ჩენეული დაკვირვება და მონაცემები.

მაგა, ჩვენს შეკითხვაზე:

ახალგაზრდაგ, სწავლობ თუ მუშაობ?

– „ასკერში მივალ, ოქული დეილია“ (ჩვენი მასალ. გვ. 126).

„– სკოლაში ხწავლობ, გოგონა?

– გიდიორუგმ, გიდიორუგმ.

– რაძღვნი წელი უნდა იხსავდო?

– ათი.

– ლექსები იცი?

— ოურქებე ვიცით, გურჯიშე კერ გავაფერავთ“ (ჩვენი მასალ. გვ.119)

ან კიდევ:

„— გოგონა, სკოლაში სწავლობა?

— გურჯიჯა რამ არ ვიცი.

— დარტები გურჯიჯა კერ ვაზირობენ“, — განგვიმარტიაგს მათი მჰობელი (ჩვენი მასალ. გვ. 120)

ან კიდევ:

„— ოქენეს ოჯახში იციან ქართული?

— ჩემებმა იგნებენ, მარა კერ ვაზირობენ.

— სიტყვა „მეზობელი“ იციო?

— მოზობელი ვიცით.

ნათესავი?

— ნათესავი რა აღი, ნათესავი მე არ ვიცი, კერ გვევნი“ (ჩვენი მასალ. გვ. 121)

გვაჭებს კონტრასტული, ჩვენთვის მოსალოდნელი ან ნაკლებმოსალოდნელი თუ მოულოდნელი პასუხებიც: თეორიწყლის იაილაზე ერთ ქალს ვეკითხები ვინაობას და ისიც დაუზარებლად გვიყვება თავისი ოჯახის ამბავს: — „მე ერთი კაცი მყავდა, ისიც მომიყდ.“

— ჩემი კაცი ქორწილდება, მე მეორე ვარ, მესამედ ქორწილდება.

— აქ კანონია მეორე ცოლის მოყვანა?

— არ არი“ — მპასუხობს გულახდილად.

გუვენ ალფაიდინი, სოფელ არავეთის მკვიდრიც, გულახდილია: „... აქ თურქები არ არიან, გურჯი ითხოვს, წესი მი იცის, ხასიუთი იცის, აქ არი მართალი ქართველები, ჩვენი ქართველები და ჩვენი ყველამფერი ერთნაირია, მარტო ერთი ღვინო არ იცნ“ (ჩვენი მასალ. გვ. 126)

ზოგიერთი „მართალი ქართველი“ საქართველოს სატელეფონო ქსელ ჯეოსელითაც სარგებლობს: „მე იქავრი კარტი მაქვა, ჯეოსელი“, — მეუბნება სოფელ ხების მკვიდრი ბუკრან ალბაირაქი, ყავაზოდლი, იგივე ყავაზიშვილი (ჩვენი მასალ. გვ. 127) (შდრ. ქართული გვარსახელი კავაზაშვილი).

ერთ-ერთი მათგანი გულისტავილით გვიზიარებს თავის აზრს ზოგიერთ ცუდად მქცევ ქართველზე: „...ამ გურჯებმა თელი შემაზარენ, ჩვენ ასე არ ვიყავით, მუსაფირი სულ ვიზამთ ჰამა, რაფერ გითხრა, ახლა ქალებიც, კაცებიც.. მე გურჯი ვარ, მაგრამ ქართველი ვარ, ვერ ვიტყვი, მცხვენია“, — ბოლომდე არ გვიმხელს თავის სათქმელს.

ნიგადის ანუ ლიგანის ხეობის მცხოვრებთა ყოფისა და მათი მეტყველების შესახებ ჯერ კიდევ ზ. ჭიჭინაძე

აღნიშნავდა: დევის (დევესქელის) რეგიონში „ხალხი მეტად მძიმედ და უფრო ჯავახურის კილოთი ლაპარაკობს ქართულად. მოხუცებულებმა მიამძეს, ჩვენში ასეთი განსხვავება იმიტომ არის, რომ ჩვენ აქ დიდი ხნის მოსულები ვართ. ჩვენ გურჯისტანიდგამ მოგსულვართ, ახალციხიდამ. აქ ძველად ვინც მდგარან, ოსმალეთში გაურეკიათ, რადგანაც სჯულის გამოცვლა არ სდომიათო“ [13]. ცნობილია, რომ ოსმალებისგან მიტაცებულ საქართველოს თან მოჰყვა მუჭაჯირობა. პარადოქსია ის, რომ მუჭაჯირობამ ყველაზე მეტად თავი იმ უბნებში იჩინა, სადაც ქართული ენა მეტნაკლებად შენარჩუნებული იყო, მათ შორის, ნიგალის ხეობის სოფლებში [14,74]. ამიტომ, ვიცოდით რა ეს, არაიშვიათად ვეკითხებოდით ასაკოვნებს ამ მოვლენის შესახებ. დღესდღეობით მათი მეტყველება საგრძნობლად რთულია, იმდენად შემოჭრილა მათ ყოფაში მუსულმანურ-თურქული ტრადიციები და თურქული ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმები. ასე გასინჯეთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ჩვენებურს აქვს სატელიტური ანტენა-თევზები და ქართულ გადაცემებსაც ყურს უგდებენ, ეხამუშებათ და უჭირთ გაგება ჩვენი სატელევიზიო გადაცემებისა და ტელედიქტორებისა თუ, საერთოდ, თანამედროვე ქართველთა სწრაფი მეტყველებისა და ინტონაციისა. ხშირ შემთხვევაში ისინი ადსაქმელ ტექსტს ვერც იგებენ. ჩვენ მიერ თუ სხვათა მიერ თითო-ოროლა ქართული წიგნის ჩატანა-ჩუქება საქმეს ნამდვილად ვერ უშენების. საჭიროა სახელმწიფო მიდგომა და უფრო მეტი მჭიდრო ურთიერთკავშირი, თორებ შემდგე ყოველივე გვიანი იქნება. ამის დასტურია, ჩვენ მიერ შეკრებილი ფოლკლორულ-დიალექტური სალექსიკონი მასალები (ვაპირებთ ცალკე წიგნად გამოცემას), სადაც ლამის თანაბრად, თუ უფრო მეტად არა, ქართულის გვერდით წარმოდგენილია თურქულ-არაბულ-ხარსული დექსივა და ფრაზეოლოგიური სიტყვები, რომლებშიც წვდომას – შინაარსის დადგენას ზოგჯერ სპეციალური მიება სჭირდება.

### ლიტერატურა

#### References

1. vaJa-fSavela, Txzulebani (axlad gamovlenili nawarmoebebi), erTtomeuli gamosacemad moamzada, Sesavali werili, variantebi, SeniSvnebi da komentarebi daurTo levan WilaSvilma, prof. j. WumburiZis redaqciiT. Tb., 1979 (Georgian)

2. gigineiSvili. i., Tofuria v., qavTaraZe i.. qarTuli dialeqtologia, I. (dialeqtTa ganxilva, teqstebi. leqsikoni), Tb., 1961 (Georgian)
3. jorbenaze b., qarTuli dialeqtologia, I. Tb., 1989 (Georgian)
4. sixaruliZe i., nigali (saistorio geografiis masalebi), baTumi, 1985 (Georgian)
5. TayaiSvili e., samusulmano saqrTvelo. ix. kreb.: dabruneba (mravaltomeuli). e. TayaiSvili, emigrantuli naSromebi, I. g. SaraZis saerTo redaqciiT. Tb., 1991 (Geoprgian)
6. svaniZe b., Turquli dRiuri. Tbilisis eqvTime TayaiSvilis saxelobis kulturisa da xelovnebis saxelmwifo universitetis samecniero Sromebis krebuli. II. Tb., 2004 (Georgian)
7. cxadaZe b., b.svaniZis `Turquli dRiuri~ da misi samecniero mniSvenloba. ix. Tbilisis eqvTime TayaiSvilis saxelobis kulturisa da xelovnebis saxelmwifo universitetis samecniero Sromebis krebuli. II. Tb., 2004 (Georgian)
- 8futkaraZe. S., Cveneburebis qarTuli. wigni pirveli, baTumi, 1993 (Georgian)
9. hilzi. d. s., Cemi mogzaurobani TurqeTSi (Targmani inglisuridan r. gaCeCilaZisa. ix. mimomxilveli (samecniero-bibliografiuli krebuli), #6-9, Tb., 1972 (Georgian)
10. karbelaSvili a., qarTvelebi TurqeTSi cis qveS, Tb., 1991 (Georgian)
11. eremeev d.e. Etnogenet turor. M., 1971 (Russian)
12. gaCeCilaZe r., qarTuli mosaxleoba Tanamedrove TurqeTSi. mimomxilveli (samecniero-bibliografiuli krebuli), #6-9, Tb., 1972 (Georgian)
13. WiWinaZe z., werili livanidgan. I. iveria, # 165, 1983 (Georgian)
14. surmava. n., kirnaT-maradidis metyvelebis erTi Taviseburebis Sesaxeb. ike, t. XXIX, Tb., 1990 (Georgian)

### **Eter Beridze**

#### **Linguistic situation in the Nigali gorge**

#### **Summary**

Nigali gorge is one of the beautiful places of Turkish Georgia. Georgian-Turkish contacts, interrelations and intensive communication with our compatriots, cultural-state contacts have begun from 1990<sup>th</sup> years. As it well known Turkish statistics separately registers Georgian and Laz elements. One part of Georgian population compactly lives to the present time on the mom-and-pop's land and wears Georgian names, but the dominance of non-Georgian (Turkish) names as toponyms is obvious. Unfortunately today most of the toponyms are forgotten by local Georgians. Ancient surnames are forgotten, too. Only old men still remember their surnames. Of course,

everyone knows Turkish language, one part of a population is bilingual, while most of young Georgians are unilingual, and they know only Turkish. This fact is confirmed by observation carried out by us and by dialect texts data.

Guven Alfaydin, inhabitant of village Araveti is free-spoken: “There are no Turks here, Gurji (Georgian) marries only Gurji woman, because he knows well her custom, character, we are real Georgians, we are Georgians and everything we have, is the same, only wine is the one thing we don’t know”.

Some of “real Georgians” use Georgian telephone network “Geocell”: “I have got a card of those places, Geocell”, – the inhabitant of village Khebi, Buhran Albayrak, Kavazogly, the same Kavazishvili says (our materials, p. 127) (for ref. Georgian surname Kavazashvili).

One of them with a sore heart shares his own view of some Georgians, who behave ill: “Those Gurjis discredit us; we were different from them... I’m Gurji, but I cannot say that I’m Georgian because I feel a shame”, – he nevertheless understates what he would like to share with us.

Today the speech of Nigali gorge inhabitants is too difficult and incomprehensible for Georgian man and in contrary – Muslim-Turkish traditions and lexis as well as phraseological units of Turkish language take more firm roots in their everyday life. For example, despite of the fact, that some of our compatriots have satellite antennas-dishes and they have a possibility to watch Georgian broadcast, it is still very difficult for them to comprehend our TV programs or broadcasters and generally the fast speech and intonation of Georgians, living in Georgia. They even cannot understand easy perceptible texts. One or two Georgian books brought or gifted by us or someone else cannot mend a situation. The state approach is necessary in this case. All this is confirmed by folklore-dialect lexical materials, collected by us (we are going to issue a separate book). In these materials Turkish-Arabian-Persian lexis and phraseological words and expressions are presented almost equally along with Georgians ones (if not in a large quantities), and sometime special investigation is necessary to comprehend the sense and content of them.

**Keywords.** Linguistic situation in the Nigali gorge, Turkish Georgia, Georgian and Laz elements, Georgian names, Turkish language, Turkish-Georgian-Turkish contacts, cultural-state contacts, Turkish statistics separately registers, Georgian (Turkish) names as toponyms, village Araveti, village Khebi, Turks, Gurji (Georgian), Gurji woman, Nigali gorge, Georgian telephone network “Geocell”, intonation of Georgians,

Georgian books, folklore-dialect lexical materials, materials Turkish-Arabian-Persian lexis and phraseological words, Buhran Albayrak, Kavazogly same Kavazishvili, Georgian surname Kavazashvili, Muslim-Turkish traditions, phraseological units.

**Reviewer - Professor Temur Jagodnishvili, Georgian Technical University.**

**Беридзе Этер Левановна**

### **Языковая ситуация в Нигальском ущелье**

#### **Резюме**

Нигальское ущелье является одним из самых красивых в турецкой Грузии. Грузино-турецкие контакты, а также взаимоотношения и интенсивное сообщение с нашими соотечественниками, культурно-государственные контакты начались с 1990-х годов.. Как известно, турецкая статистика отдельно подсчитывает грузинский и лазский элемент. Одна часть грузинского населения и по сегодняшний день компактно проживает на земле своих отцов и носит грузинские имена, однако засилье негрузинских (турецких) наименований в виде топонимов является наглядным. Сегодня, к сожалению, большинство топонимов предано забвению тамошними грузинами. Забыты их древнейшие фамилии. Если же кто-то из них и помнит фамилии, то это в основном пожилые люди. Само собой, все знают турецкий, одна часть населения двуязычная, большинство молодых грузин – одноязычные, они знают только турецкий. Об этом свидетельствует проведенное нами наблюдение и данные диалектных текстов.

Гувен Альфайдин, житель села Аравети, был откровенен: «...Здесь турок нет, гурджи (грузин) женится на гурджи, потому что знает ее обычай, характер, здесь настоящие грузины, мы грузины и у нас все то же самое, только вино не знаем».

Некоторые «настоящие грузины» пользуются грузинской телефонной сетью «Джеосели»: «У меня тамошняя карта, Джеосели», – говорит житель села Хеби Бухран Альбайрак, Кавазоглы, он же Кавазишвили (наши матер., стр. 127) (для ср. грузинская фамилия Кавазашвили).

Один из них с болью в сердце делится с нами своим мнением о некоторых плохо ведущих себя грузинах: «Такие гурджи нас позорят, мы не были такими... Я гурджи, но что я грузин, не могу сказать, так мне стыдно», – он все же не договаривает до конца то, чем хотел поделиться.

На сегодняшний день речь жителей Нигальского ущелья весьма сложная, непонятная для грузинского человека и наоборот – в их повседневный быт все прочнее входят мусульманско-турецкие традиции и лексика-фразеологизмы турецкого языка. Так например, несмотря на то, что у некоторых из наших соотечественников есть сателлитные антенны-тарелки и они смотрят грузинские передачи, все равно они с трудом понимают наши телевизионные передачи и теледикторов, или вообще быструю речь и интонацию грузин, живущих в Грузии. Очень часто они даже не понимают воспринимаемый текст. Привезенные и раздаренные нами или еще кем-либо одна-две грузинские книги на самом деле не могут исправить ситуацию. Необходим государственный подход. Подтверждением этого являются собранные нами фольклорно-диалектные словарные материалы (собираемся выпустить их в виде отдельной книги), в которых почти наравне, если не в большем объеме наряду с грузинскими представлены турецко-арабско-персидская лексика и фразеологические слова-выражения, для постижения смысла и содержания которых иногда требуется специальное исследование.

**Ключевые слова.** Языковая ситуация в Нигальском ущелье, турецкая Грузия, грузинский и лазский элемент, Нигальское ущелье, турецкий язык, грузины, грузино-турецкие контакты, культурно-государственные контакты, турецкая статистика, негрузинская (турецкая) наименования, древнейшие фамилии, мусульманско-турецкие традиции и лексика-фразеологизмы турецкого языка, грузинские передачи, диалектные тексты, фольклорно-диалектные словарные материалы, турецко-арабско-персидская лексика, фразеологические слова-выражения, гурджи (грузин), настоящие грузины, речь и интонация грузин, живущих в Грузии. грузинские книги, государственный подход

**Рецензент** - профессор Темур Джагоднишвили, Грузинский технический университет.

## გიორგი ძიმიგური

### გოშვილი – თავისუფლებისა და ფისრიგის უნიკალური შრთიერთმიმართება

მრავალი ადამიინისათვის სიტყვა „ბოშა“, ალბათ, ცხოვრების განსხვავებულ აღქმასთან, ცეცხლოვან ცეკვებთან თუ მგზებარე მუსიკასთან ასოცირდება. ეს ხალხი უდარდელობის, მხიარულობის და თავისუფლების სიმბოლოდაა მიჩნეული. ისინი ეთაყვანებიან თავისუფლებას და, იმავდროულად, მაცრად იცავენ წესებსა და ტრადიციებს, იერარქიულ დამოკიდებულებას ჯგუფსა თუ კასტაში.

თავისუფლება ბოშებისთვის ცხოვრების წესის განმსაზღვრებია. მათ არა აქვთ საკუთარი სახელმწიფო, არ ჰყავთ ეროვნული ხელისუფლება და არმია. იშვიათად ჩერდებოდნენ საცხოვრებლად ერთ გარემოში 30 დღეზე მეტ ხასს. მათი სამშობლო მთელი მსოფლიოა. ხშირი მოგზაურობების გამო ბოშების დიდი ნაწილი თავის თავს კოსმოკოლიტად თვლის. ერთი ბოშა საქმაოდ ვრცლად გვიხსნის: „ჩვენ ინტერნაციონალური ხალხი ვართ. მოგგწონს მოგზაურობა და დავდივართ სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ არ გვიყვარს უწესრიგობა და არ ვერევთ სხვა ხალხების საქმეებში. ჩვენ არავინ გვძულს, მხოლოდ სამართლიანობა გვინდა ჩვენი შვილებისთვის. ჩვენი ერთ ერთმანეთისგან განსხვავებული სხვადასხვა ტომებისგან შედგება. თითოეულს საკუთარი წესები აქვთ. მაგალითად, ჩვენი ტომის წარმომადგენელი არ დაქორწინდება სხვა ტომის წარმომადგენელზე. წესად გვაქს ქცეული მოგზაურობა და ვამაყობთ ჩვენი ტრადიციებით, ბანაკებით, ეტლებით...“

ბოშა მშობლები პატარაობიდანვე ასწავლიან შვილებს თავისუფლებისადმი სიყვარულსა და უფროსების პატივისცემას.

ბოშებისთვის არ არსებობს სიტყვა „ჩვეულების“ შესატყვისი. ისინი თავიანთ განმეორებით მოქმედებებს, რიტუალებს თუ ხელშეუხებელ ტრადიციებს შემდეგნარად ხსნიან: „ამას იმიტომ ვაკომებო, რომ ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ ასე და სიხარულს განიჭებენ“.

ბოშების წინაპრები დაახლოებით 1500 წლის წინ ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობდნენ, სადაც თითოეული პიროვნება საზოგადოების ერთ რომელიმე ჯგუფს, კასტას მიეკუთვნიბოდა. არსებობდა ოთხი ერთმანეთისგან სოციალურად განსხვავებული კასტა: ქურუმები (ბრაჟმანები), მხედრები (ქამატრიები), ვაჭრები (ვაიშები) გლეხები (შუტრები).

შემდეგ მოდიოდნენ ე.წ. ხელშეუხებელნი, რომლებიც ბინძურ სამუშაოს ასრულებდნენ და არცერთ კასტას არ განეკუთვნებოდნენ.

იმსანად მდიდარ ინდოეთში მჭედელი, ვაჭარი და სხვა ბოშები ნომადური (მომთაბარე) ცხოვრებით შოულობდნენ ფულს. 800-1000 წლებში, როცა ახალი რელიგია, ისლამი გავრცელდა სამხრეთ აზიაში, ბოშებმა აქაც დაიწყეს „განვენა”. მათი ევროპაში შესვლა კი უკავშირდება ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის იმ პერიოდში გახშირებულ ომებს. ბოშა ხელოსნებს ატყვავებდნენ და აიმულებდნენ იარაღების, ცხენებისთვის ნალებისა და მათი ახალი ბატონებისათვის სხვა საგნების დამზადებას.

ბოშების გარკვეული ნაწილი მონობას გადაურჩა და ისე შემოვიდა ევროპაში. ისინი დაუახლოვდნენ მაღალი წოდებისა და მდგომარეობის წარმომადგენლებს, გაქრისტიანდნენ და ფაქტიურად ახალი ცხოვრება დაიწყეს. მაგალითად, 1417 წლს ბოშების 200 კაციანმა ჯავუმა ლიდერი ენდრიუს ხელმძღვანელობით გერმანიის იმპერიას მიაღწია. მათ იმპერატორს მოახსენეს, რომ შეა აღმოსავლეთიდან მუსლიმებს გამოეკცნენ, რომლებმაც ქრისტიანობა დაათმობინეს. ახლა კი კვლავ გაქრისტიანება და პილიგრიმებად გამგზვრება სურდათ ევროპის გარშემო. იმპერატორმა ენდრიუს ნდობა გამოუცხადა და პერცოგის წოდება მიანიჭა.

თავდაპირებელად ბოშების მიმართ ევროპელები ლიოალურად იყვნენ განწყობილნი, პერცოგი ენდრიუს მსგავსი ლიდერები კარგად ეწყობოდნენ ადგილობრივ მმართველებს. ისინი მდიდრული მოსახსამებით იყვნენ გამოწყობილები და სხვა კეთილშობილებს ჰგავდნენ. მაგრამ მოგვიანებით სიმპათია ანტიპათიამ შეცვალა. მკითხავ ბოშა ქალებს ისინი ისე უყურებდნენ, როგორც ჯადოქებებს. ზოგიერთი ბოშა ქურდბაცაცობასაც არ ერიდებოდა. ამიტომაც როგორც ეკლესიის, ისე საერო ხელისუფლების მიერ დაიწყო მათი შეეიწროება. მაგალითად, 1579 წლის შოტლანდიური კანონი მოხეტიალების წინააღმდეგ მეტყველებს მათ საშინელ წამებასა და შემდეგ ქვეყნიდან გაძევებაზე ან ჩამოხრჩობაზე. რასაკვირველია, მოეხეტიალებში ბოშებიც იგულისხმებოდნენ.

განსაკუთრებულად სასტიკი სახე ბოშების ეგზეტციამ II მსოფლიო ომის დროს მიიღო, როდესაც ფაშისტებმა 500000 ბოშა უმოწყალოდ გაანადგურეს. ამან საფუძველი მისცა მსოფლიო ბოშათა კონგრესის ჩამოყალიბებას, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი პირობები.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, საუკუნეების განმავლობაში ხეტიალით ბოშები 4 მირითად ტრმად (კალდერაში, მაქაიავა, ლოვარი, ქურარი) და ქვეჯუფებად (რომანიკელები, გიტანოები – Flamenco-ს ავტორები, სინტები, რუდარები, რუმ-უნგრელი ბოშები, ბოიაშები...) დაიყვნენ.

ყველა ჯგუფი დამოუკიდებელია, ხოლო ჯგუფს შეიგნიოთ თითოეული ოჯახი იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, მაგალითად, ვინმესთვის ბრალდების წაყენებისას ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია აზრის გამოოქმნა. თუმცა ზოგიერთი მათგანის მოსაზრება შესაძლოა მორალის საწინააღმდეგოდ ცნონ და დანარჩენებმა უარი განაცხადონ მათთან დალაპარაკებაზე, ტრმიდან მოკვეთა კი ნებისმიერი ბოშისთვის დიდი ტრაგედიაა. მიუხედავად ასეთი წესისა, მტკიცე მოსაზრების მქონე ბოშას შეუძლია დატოვოს ჯგუფი.

ბოშებს უყვართ სუფთა ჰაერზე კოცონის გარშემო შეკრება ამ დროს მათი საუბრები ხშირად ძველ მოთხროებს და ლეგენდებს ეხება. მათ საკუთარის მსგავსად აქვთ შემონახული არაბოშების მივიწყებული ფოლკლორი.

მშობლიური ენა ბოშებს ინდოეთიდან გამოჰვათ. თუმცა, მოგზაურობების შედეგად ისინი სხვადასხვა დიალექტებად დაიყო და თითოეული მათგანის ლექსიკა სპარსული, ბერძნული, განსაკუთებით კი რუმინული სიტყვებით შეიგსო და გამდიდრდა.

1969 წელს ერთ-ერთი ჩრდილოამერიკელი პოლიტიკოსი ამბობდა, რომ მას არ შეეძლო დახმარებოდა ბოშა მუშებს, რომლებსაც ფერმერები დაბალ ხელფასს უხდიდნენ, რადგანაც: „ისინი ბოშები არიან და მათ არ უყვართ მუშაობა” მიზეზი კვლავ მარტივია – თავისუფლება, რომელიც იმდენად დიდი ღირებულებაა ბოშებისთვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაცვლიან მას, მაგალითად, კომპანიების შინაგანაწესზე. ისინი უპირატესობას თვითდესაქმებას ანიჭებენ.

განსაკუთრებული ტემპერამენტი, რომელიც გამოარჩევს ბოშას სხვა ნებისმიერი ერისგან იგრძნობა ბოშურ მუსიკასა და ცეკვაში. (მთელ მსოფლიოში ცნობილია “Flamenco”, ბოშური ჯაზი. ცნობილი ბოშა მუსიკოსები: რეინარდტი, პაპასოვი, იუნაკოვი...)

ბოშების კულტურა საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ადაპტაციას იმ ქვეინის კულტურებთან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მათთვის უპირველეს ტრადიციებს და ძველთაგანვე ჩამოყალიბებულ ნორმებს ისინი ინარჩუნებდნენ

ეწ. აუგსაიდერებთან, ანუ, არაბოშებთან კოოპერაციის პირობებშიც კი.

თითქმის ყველა ნომადი ბოჭა ვაგონებში ცხოვრობს, რომლებსაც სატვირთოებს უბაძენ და გადაადგილდებიან. ამ მხრივ მათი მთავარი პრობლემა სადგომის უქონლობაა, რაღანაც დასავლეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია და ამიტომ ისინი ხშირად ხდებიან პოლიციის თუ თანამდებობის პირების დევნის ობიექტები.

დღეს-დღეობით მსოფლიოში 12 მილიონზე მეტი ბოჭა ცხოვრობს. ისინი დიდი რაოდგნობით არიან აღმოსავლეთ ევროპაში (რუმინეთი, სერბეთი, ბულგარეთი), აშშ-სა (უმეტესწილად სამხრეთ კალიფორნია) და აზიაში. თუმცა ცუდი ეკონომიკური პირობების და ნაადრევი სიკვდილის გამო მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება.

## დასკვნა

ბოჭები განაგრძობენ მსოფლიოსთვის თავისუფლების სხვა პუთხით ჩვენებას. სთავაზობენ ხალხს ცხოვრების არაერთფეროვან აღქმას და თვლიან, რომ შესაძლებელია არ იყო დამოკიდებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთ სამსახურზე, ერთ ხელმძღვანელზე ან ერთ გარემოზე. მათვის ცხოვრება ლამაზი მოზაურობაა, ხოლო ბოჭური თავისუფლება მრავალი ჩვენგანისთვის ერთდროულად საოცნებო და მიუღებელი.

## ლიტერატურა

### References

1. Thomas Action. Surviving people, Gypsies.
2. David Mayll. Gypsy-travelers in nineteenth-century society.
3. [www.etno-instituteo.yu/zbornic/zbornic23/Crovovic23-pdf](http://www.etno-instituteo.yu/zbornic/zbornic23/Crovovic23-pdf)
  - Jenela Crovovic
  - Caste behaviors among Gypsies in Serbia
4. <http://www.gypsyadvice.com/gypsylore.htm>

## Gypsies – an Unique Interconsistency Liberty and Order

### **Summary**

Gypsies still continue showing freedom in a different way to the whole world. They offer miscellaneous world-vision to people. Gypsies consider it's possible not to be depended on a single job or environment for all life. Life is a beautiful journey for them, although for us gypsy freedom may seem both a dream and unacceptability.

**Keywords:** Gypsies; liberty; order; cosmopolitan; travelling; Romania; India; caste; duke Andru; fortuneteller; sorceress; "Flamenco".

**Reviewer:** PhD of Economics Anzor Totadze

**Дзидзигури Георгий Георгиевич**

**Цыгане – уникальная взаимосвязь  
свободы и порядка**

### **Резюме**

Цыгане продолжают по своему преподносить всему миру свободный образ жизни. Предлагают воспринять жизнь разнообразно, мыслить нестандартными категориями. Они считают, что можно жить и не быть зависимым от одного руководителя, от одной работы, от одной среды. Для них жизнь красивое путешествие, а цыганская свобода для многих из нас неприемлема и в то же время неосуществимая мечта.

**Ключевые слова:** цыгане; свобода; порядок; космополит; путешествия; Румыния; Индия; каста; герцог Эндири; гадалка; колдунья; "Flamenco".

**Рецензент – Доктор экономических наук Анзор Тотадзе**

# პრატის

თენგიზ გრიგოლია, მაია ამირგულაშვილი

ლამანშის ბიბიკი მპროინტებრაციაში

საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან წამყვანი სახელმწიფოებია. ევროგაერთიანების შექმნის, 6 სახელმწიფოთა შორის, ინიციატორი საფრანგეთი იყო. 1951 წლის 18 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზე შექმნა ევროპის ქანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (ECSC). ხელშეკრულების 6 ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის ლიდერის პოზიცია საფრანგეთს ეჭირა, დიდი ბრიტანეთი აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობდა. 1957 წელს ევროგაერთიანების ყოფილმა დამფუძნებელმა ექსივე ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება ევროპის ატომური თანამეგობრობის შექმნის შესახებ „ევროატომი“, რასაც მოყვა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა, დიდი ბრიტანეთი განზე გადგა. 1967 წლის შერწყმის ხელშეკრულების საფუძველზე ოფიციალურად შეიქმნა და დამკვიდრდა ტერმინი ევროგაერთიანება. 1972 წლამდე ევროგაერთიანებასთან გაუცხოებული ურთიერთობა ჰქონდა დიდ ბრიტანეთს. დიდი ბრიტანეთი დღესაც არ არის ევროპის მონიტორულ სისტემაში, ევროს მოქმედების ზონაში, იგი სკეპტიკურად არის განწყობილი ევროპის კონსტიტუციაზე, რადგან მას არასოდეს ჰქონია თავისი კონსტიტუცია და სურს თავისი ეროვნული ტრადიციების ერთგული იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელები ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობებს ყოველთვის აწონილად და ეჭვის თვალით უყურებდნენ, მათ ეკონომიკური ურთიერთობა საფრანგეთთან და სხვა ევროპულ ქვეყნებთან არასოდეს შეუნელებიათ. ფიზიკური და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით დიდ ბრიტანეთს ევროპასთან, კერძოდ საფრანგეთთან, სახმელეთო საზღვარი არ გააჩნდა, მაგრამ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებებმა ახალი რეალიები წარმოაჩინა. ახალი ეკონომიკური პროექტების საფუძველზე [3. 49] ლა-მანშის სრუბეს საფრანგეთსა და დიდ

ბრიტანეთს შორის რეგიონისათვის ახალი დატვირთვა უნდა მიეცა. ლა-მანშის ქვეშ დუვრსა და კალეს შორის გაყვანილი გვირაბი ეპროპული, ეკონომიკური ინტეგრაციის შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. ლა-მანში (ფრანგ. La Mance „სახელი“ სიტყვასიტყვით – ტოტი) ინგლისის არხი (Englis Channel) სრუტე დასავლეთ ევროპის ჩრდილო ნაპირსა და ჭ. დიდ ბრიტანეთს შორის – აკავშირებს პა-დე-კალეს სრუტესთან ერთად ჩრდილოეთის ზღვას ატლანტის ოკეანესთან. სიგრძე დაახლოებით 520 კმ. სიგანე, დასავლეთით, დაახლოებით 180 კმ, აღმოსავლეთით 32 კმ, სიღრმე ფარვატერზე 35 მეტრი – მაქსიმუმი 172 მ. მთავარი ნავსადგურებია: პორტსმეტი, საუკჰეპტონი, პლიმუთი (დიდი ბრიტანეთი), ჰავრი შერბური (საფრანგეთი). [1. 115]

გეოგრაფიულად კუნძულებზე დიდი ბრიტანეთის მდებარეობა ყოველთვის განსაზღვრავდა მის მთავარ, განსაკუთრებულ მდგომარეობას. მისი მდებარეობა უზრუნველყოფდა მის განსხვავებულობას დანარჩენი ევროპისაგან.

სახელი „ინგლისის არხი“ ფართოდ გამოიყენებოდა მე-18 საუკუნიდან, შესაძლოდ მიიჩნევენ, რომ ეს სახელი „Engelse Kanaal“-დან არის წარმოშობილი, რომელსაც მე-16 საუკუნეში საზღვაო რუპებში იყენებდნენ. მას, მეორე საუკუნის გეოგრაფი, პტოლემეოსი „Dceanus Britannicus“ უწოდებდა. იგივეს იმეორებს დაახლოებით 1450 წელს იტალიურ რუპაზე აღნიშნული დასახელება „Canalites Anglie“. ფრანგული სახელი „La Manche“ – ი ეწოდება მისი ფიგურისა და კონფიგურაციის გამო, რომელიც სახელოს გავს. ეს სახელი დაახლოებით მე-17 საუკუნეში გამოიყენებიდა თუმცა აღნიშნავენ, რომ მისი ნამდვილი სახელი „არხია“ (Channel), ხოლო შოტლანდიაში „Minch“, რაც კელტური სიტყვიდან მომდინარეობს. ბრიტანეთში იგი ცნობილია როგორც ბრიტანეთის ზღვა „Mor Breizh“ (The sea of Britany).

10.000 წლის წინ, ბრიტანეთის კუნძულები ევროპის კონტინენტურ ნაწილს უერთდებოდა. მთელი ბრიტანეთის კუნძულები ყინულით იყო დაფარული. ყინულის საფარის დნობამ და ეროზიამ შექმნა ლა-მანშის სრუტე, ცარცოვანი კლდეების ჩამორეცხვამ თანდათან გააფართოვა სრუტე, წყალმა გზა გაიკვალა და იგი ატლანტის ოკეანეს შეუერთდა, დოვერისა და კალეს არეალში. რომის იმპერიის შექმნის დღიდან ბრიტანეთის კუნძულების კავშირი არა მარტო არსებოდა, არამედ იგი ყოველთვის ბუნებრივად იზრდებოდა.

შედარებით არც ისე ფართე სრუტის ლა-მანშის (ინგლისის სრუტები) გადალახვა ისწავლებს ნიჩიანი, იალქნიანი და შემდეგ ორთქლმავლიანი ნაცეპით. XX საუკუნის დასაწყისში თვითმფრინავებით, შემდგომში გავრცელდა ადამიანების, მანქანებისა და სარეონიგზო შემადგენლობებისათვის საბორნე გადაყვანები. სრუტის ყველაზე ვიწრო მონაკვეთში, რომელსაც პა-დე-კალე ქვია (დუვრის სრუტე) შორის გადაყვანები ბორნით დაახლოებით საათნახვარს გრძელდებოდა. [2. 72]

მიუხედავად ყოველივე ამისა წყალქეშა გვირაბის იდეა, რომელიც შეაერთებდა, კუნძულს, დიდ ბრიტანეთს კონტინენტთან, ასევე წარმოიშვა საქაოდ დიდი ხნის წინ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ასეთი გვირაბის დეტალური პროექტი შემოთავაზებული იყო ფრანგი ინჟინერის ალბერტ მაიტიეს მიერ. იგვემებოდა, რომ გვირაბით ისარგებლებდნენ ცხენების შებძლებობები. მიუხედავად ნაპოლეონის მხარდაჭერისა ეს პროექტი დარჩა ქადალდებე. XIX საუკუნის შეა წლებში ასეთივე ინიციატივა გამოიჩინა ინგლისელმა დედოფალმა ვიქტორიამ, მაგრამ ამასაც არ მოჰყოლია პრაქტიკული განხორციელება. ამასთან ერთად ინგლისელები შიშიბდნენ, რომ გვირაბის მშენებლობა მათ მიივანდა ბრიტანეთის სამხედრო სტრატეგიის გაუარესებისაკენ, რაღაც ის ადარ იქნებოდა „კუნძული“. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს იდეა ისედაც პოპულარული გახდა, თან იხილებოდა არა მარტო გვირაბის, არამედ ასევე ჩამოსაკიდი ხიდის გარიანტები ლა-მანშე. 1974 წელს დაიწყებოდა მიწისქვეშა სამუშაოები გვირაბის ტრასაზე, მაგრამ ბრიტანულმა მთავრობამ უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე, მისი სიძირის გამო. [4. 95]

მხოლოდ 1987 წელს დადგა გადამწყვეტი პერიოდი, შედგა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება ევროგვირაბის მშენებლობაზე. ამის შემდეგ დაიწყო უდიდესი ინჟინერული მშენებლება, მიუხედავად მისი გრანდიოზული თანხებისა, (10 მილიარდი ფ. სტ. მხოლოდ ბრიტანეთის მხრიდან), რომელიც დასრულდა მხოლოდ 7 წლისადში. ამ „საუკუნის მშენებლობის“ ქრონომეტრაჟი ასე გამოიყერება: 1987 წლის დეკემბერი – მშენებლობის დასაწყისი, 1991 წლის ივნისი – გვირაბის დასასრული, 1994 წლის მაისი – გვირაბის გახსნა ინგლისის დედოფლის ელიზაბედ II-ის და საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მიერ, 1994 წლის ნოემბერი – იწყება კომერციული რკინიგზის მიმოსვლა ლონდონს და პარიზს შორის.

რაც შეეხება ტექნიკურ პროექტს, ლა-მანშის ფსკერზე (კერძოდ პა-დე-კალა, დუვრსკის), დაახლოებით 40გ. სიღრმეზე, არის განლაგებული სამი პარალელური სექტი. მარჯვება და მარცხენა არის 7,6 მ. და ისინი განსაზღვრულია რკინიგზის ორი მიმართულებისათვის, ხოლო მესამე 4,7 მ., რომელიც დანარჩენის მომსახურებსათვის არის შექმნილი. გვირაბის საერთო სიგრძე 50კმ., რომლისგანაც 37კმ. წელქვეშ მდებარეობს. ერთდროულად არის აშენებული მისადგომი გზები და საერთაშორისო ტერმინალები ფოლკსტონში, კალეში, ასევე ლონდონსა და პარიზში. [5. 122]

მიუხედავად ცალკეული, მათ შორის მნიშვნელოვანი, ფინანსური სიმელეებისა, ევროგვირაბმა გაამართდა. უპპ ორი წლს შემდეგ 1996 წელს გვირაბით იმგზავრა 7 მილ. მგზავრმა, 2000 წლის დასაწყისში კი 22 მილ. სამუშაო დღეებში გვირაბით მოძრაობს 18 წყვილი მატარებელი, ხოლო დასვენების დღეებში 21 წყვილი. მგზავრობა ლონდონიდან პარიზში გრძელდება 3 საათი. გვირაბში მატარებელი გადის 20 წუთში, ლონდონიდან – ბრიუსელში ასევე შეიძლება იმგზავრო 3საათსა და 15 წუთში. 1996 წელს გაიხსნა სპეციალური მარშრუტი ლონდონი–პარიზის დისენი-ლენდი. შემდგომ გაიხსნა სხვა მარშრუტებიც (გლაზგი-პარიზი, გლაზგო–ბრიუსელი, მანჩესტერი–პარიზი), ასევე ლონდონი–გერმანიის მეგაპოლისებთან.

ამ მიმართულებებით მოძრავი მატარებელები „Euro star“ არიან ტექნიკური სრულყოფილების ნიმუშები. ყოველი მატარებლის შემადგენლობა შედგება 18 ვაგონისაგან, სიგრძე 400 მ, სიჩქარე 300კმ/ს. მასში 794 დასაჯდომი ადგილია. ყოველივე ამასთან მგზავრს შეუძლია აირჩიოს იაფი ადგილები ტურისტულ კლასში, ან კონფორტაბელური პირველ კლასში ან „ლუქსში“ საჭირო ოთახითა და დუშით ყოველ კუპეში. Eurostar – ის მთელი პერსონალი ლაპარაკობს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ხოლო ბრიუსელის მარშრუტზე – ასევე ფლამანდურზე. [2. 73]

რაგასაკვირია, რომ გვირაბის გახსნის შემდეგ ავია-მგზავრთა 1/3 გადავიდა მატარებლით მგზავრობაზე. მითუმეტეს რომ რკინიგზაზე მოქმედებს სპეციალური სამსახური, რომელსაც გადაჰყავს ავტომობილები (მგზავრებთან ერთად) და სატვირთოები, ფოლკსტონიდან კალეში და უკან. ყოველივე ამის გარდა ასევე ვითარდებოდა სოიალურ-ეკონომიკურად – კალე, დუვრი, ფოლკსტონი და სხვა.

თუ კი წარმოვიდგენთ, რომ მომავალში იგეგმება სწრაფი ელმავლების განვითარება გამოთვლილია, რომ 2003 წლიდან ლონდონიდან პარიზში მგზავრობის სანგრძლივობა შემცირდება 2სთ. 20წელიამდე, ლონდონიდან ბრიუსელში 2სთ. და 10 წელიამდე, ხოლო მანჩესტერიდან პარიზში 4სთ. და 55 წელიამდე.

ევროგვირაბი კარგად ჩაჯდა ევროპული ინტეგრაციის პროცესებში. იგი გახდა ევროპის ცხოვრებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი გარანტი.

## ლიტერატურა

### **References**

1. qarTuli sabWoTa enciklopedia, t. 6, Tb.,1981
2. V.N. maksakovski, geograficheskai kartina mira M. 2005
3. vse strani mira, encikopedicheski spravochnik M. 2001
4. E.M. Pospelov, geograficheskie nazvaniye mira M. 1999
5. Strana Mira, fakti i cifri \_ SPB: norint, 2001
6. V. fisher, Evropa: ekonomika, obshchestvo i gosudarstvo M. 1999
7. English Channel, The Columbia, Encyclopedia, 2009
8. English Channel, Encyclopedia, Britannica 2007.

**Tengiz Grigolia, Maia Amirkulashvili**

### **European Tunnel Under the La manche in European Integration**

#### **Summary**

The EU is founded on four treaties: The treaty establishing the European Coal and steel Community (ECSC) which was signed on April 1951 in Paris, come into force on July 1952 and expired on July 2002.

The treaty establishing the European Economic Community (EEC), which was signed on 25 March 1957 in Rome and came into force on 1 January 1958.

The treaty Establishing the European Atomic Energy Community (Erratum). The treaty on European Union (EU) which was signed in Maastricht on 7 February 1992 and came into force on 1 November 1993.

The English Channel (French \_ La Manche, The sleeve) is an arm of the Atlantic Ocean that separates the island of Great Britain from earthen France and joins the port Sea to the Atlantic.

Many travelers cross beneath the English Channel Using the Channel Tunnel. The engineering feat, first proposed in the early 19<sup>th</sup> century and finally realize in 1994, Connects the UK and France by sail. It is new routine to travel between Paris, Brussels and London on the Euro star train.

The geology and geography of the Channel make it a productive site for Maritime Archaeologists it has thousands of shipwrecks.

In August of 2007, artifacts including wood and hazel nuts from the 8000-years-old Boudoir Cliff Mesolithic Village were presented bathe underwater Archaeology Centre based in the isle of Wight. The preservation of organic material from the stone. Age is unique to the UK and already the site is of international importance.

The most famous shipwreck is Henry VIII's flagship the Mary Rose. The English Channel is densely populated on both shores, on which are situated a number of major ports and resorts possessing a combined population of over 3,5 million people. The most significant towns and cities along the Channel (each with more than 20,000 inhabitants, ranked in descending order; population are the urban area populations from the 1999 French census, 2001 UK census, and 2001 Jersey census) are as follows

**Key Words:** La manche; Geography; Pa-de-cale; Century Construction; The sleeve; Bay; Tourism; Euroatom; Ocean; Ecology; Eurotunnel; Archaeology; English channel.

**Reviewer** – professor Vazha Shubitidze, Georgian Technical University.

**Григолия Тенгиз Бондоевич,  
Амиргулашвили Маиа Ушангиевна**

## **Евротуннел под Ла-Маншем в Европейской Интеграции**

### **Резюме**

Пролив Ла-Манш (Английский канал) научились преодолевать на весельных, парусных, затем паровых судах, а в начале XX в. и на самолетах. Позднее большое распространение получили паромные переправы – для людей, автомобилей и даже железнодорожных составов к началу 1990-х гг. их насчитывалось уже около 20. В самом узком месте правила Ла-Манш, имеющем название ПА-де-Кале (Дуврский пролив), Между Дувром и Кале или Фолкстоном и Булонью такая переправа на пароме занимала примерно час-полтора.

Несмотря на это идея подводного туннеля, которой соединил бы островную Великобританию с материком, тоже возникла уже довольно давно.

Еще в самом начале XXI в. детальный проект такого туннеля предложил французский инженер Альбер Матьё, предполагалось, что по нему буду проходить упряжки лошадей. Однако, несмотря на поддержку Наполеона, этот проекта так и остался на бумаге. В середине XIX в. подобную инициативу проявила английская королева Виктория, но и это не имело практических последствий. К тому же многие англичане опасались, что сооружение туннеля приведет к ухудшению военно-стратегического положения Великобритании, которая «перестанет быть островом». В 70-х гг. XXв. эта идея снова приобрела популярность, причем обсуждались варианты не только туннеля, но и навесного моста над Ла-Маншем. В 1974г. на трассе туннеля начались было земляные работы, но британское правительство вскоре отказалось от участия в проекте из – за его дороговизны.

Только в 1987 г. наступил решающий прелом: было заключено англо-французское соглашение о строительстве Евротуннеля. После этого крупнейшее инженерное сооружение, несмотря на огромные затраты (10 млрд ф. ст. только с британской стороны), было создано всего за семь лет. Хронология этой «стройки века» такова: декабрь 1987г. – начало строительства, июнь 1991 г. – завершение проходки туннеля, май 1994 г. открытие туннеля королевой Великобритании Елизаветой II и президентом Франции Франсуа Миттераном, ноябрь 1994 г. – начало коммерческого движения поездов по туннелю между Лондоном и Парижем.

Уже через два года после открытия - в октябре 1996 г. - по нему проследовал 7-миллионный пассажир. Еще летом 1996 г. - был открыт специальный маршрут из Лондона в Диснейленд под Парижем. Затем вошли в эксплуатацию другие линии, связавшие крупные города Великобритании с городами континентальной Европы (Глазго - Париж, Глазго - Брюссель, Манчестер - Париж, Манчестер -Брюссель, Бирмингем - Париж), а также Лондон с городами Рейнско-Пурского мегаполиса Германии.

**Ключевые слова:** Ла-Манш; География; Па-де-Кале; Стойки века; Рукав; Залив; Туризм; Евроатом; Океан; экология; Евротуннель; Археология; Английский канал.

**Рецензент** - Профессор Важа Шубитидзе, Грузинский технический университет

## თამარ რეგაზიშვილი, ნიკოლოზ ბეჟაშვილი

### პლიმატის ცელისა, ორგორც გლობალური ეპოლოგიური პროგლობა და მისი შედებები

კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს შორის კლიმატის ცელისა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. მისგან მომდინარე ნებატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად იბრძვის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები, მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები და, უბრალოდ, ადამიანები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი სწორედ კლიმატის ცელისა, პრობლემის მოგვარების საქმეში გაწეული დვაწლისთვის დაჯილდოვდა ნობელის მშეიდობის პრემიით 2007 წელს კლიმატის ცელისა, სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფთან ერთად.

სხვა გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისგან კლიმატური პრობლემა გამოიჩინა რთული კომპლექსური მრავალ კომპონენტიანი ხასიათით. ცნობილია, რომ დედამიწაზე კლიმატი ატმოსფეროს, მსოფლიო ოკეანის, ჰოლუსებზე მდებარე ყინულოვანი ქუდების, ცხოველების, მცენარეებისა და დანალექი ქანების ურთიერთქმედებით ყალიბდება. როცა კლიმატური სისტემა წონასწორობაშია, როგორც ეს იყო ტექნიკურ რევოლუციამდე, მზის შთანთქმული ენერგია წონასწორდება დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს გამოსხივებით. ანთროპოგენული ფაქტორები კი, აერძოდ, ტექნოლოგიური აირები, რომლებსაც „სათბურის აირებს“ ვუწოდებთ, ზემოქმედებებ სითბურ ბალანსზე და ცელიან კლიმატს. ამ პროცესის მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: კოსმოსიდან მოსული მზის სხივების 35-37% უკან აირეკლება, ხოლო დანარჩენი 63-65% შთანთქმება დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს მიერ და ამის ხარჯზე დედამიწა თბება. რადგან ეს ენერგია მუდმივად მოედინება, პლანეტის საშუალო ტემპერატურა სულ უნდა იზრდებოდეს. მაგრამ დედამიწას გააჩნია სითბური გამოსხივება, რომელიც ინფრაწიოები სხივების სახით უკან გადის კოსმოსში, რის შედეგადაც დედამიწა გრილდება, თუმცა ამ სხივების ნაწილს აკავებს ე.წ. სათბურის ეფექტის მქონე აირები: ხახშიროჟანგი, წყლის ორთქლი, აზოტის ქვევანგი, მეთანი, და ფტორქლორნახშირწყალბადები. ისევე, როგორც სათბურის მინის სახურავში გამავალი სინათლის ენერგია გარდაიქმნება

სითბურ ენერგიად, რომელიც უკან გელარ გადის და სათბურის ტემპერატურას ზრდის, აღინიშნული გაზებიც ატმოსფეროში წარმოქმნიან ექრანს, რომელიც აკავებს დედამიწიდან კოსმოსში გამავალ ინფრაწითელ სხივებს, რაც საბოლოოდ ათბობს დედამიწის ზედაპირს და ატმოსფეროს ქვედა შრეებს. რაც მეტია სათბურის აირების კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით უფრო ძლიერია სათბურის ეფექტი და, შესაბამისად, ტემპერატურაც მეტად იზრდება. სწორედ ეს იწვევს გლობალური დათბობის ტენდენციას [1].

შეიძლება ითქვას, რომ სათბურის ეფექტი დედამიწის ერთგვარი სარკმელია, საიდანაც რეგულირდება სითბოს გაცვლა კოსმოსში. დღეს ეს სარკმელი ნაწილობრივ მიხსურულია და სითბოს რეგულაციაც დარღვეულია. სათბურის აირები მცირე რაოდენობით ყოველთვის არსებობდა დედამიწაზე ატმოსფეროს წარმოქმნის მომენტიდან. ნახშირორჟანგი ატმოსფეროში ხვდება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით. ბუნებრივად არსებული ნახშირორჟანგის ბალანსი არ ირღვეოდა ცოცხალ ორგანიზმებში მისი მუდმივი წრებრუნვის ხარჯზე. რომ არა ეს გაზი დედამიწის საშუალო ტემპერატურა იქნებოდა არა  $15^{\circ}\text{C}$ , არამედ  $30\text{--}33^{\circ}\text{C}$ -ით ნაკლები, რაც არახელსაყრელი აღმოჩნდებოდა ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისათვის. ამგვარად, ბუნებრივი სათბურის ეფექტი ატმოსფეროს უნარწუნებს სითბურ ბალანსს, ხოლო ანთროპოგენული კი, რომელიც ამჟამად წარმოიქმნება წიაღისეული საწვავის წვისა და ტყეების ჭრის შედეგად, პირიქით, არღვევს ატმოსფერო-ჰიდროსფერო-ლითოსფეროს სისტემაში ჩამოყალიბებულ ბალანსს და შეიძლება გამოიწვიოს დედამიწის ტემპერატურის კატასტროფული ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ სათბურის აირები დიდხანს ძლებებს ატმოსფეროში და ჰაერის ცირკულაციის შედეგად გადადგილდებიან. ამიტომ მნიშნელობა არა აქვს, თუ სად ხდება აირების გაფრქვევა, ყოველი ლოკალური ემისია გლობალურად მოქმედებს და კლიმატის ცვლილება ნებისმიერ ადგილზე შეიძლება მოხდეს [2,3].

უკანასკნელ წლებში ნახშირორჟანგის საერთო კონცენტრაცია 26%-ით გაიზარდა და ყოველწლიურად დაახლოებით 0,5%-ით მატულობს, ხოლო მწვანე საფარის ფართობი, რომელიც მოიხმარს ამ აირს, კლებულობს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, 2050

წლისთვის დათბობა მოსალოდნელია 2-5°C-ით, რაც გამოიწვევს გლობალურ გვალვას, მტკნარი წყლის გაქრობას, გრენლანდიისა და ანტარქტიის ყინულების დნობას, რაც თავის მხრივ, აწევს მსოფლიო ოკეანის დონეს, რომელიც წალეკავს უზარმაზარ ტერიტორიებს. გარდა ამისა, აუტანელი კლიმატური პირობები იმოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, გავრცელდება სხვადასხვა სახის პარაზიტულ/ინფექციური დაგვადებები, მათ შორის მაღარია, დანგეს ციებ-ცხელება და სხვა. დაირღვევა ეპოსისტემები, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგებით განსაკუთრებულად დამძიმებულ რეგიონებში საკვების, წყლისა და მიწების მოპოვების მიზნით მოხდება კონფლიქტები, შეტაკებები, ომები, რაც უამრავი ხალხის სიცოცხლეს შეიწირავს [4,5]. ეს, რა თქმა უნდა, შემზარავი პროგნოზია, რომელიც არ უნდა ახდეს.

ერთი რამ ცხადია, რომ ამინდზე და კლიმატზე, ბუნებრივი რესურსების ამ სახეობაზე, დიდად არის დამოკიდებული ადამიანების სიცოცხლე, საქმიანობა და ეკონომიკური განვითარება. გლობალური დათბობა და მასთან ერთად კლიმატის ცვლილება, რომელიც უკვე დაწეულია, ასეასება ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და სტილზე, საკვები პროდუქტების მოპოვებასა და წარმოებაზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, მრავალობაზე, მიწათმოქმედებაზე, მესაქონდეობაზე, წყლისა და რეკრეაციულ მეურნეობებზე, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სისტემებზე, კომუნალურ მეურნეობაზე და სხვა [6].

დღეს კლიმატური ცვლილებები უკვე იწვევს გვალვას, ქარიშხალს, გრიგალს შტორმს, სეტემბერს, წყალდიდობას, ჰავი ზღვის დონის აწევას. ყოველივე ამან შეიძლება დამანგრეველი გავლენა იქნიოს საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კართლის მიერთების შემთხვევაში, ასევე ზემო იმერეთში. ადრე თუ ეს მოვლენა 15-20 წელიწადში ერთხელ ხდებოდა, ახლა ყოველ 6-7 წელიწადში მეორდება. 1995-2006 წლებში გვალვისგან მიერნებულმა ზარალმა 400 მილიონ ლარს მიაღწია, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ნალექიანობის შემცირება გაუდაბნოებასაც იწვევს. გლობალური დათბობის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში გაუდაბნოების პროცესი შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს გაქასა და მთისწინეთის

არიდულ და სემი-არიდულ ლანდშაფტებს, მაღალმთიანეთის სუბალპურსა და ალპურ ზონებს [7].

კლიმატის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა ბოლო 80-100 წლის მონაცემთა მიხედვით დადგინა კლიმატის ცვლილების ტენდენციები, კერძოდ:  $0,5^{\circ}\text{C}$ -ით დათბობა აღმოსავლეთ საქართველოში და  $0,3^{\circ}\text{C}$ -ით აგრილება დასავლეთ საქართველოში, ნალექების 10-15%-ით ზრდა ქვეყნის ბარის რიგ რაიონებში და 15-20%-ით შემცირება კავკასიონის მთიან რაიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ სექტორში. ამ ტენდენციების გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს სოფლის მეურნეობას. აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის  $1^{\circ}\text{C}$ -მდე მომატების შემთხვევაში მოსალოდნელია ხორბლისა და სამინდის მოსავლიანობის შემცირება  $30\%-ით$ , ხოლო დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის დაკლება შეამცირებს ჩაის წარმოებას. ფოთი-სუფსის მონაკვეთზე შავი ზღვის დონის ზრდა საფრთხეს შეუქმნის სანაპიროს დასახლებულ პუნქტებსა და უმნიშვნელოვანებს ობიექტებს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ეკონომიკურ ზარალს. მსოფლიო ოკეანის დათბობამ გამოიწვია წყლის სიღრმული ცირკულაციის გაძლიერება შავ ზღვაში, რის შედეგადაც დაიწია ზღვის ზედაპირის ტემპერატურამ (ბოლო 70 წლის განმავლობაში  $1^{\circ}\text{C}$ -ით). ეს კი ამცირებს სარეკრეაციო პერიოდს [7].

მსოფლიო აცნობიერებს, რა კლიმატის ცვლილების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებს, ერთობლივი ძალისხმევით ცდილობს პრობლემის გადაჭრას. ამ მიზნით 1992 წელს ქალაქ რიო-დე-ჟანიეროში „რიოს სამიტზე“ 155 ქვეყანამ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციას კლიმატის ცვლილებების შესახებ (UNFCCC), რომელიც ითვალისწინებს ატმოსფეროს ჰაერში სათბურის ეფექტის მქონე აირების ემისიის შემცირებას. აღნიშნული ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში გლობალური დათბობისა და კლიმატური ცვლილების პრობლემის მოგვარების მიზნით გაეროს მიერ დამტკიცებულ იქნა კიოტოს პროტოკოლი, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვლიდან და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მონაწილე ქვეყნებს ავალდებულებს 2008-2012 წლების პერიოდში თავიანთი ტერიტორიებიდან სათბურის აირების ემისიის  $5\%-ით$  შემცირებას 1990 წლის დონესთან შედარებით, ხოლო 2001 წელს მარაკეშში (მაროკო) მიღებული

შეთანხმებები განსაზღვრავს „სუფთა განვითარების მექანიზმის“ (სგმ) წესებსა და პროცედურებს.

სულ ცოტა ხნის წინ, 2008 წლის 12 დეკემბერს ბრიუსელში შემდგარ სამიზნე ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა განიხილეს კლიმატის ცვლილების გლობალური პრობლემა და მიიღეს გეგმა „20-20-20“, რომლის მიხედვითაც 2020 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნები შეამცირებენ ნახშირორჟანგის ემისიას 20%-ით და ამდენითვე გაზრდიან განახლებადი ენერგოწყაროების ათვისებას.

საქართველო აქტიურად არის ჩართული მსოფლიოს ეკოლოგიური კრიზისის დაძლევის საქმიანობაში. ის 1994 წლიდან შეუერთდა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას და პრობლემის ნებატიური შედეგების მინიმიზაციას ცდილობს ენერგიის ეკონომიკითა და ენერგოუფექტურის ამაღლებით, პერსპექტიული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, ალტერნატიული ენერგორესურსების: მზის, წყლის, ქარის, ბიომასისა და სხვათა გამოყენებით, ტყეების გაფრთხილებით, ადამიანთა საზოგადოების ზოგადი ეკოლოგიური და ტექნოლოგიური კულტურის ამაღლებით და, ორპუნის კონვენციის შესაბამისად, გარემოსდაცვით დონისძიებებსა და პროექტებში საზოგადოების ჩართვით. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა მსოფლიო გარემოსდაცვითი ფონდის, გაეროს გარემოს განვითარების პროგრამის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით ახორციელებს საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების პროგრამების შემუშავებას, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი დონისძიებებისა და პროექტების საჯარო განხილვებს, საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვით საქმიანობაში, მაგალითად, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად განადგურებული ტყეების აღდგენასა და მწვანე საფარის განაშენიანებაში და, რაც მთავარია, გარემოსდამცემი პერსონალის მომზადებაში.

კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათი მოითხოვს არა მარტო საერთაშორისო რეაგირებას, არამედ მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების თითოეული მოქალაქის წვლილს პრობლემის მოგვარების საქმეში. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ „ერთი ასანთის დერმა შეიძლება საცხოვრებელი კვარტალი გადაწვას“.

## ლიტერატურა

### References

1. Tarko A.M. Parnikovi effekt I klimat. Ekologia I jizn, 2001, #1, 48-50. (Russian)
2. Ivashov P.V. toplivnaia energetika i parnikovi effekt. Geografia i prirodnie resursi, 2006, #3, 22-25. (Russian)
3. Izrael I. A., Gruza G.V. , Katcov V.M., Meleshko V.L. Izmenenia globalnogo klimata: Rol antropogennix vozdeictvii. Meteorologija i hidrologija. 2001, #5, 5-21. (Russian)
4. Ianshin A. L., Budiko M.I., Izrael I L. Poteplenie klimata i ego posledstvia: Strategia prinimaemix mer. Globalnie problemi biosferi. M.: Nayka, 2001, 10-24. (Russian)
5. Kollinz Y., Kolmen R., Moyt F. Izmenenie klimata: Opasnost rastet. V mire Nayki, 2007, #11, 68-77. (Russian)
6. Bobilev S.N., Gricevich I.G. Globalnoe izmenenie klimata i ekonomicheskoe razvitiye. Moskva 2005. (Russian)
7. SaqarTvelos garemos dacvisa da bunebrivi resursebis saminstro. Garemos dacviT moqmedebaTa erovnuli programa. Tbilisi, 2000. (Georgian)

**Tamar Revazishvili, Nikoloz Bezhashvili**

### **Climate change as global ecological problem and its outcomes**

#### **Summary**

Climate change is one of the most actual problems among global human problems. Every governmental, international organizations, Scientifits, experts politicians and simply individuals throughout the world are fighting to avoid negative outcomes of the problem.

Hard complex multicomponent characteristic makes it different from the other global ecological problems. When climate system is balanced, as it was before the technical revolution, the energy absorbed by the sun is balanced with irradiation of the Earth's surface and atmosphere. Anthropogenic factors namely technogenic airs – carbon, water steam, azoth oxide, methane and phlorichloral carbon hydrogen, called "conservatory airs" are formatting the screen in the atmosphere, which is delaying infrared rays going out from the Earth to speace, that is warming the Earth surface and the lower layers of the atmosphere. The more conservatory air concentration in the atmosphere ,the stronger the

conservatory effect and respectively rises the temperature. This is the case of global warming tendencies.

It must be noticed that conservatory airs resist in the air for a long time and are moving with air circulation, thus it is not important where the airs are poured out. Every local emission is effecting globally and climate change may occur in any place. In the last years total concentration of the carbon rised by 26% and yearly increase is approximately by 0.5% and green cover area, using this air is decreasing. This problem is very serious and may cause the hardest results.

The global warming and climate change, which has already begin, is reflecting on the human health , living conditions and style, obtaining and production of food products, economical activity, manufacturing, agriculture, stock raising, water and recreation economy, transport and energy systems, utilities and other.

Nowadays climate changes stimulate droughts, hurricanes, storms, snowstorms,floods, hail rising of the Black sea level. All this can have distractive affect on the Georgian infrastructure .In case of raising the temperature to 1°C- in the East Georgia may cause reduction of wheat and corn crop capacity by 30% and in West Georgia decrease of temperature will cause reduction of tea production. In the area of Poti-Supsa, rising of the Black sea level will threaten the populated areas on the coast and the most significant objects, and will cause economical loss.

The World realizes the significance of threats caused by climate change and tries to solve this problem with a joint effort. Georgia on its side is actually involved in the activity to overcome the global ecological crisis. Since 1994 Georgia has joined the frame convention on climate change and tries to minimize negative results by energy economy and energy raising efficiency, introducing perspective innovative technologies, using alternative energy resources., protecting woods and raising general ecological and technological culture of human society and involving society in environmental activities and projects according to Orhus convention.

**Key words:** Climate, climate change, climate system, atmosphere, global human problems, “conservatory airs”, Earth to speace, conservatory effect, green cover area, frame convention on climate change, energy raising efficiency, alternative energy resources, Orhus convention.

**Reviewer** - Professor Zizi Svanidze, Georgian Technical University.

**Ревазишвили Тамара Николаевна,  
Бежашвили Николоз Амиранович**

**Изменение климата, как глобальная экономическая  
проблема и ее результаты.**

**Резюме**

Среди глобальных проблем человечества одной из самых актуальных является изменение климата. Во избежание вытекающих из него негативных результатов борются правительства всех стран, международные организации, ученые, эксперты, политики и просто люди.

От других глобальных экологических проблем, проблема климата выделяется сложным комплексным многокомпонентным характером. Когда климатическая система находится в равновесии, как это было до технической революции, поглощенная солнечная энергия уравновешивается излучением земной поверхности и атмосферы. А антропогенные факторы, в частности, техногенные газы - углекислый газ, водяной пар, пероксид азота, метан и фторхлоруглеводород, которые называем “парниковыми газами”, в атмосфере создают экран, который задерживает инфракрасные лучи, исходящие от земли в космос, что в конечном итоге утепляет поверхность земли и нижние слои атмосферы. Чем выше концентрация тепличных газов в атмосфере, тем сильнее парниковый эффект и, соответственно, повышается и температура. Именно это и вызывает тенденцию глобального потепления.

Надо отметить, что парниковые газы долго сохраняются в атмосфере и перемещаются в результате циркуляции воздуха. Поэтому не имеет значения, где происходит выброс газов, каждая локальная эмиссия действует глобально и изменение климата возможно в любом месте. В последние годы общая концентрация углекислого газа выросла на 26% и ежегодно увеличивается приблизительно на 0,5%. А площадь зеленого покрова, который потребляет этот газ, соответственно уменьшается. Это очень серьезная проблема, которая возможно приведет к тяжелейшим последствиям.

Глобальное потепление и вместе с ним начавшееся изменение климата, будет отображаться на здоровье населения, на условиях и стиле их жизни, добыче и производстве пищевых продуктов, экономической деятельности, земледелии, скотоводстве, рекреативном хозяйстве, на транспорте и энергетической системе, коммунальном хозяйстве и др.

В настоящее время изменение климата уже вызывает засухи, ураганы, штормы, град, наводнения, повышение уровня Черного моря.

Все это возможно окажет разрушительное влияние на хозяйственную инфраструктуру Грузии. В случае увеличения в Восточной Грузии температуры воздуха на 1 градус ожидается уменьшение урожайности зерновых культур и кукурузы на 30%, а падение температуры в Западной Грузии соответственно уменьшит производство чая. Повышение уровня Черного моря на участке Поти-Супса создаст опасность прибрежным населенным пунктам и важнейшим объектам, что в свою очередь, вызовет экономический ущерб.

Весь мир осознает, вызванную в результате изменения климата ожидаемую опасность и пытается одновременными усилиями разрешить проблему. Грузия, в свою очередь, активно включена в деятельность по преодолению всемирного экономического кризиса. Она с 1994 года присоединилась к конвенции по изменению климата, и минимизацию негативных результатов проблемы старается осуществить посредством экономии энергии, а также и повышением энергоэффективности, внедрением перспективных инновационных технологий, применением альтернативных энергоресурсов, сохранением лесов, повышением общей экологической и технологической культуры общества и включением общества в природозащитные мероприятия и проекты в соответствии с конвенцией Орхус.

**Ключевые слова:** климат, изменение климата, климатическая система, атмосфера, глобальная экологическая проблема, парниковые газы, тепловое излучение земли, парниковый эффект, зеленый покров, рамочная конвенция ООН, протокол Киото, энергоэффективность, альтернативные энергоресурсы, конвенция Орхуса.

**Рецензент** – профессор Зизи Сванидзе, Грузинский технический университет.

## ნინო ძიგუა

### საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეზნის უნიციის მოწევის შემნის განვითარების პრესენტიცენტი

#### შესავალი

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია დაიწყო ჯერ კიდევ სამი ათასზე მეტი წლის წინ, ისეთი ძლიერი ქვეყნის არსებობით, როგორიც იყო კოლხეთი. ოქროს საწმისის ქვეყანა მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულია სიძლიერით, სიმდიდრით, მეცნ აიეტითა და მისანი მედეათი. როგორც ერთ-ერთი მეცნიერული ვარაუდია, ოქროს საწმისი შეიცავდა ინფორმაციას მსოფლიო ზღვებზე გასასვლელი სანაოსნო გზების შესახებ. თვით საბერძნეთის მეფეც კი დაინტერესდა აიეტის განძით და არგონავტები გამოგზავნა.

საქართველოს ადგილმდებარეობა ოდითგანვე მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო. ბუნებრივი ბარიერებით იგი ყოველი მხრიდანაა შემოსაზღვრული; ჩრდილოეთით კავკასიონის მთაგრეხილი, დასავლეთითა და აღმოსავლეთით შავი და კასპიის ზღვებით, ხოლო სამხრეთით მცირე კავკასიონით. საქართველო გამოირჩევა თავისი გეოპოლიტიკური უნიკალურობით, რაღგან თუ კონტინენტის შესაყარზე მდებარეობს, ამავე დროს იგი ქრისტიანული და მაპმადიანური სამყაროს გზაგასაყარიცაა. კავკასია ყოველთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა სხვადასხვა სახელმწიფოთათვის, განსაკუთრებით კი საქართველო, რაღგან თბილის ითვლებოდა კავკასიის მართვის ცენტრად. [ 4 ]

საქართველოს გავლით უძველესი დროიდან არსებობდა დიდი საქარავნო, სავაჭრო გზები, რომლებიც მოემართებოდნენ შორეული აზიიდან ევროპისაკენ. საქართველო კი მისი მდებარეობის გათვალისწინებით ზღვაზე გასასვლელით უკავშირებდა ხმელთაშუა ზღვას. კავკასიონის ჩრდილოეთით გადაჭიმულ ახლანდელი რუსეთის ტერიტორიაზე მუდმივად დათარეშობდნენ სხვადასხვა ტომები და თავის მხრივ საფრთხეს უქმნიდნენ აზიიდან მომავალ მდიდარი საქონლით დატვირთულ ქარავნებს. ამიტომ საქართველოზე გამავალი გზა შედარებით უსაფრთხო და მოკლე გზად ითვლებოდა. ეს მიზეზები იწვევდნენ ნებისმიერ დროს ჩვენი ქვეყნით დაინტერესებას სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ. ამას ადასტურებს ბევრი უცხოელი

მოგზაური თუ ისტორიკოსი. . . საქართველოს ტერიტორიისადმი ინტერესი უძველესი დროიდან მოდიოდა და სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა პქონდა ეკონომიკასა და აზიას შორის.

### აბრეშუმის გზის მოგლე ისტორია

საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა “დიდი აბრეშუმის გზა”. გზა, რომელიც აერთიანებდა ეროვნულ და მსოფლიო გზებს, იწყებოდა ქრისტიანული სამყაროს გარეთ, ბუდიზმისა და ინდუიზმის სივრცეში, ხოლო ქრისტიანულ და ისლამურ კავკასიაში, მართმადიდებელ საქართველოში უერთდებოდა ეკონომიკურ სამყაროს. [ 1 ]

ამიერკავკასიაში ოდიოგან თავს იყრიდა უძველესი სავაჭრო სატრანსპორტო გზები. პლანეტის ეს ნაწილი ისტორიულად არ სებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო საერთაშორისო სავაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. ჯერ კიდევ ფ. წ. III – II ათასწლეულში კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა საერთაშორისო კავშირები ძველი აღმოსავლეთის სამყაროსა და ეკონომიკის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის. [ 2 ]

აბრეშუმის დიდ გზას დასაბამი მიეცა ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში. იგი მოდიოდა ჩინეთის ქალაქ დუნხუანიდან და ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. პირველი გზა ლიაბნორის ტბის ჩრდილოეთით, მეორე კი იმავე ტბის სამხრეთით ქალაქების ხოტონისა და იარქენის გავლით ქ. ყაშგარში იყრიდა თავს. აქედან ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა კავკასიის ალბანეთს, თანამედროვე აზერბაიჯანს, იბერიას და კოლხეთის გავლით ჩადიოდა ქ. ფასისში. მეორე გზა ყაშგარიდან ბალხასა და ირანის, ასევე შუამდინარეთის ქვეყნების გავლით მიემართებოდა ხმელთაშუაზღვის ნაპირას მდებარე ქ. ანტიოქიაში. (იხ. სურათი №1) აბრეშუმის დიდი გზით ძირითადად გაქონდათ მაღალხარისხების ჩარჩინებულები იყვნენ. ჩინეთიდან შემოჰკონდათ ასევე ოქრო. VII-X სს ამ გზით შემოტანილ საქონლით ვაჭრობას არაბთა სახალიფო უწევდა კონტროლს, შემდეგ კი მონღოლთა იმპერია. აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა XVII საუკუნეში დაკარგა, როდესაც ეკონომიკურ კონტროლს აითვისეს სანაოსნო გზა აფრიკის შემოვლით [2]


აბრეშუმის დიდმა გზამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას აღმოსავლეთისა

და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამ გზით შევიდა ჩინეთში მინა, ფუფუნების საგრძინი, გავრცელდა ზოგიერთი კულტურული მცენარე, არაბული ცხენი და სხვ., შეაღწია აგრეთვე რელიგიურმა და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმი, მანიქელობა, იუდაიზმი, ისლამი, ნესტორიანელობა).

ძვ.წ. აღრიცხვით I საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი თავის “გეოგრაფიაში” წერდა, რომ საქართველოში იმ პერიოდში გადიოდა ოთხი მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც თავს იყრიდა იბერიის დედაქალაქ მცხეთაში და აკაგშირებდა დასავლეთ საქართველოსთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან. [ 1 ]


გავრცელებულია აზრი, რომ აბრეშუმის უძველესი გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ მისი ერთ-ერთი განშტოება შემოძიოდა აქ. ეს გზა სამხედრო გზად ითვლებოდა და სწორედ მას შემოჰყვა რომაელი სარდალი პომპეუსი ძვ. წელთაღრიცხვის 65 წელს. [ 1 ]

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთთან შეერთების შემდგომ შავი ზღვის სანაპიროები დაუკავშირდა კასპიის ზღვას და შესაბამისად გაიხსნა აზიასთან ვაჭრობის ეს გზაც. ამ პერიოდში კავკასიის სატრანზიტო დერეფნით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იყვნენ დაინტერესებულნი. ამიერკავკასიის რეგიონში მრავალმხრივად იყო გადახლართული ერთმანეთთან სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები. ერთმანეთს ებრძოდნენ საფრანგეთისა და ინგლის-ინდოეთის სავაჭრო კომპანიები. ამის შესახებ დეტალურად წერს ფრანგი მოგზაური და შემდგომში საფრანგეთის კონსული თბილისში ქაქ ფრანსუა გამბა. მან ორჯერ იმოგზაურა რუსეთსა და საქართველოში. შეადგინა და მთავრობას წარუდგინა აზიასთან, კერძოდ კი ინდოეთთან ვაჭრობის გაუმჯობესების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზის გამოყენებას. ამ პროექტში დააინტერესა მინისტრი რიშელიე და მისი წინადადებით გამბამ 1817-1818 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში. რიშელიეს აზრით საფრანგეთის სავაჭრო ფირმებს მეტი კურადღება უნდა დაეთმოთ საქართველოსათვის,



სურათი 1. აბრეშტების დიდი გზა.

**საქართველოს ოპენიზაციის სატრანსპორტო გადაზიდვები**



რადგან იგი შეიძლებოდა ქცეულიყო ევროპა-აზიის მთავარ სატრანზიტო ცენტრად. [ 3 ]

1810 წლიდან რუსეთის იმპერიის მიერ დადგინდა მადალი მფარველობითი საბაჟო ტარიფი, რაც ხელს უშლიდა უცხოელ კაპიტალისტებს. გამბას სწორედ ამ ტარიფის შეცვლა დაევალა, რაც წარმატების განახორციელდა და რუსეთის იმპერატორის ბრძანებით 1821 წლიდან საქართველოში დამტკიცდა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა უძველესი დროიდან მოყოლებული აზია-ევროპას შორის გამავალი გზა. გზა, როგორც ცნება, ტევადი ფრაზაა, იგი სიცოცხლის დასაწყისი და ცივილიზაციის გამავრცელებელია. ისტორია გვიჩვენებს, რომ იქ სადაც საგაჭრო-საქარავნე გზა გადიოდა, მდიდარი საქონლით დატვირთულ აქლემებს ცივილიზაციის ნათელი შექი მისდევდა თან. გზებზეა გაშენებული სწორედ მსოფლიოს უძველეს ქალაქთაგან უმრავლესობა. საგაჭრო და დასვენების აუთხით იქმნებოდა პატარა ფაქტორიები, ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებიც აღება-მიცემობით მდიდრდებოდნენ და სწორედ გზის მიერ მოტანილი სიკეთით იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ.

### ტრასეკა – ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა

აბრეშუმის გზას საქართველოსთვის და არა მხოლოდ მისთვის უმნიშვნელოვანები აღილი ემავა, იმდენად რამდენადაც ამ გზის იდეის გამეორება თანამედროვე სახელმწიფოებმაც სცადეს. 1990 წელს ვლადიცოსტოკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე “აზია-წყნარი ოკეანის ქვექნები: დიალოგი, მშენებელი, თანამშრომლობა” პირველად დაისვა საკითხი ისტორიული აბრეშუმის გზის აღორძინების შესახებ. იდეის ერთ-ერთი ავტორობა მიეწერება საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. 1993 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე ევროგაერთიანების წევრი ქვექნების, ცენტრალური აზიის (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) და სამხრეთ კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) სახელმწიფოების მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა TRACECA-ს პროექტს. ტრასეკა ნიშნავს სატრანსპორტო დერეფანს ევროპა-კავკასია-აზია. პროგრამა ითვალისწინებდა ევროპადან აზიისკენ – შავი ზღვის, კავკასიის და კასპიის ზღვის გავლით, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ სატრანსპორტო დერეფნის შექმნას, რომელსაც აფინანსებდა ევროკავშირი და ორგანიზაცია TASIC-

ი. მთავარი ინვესტორები იყვნენ რეპონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი და მსოფლიო ბანკი. შემდეგ ამ პროცესში ჩაერთო ისლამური განვითარების ბანკი და აზიის ბანკი. [ 1 ]

ტრასეგას მარშუტი იწყება საქართველოს შავი ზღვის პორტებიდან და მიემართება ჩინეთის ლიანუნგანის ნავსადგურისაკენ. დასაგლეთიდან წამოსული სარკინიგზო ხაზი გაივლის ძველი აბრეშუმის კარგად ნაცნობ გზას. კერძოდ, გადაკვეთს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, კასპიის ზღვას, აზერბაიჯანს, საქართველოს, რიკოთის უღელტეხილს და ფოთი-ბათუმის ნავსადგურებით მიაშურებს ევროპას. ეს გზა მნიშვნელოვნად ამცირებს სახმელეთო და საზღვაო გზას იაპონიიდან და ჩინეთიდან ევროპა-ამერიკამდე. ექსპერტები თვლიან რომ ტრასეგას სარკინიგზო მაგისტრალით სარგებლობას ნახავს დაბალოებით 30 სახელმწიფო. [ 2 ]

ტრასეგას აკისრია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ამ პროექტის მონაწილე ქვეყნებმა გადადგეს დამოუკიდებელი ნაბიჯი, რუსეთის გვერდის ავლით დაკავშირებოდნენ ევროპას. ამით მათ გამოხატეს სუვერენიტეტის განმტკიცების ნება, პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სოფლიო ბაზარზე მონაწილეობის სურვილი. ტრასეგა ასევე ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნების რეგიონალურ თანამშრომლობას. იგი არამხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტია, არამედ კულტურულ-სოციალურიც. პროექტი საშუალებას აძლევს რეგიონის სახელმწიფოებს მოიზიდონ საინვესტიციო რესურსები და ჩაერთონ მსოფლიო სატრანსპორტო ქსელში.

ტრასეგას სატრანსპორტო დერეფნის შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენაა XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. შეიქმნა ახალი გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც ასე იკვეთება : ერთიანი გეოგრაფიული სივრცე + პოლიტიკური სივრცე + ეკონომიკური სივრცე + სამართლებრივი სივრცე, რაც უშიშროებისა და სტაბილურობის გარანტია.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რესეთის 70 წლიანი ბატონობის პერიოდში ქვეყანა ამოვარდა კალაპოტიდან, მან დაკარგა უძველესი მსოფლიო ფუნქცია – იყოს ევროპა-აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო დერეფნანი. ეს საქართველოს როლია მსოფლიოს წინაშე. ტრასეგა საქართველოსთვის მშეიღობის, სუვერენიტეტის და კონფლიქტების დარეგულირების გარანტია. იგი ასევე საშუალებას იძლევა ქვეყნამ ინტეგრაცია მოახდინოს

ევროატლანტიკურ სივრცეში, გახდეს ევროპის სატრანსპორტო კავშირის წევრი.

ტრასეგას პროექტის მიხედვით ახალი აბრეშუმის გზა უკვე პირდაპირ გაივლის საქართველოს ტერიტორიას სარკინიგზო მაგისტრალით, მისი ისტორიული მარშუტი ამჯერად ჩვენს ქვეყნას გეერდით კი არ ჩაუვლის, არამედ მის ძირითად ელემენტად აქცევს.

ტრასეგა გარდა ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისა და ინტეგრაციისა ბევრ სხვა სიკეთესაც გვემოვს. ეს პროექტი არ ითვალისწინებდა რუსეთის მონაწილეობის სრულ იგნორირებას, პირიქით იგეგმებოდა აფხაზეთის რეინიგზის, ჯვრისა და როგის უდელტეხილების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, რაც კონფლიქტების დარეგულირებას შეუწყობდა ხელს. პროექტი ასევე წაახალისებს წერილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, ტურიზმს, სოციალური პროგრამების განხორციელებას, დასაქმების პრობლემის გადაჭრას და რა თქმა უნდა ეს ყველაფერი გაზრდის ქვეყნის მთლიან შემოსავლებს.

ტრასეგას პროექტში მონაწილეობას იღებს საქართველოს მთელი სატრანსპორტო სისტემა. ეს გზა ცენტრალური აზიდან ევროპამდე საქართველოს გავლით, გაცილებით მოქლევა სხვა ალტერნატიულ გზებზე. მას ასე ახასიათებს უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი « სხვა მაგისტრალებთან შედარებით უზბეკეთისათვის საქართველოს გზა ორნახევარჯერ მოქლევა და ამ გზით საქონლის ტრანსპორტირება გაცილებით იაფი ჯდება ». ამიტომ ტრასეგას გზა რენტაბელური და კონკურენტურიანი იქნება, ვიდრე სხვა ალტერნატიული გზები. [ 1 ]

ტრასეგას პროექტის განხორციელებაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს რკინიგზამ. პროექტი საშუალებას იძლევა შექმნას ახალი ინფრასტრუქტურა, დაიხვეწოს და განვითარდეს სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის საერთო სიგრძე 1324,1 კმ-ია. აქვს ორი სარკინიგზო—საპორტო გასასასვლელი: უკრაინასთან — ბათუმი-ილიჩევსკი, ფოთი-ილიჩევსკი და რუსეთთან — ფოთი-კავკაზი. [ 6 ] იხ. სურათი №2 საქართველოს რკინიგზა

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს რკინიგზა წარმოადგენდა სარკინიგზო ჩიხს, რომელსაც გასასვლელი მხოლოდ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ჰქონდა. ამ პერიოდში გადაზიდული ტვირთების რაოდენობას თუ შევადარებო

საქართველოს რკინიგზის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ რკინიგზით გადაზიდული ტვირთის რაოდენობას, მივიღებთ საოცარ კონტრასტს. კერძოდ, სსრკ-ს პერიოდში ტვირთბრუნვა ბევრად აღემატება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მაჩვენებელს. ტვირთბრუნვა 64 მლნ ტონიდან დავიდა 2.6 მლნ ტონამდე 1995 წლის მაჩვენებლით. [ 7 ] მიზეზი ერთია, საბჭოთა კავშირის პერიოდში წარმოების პროცესი ზოგადად მთელს ქვეყნაში მაღალ დონეზე იდგა. რუსეთიდან თუ სხვა რესპუბლიკებიდან უწყებ ნაკადად მოედინებოდა სხვადასხვა ნედლეული. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდებში ტვირთბრუნვა დიდ მაჩვენებელს აღწევდა, მას არ მოჰქონდა დიდი შემოსავლები, რადგან რკინიგზა სახელმწიფო დოტაციაზე იყო და დარგი წამგებიანად ითვლებოდა, იგი მხოლოდ ადგილობრივი ტვირთების გადაზიდვას ემსახურებოდა, რაც შემოსავალს არ იძლევა.

შესაბამისად დიდ მაჩვენებელს აღწევდა სამგზავრო გადაზიდვებიც. ტურისტთა უწყები ნაკადი მთელი წლის მანძილზე მოემართებოდა საქართველოში ზამთარსა თუ ზაფხულში სამთო-სათხილამურო, ბალნეოლოგიურ, საზღვაო და სხვა სახის კურორტებისაკენ. რუსეთთან ჩვენი ბუნებრივი ბარიერის გათვალისწინებით სარკინიგზო ტრანსპორტი მოსახერხებელი და კომფორტული იყო. როკის გვირაბის ჩაკეტვამ რკინიგზის ეს პერსპექტივაც ჩაკლა.

ტრასეგა პროექტის ამოქმედებამ აშკარა კვალი დამჩნია საქართველოს ეკონომიკას. თუ გადავხედავთ რკინიგზის ტვირთბრუნვის მაჩვენებელს წლების მიხედვით შევნიშნავთ, რომ 1995 წლიდან მოყოლებული თავი იჩინა, როგორც ტვირთების საერთო მოცულობის ზრდამ, ასევე მისი სტრუქტურის ცვლილებამ. (იხ. სურათი №3) კერძოდ, ახლა რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების დიდი პროცენტული მაჩვენებელი მიეკუთვნება საერთაშორისო ტრანზიტს. ეს კველაფერი ტრასეგას დამსახურება. იგი დღესაც უუნქციონირებს და მასში არ იგულისხმება მხოლოდ რკინიგზა.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი მრავალფუნქციური სატრანსპორტო კომუნიკაციაა, რომელსაც შესწევს პოტენციალი მოახდინოს ექსპორტი ევროპისათვის ესოდენ ჩაკეტილი კასპიის ზღვის რეგიონის, რუსეთის, ცენტრალური აზიისა და ყაზახეთის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდიდარი რესურსებისა. ტრასეგას პროექტში შედის სუფსის ტერმინალი, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენი, თურქმენეთ-აზერბაიჯანისა და საქართველო-

თურქეთის გაზსადენი, ყასრი –ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალი.

ტრასეგას პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტები დღესაც ფუნქციონირებს და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს. მაგალითისთვის მოვიყვან

**BP-ს** (ძრითიშ პეტროლიუმი) მიერ გაყვანილი დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენი, ცნობილი ასევე, როგორც ბაქო-სუფსის მილსადენი, ინგესტიცია, რომელიც 1999 წლიდან უსაფრთხოდ და წარმატებით ფუნქციონირებს. ამ პროექტიდან, რომლის მეშვეობით კასპიის ზღვიდან მსოფლიო ბაზრებზე ყოველდღიურად საშუალოდ 155 000 ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხდება, ქვეყნის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი სატრანზოტო შემოსავალს იღებს.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენი სრულ ექსპლუატაციაში შევიდა 2006 წელს, როდესაც ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი მსოფლიო ბაზრებზე მოხვდა. 4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობსადენი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია კასპიისა და ხელთაშუა ზღვებს შორის. სრული წარმადობით ფუნქციონირების შემთხვევაში ნავთობსადენს დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია, რის შედეგადაც მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველო მნიშვნელოვან შემოსავალს მიიღებს.

სამხერეთ კავკასიური მილსადენი ბუნებრივი აირის მიწოდებას ახორციელებს კასპიის ზღვის შაჰდენიზის საბადოდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ბაზრებზე. ბუნებრივი აირის ეს ახალი წყარო რეგიონისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით საქართველოს ბაზარზე პირველი კომერციული გაზი 2007 წლის იანვარში შემოვიდა.

### დასკვნა

ამრიგად, დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება და ტრასეგას პროექტის რეალიზება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანების მოვლენაა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა საფრთხე შეუქმნა, არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოებას, არამედ მის ეკონომიკურ წინსვლასა და სტაბილურობას. ქვეყანას დაემუქრა საფრთხე, რომ მან შეიძლება დაკარგოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია და როგორც შედეგი დაქვეითდეს, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად.

პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ეკონომიკის ვარდნა, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს რეინიგზის მუშაობაზე, რადგან საქართველოს რეინიგზა ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. ყოველი ქვეყნის რეინიგზაში შექნილი სიტუაცია დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან. საქართველოც, რა თქმა უნდა, გამოწაკლისი არ არის და ყოველი პრობლემა, რომელიც წარმოიშვება ქართულ ეკონომიკასა თუ პოლიტიკაში მაშინვე აისახება მგზავრონაკადისა და ტექირთნაკადის მკეთრ ცვლილებაში, ასევე სარკინიგზო გადაზიდვებზე მოქმედი მხარეების შემცირებაში და სხვ. სწორედ ამიტომ, სარკინიგზო გადაყვანა-გადაზიდვების მოცულობა დამოკიდებულია: მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე; საქართველოს ერთობლივი შიდა პროდუქტის რაოდენობასა და მოსახლეობის შემოსავლებზე; როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილურობაზე (კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტები) და სხვა გლობალურ ფაქტორებზე. [მ. ტაბატაძე]

საქართველოში ეკონომიკის და სარკინიგზო გადაზიდვების მკეთრი ვარდნა იგრძნობა 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული მოვლენების შემდგომ. მართალია დღესდღეობით მთელს მსოფლიოში მძინარეებს ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ საქართველოში დააბული პოლიტიკური გარემო ძირს უთხრის საქართველოს რეინიგზის ფუნქციონირებას. როგორც მონაცემებიდან ჩანს ზრდის ტემპებით მიმავალი ტექირთბრუნვის მაჩვენებელი დაეცა წინა წელთან შედარებით. საომარი მოქმედებების დროს დაიბომბა საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის სკრა-გორისა და გრაკალი-მეტების გადასარტყები, სადგური კასპის გადასასვლელი და სადგური სენაკი, რის გამოც იგი მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდა, თუმცა უმოკლეს ვადაში მოხდა მისი აღდგენა. დაბობმვების შედეგად დაზიანებული გზის აღდგენისათვის საქართველოს რეინიგზამ დაახლოებით მილიონ რცდახუთი ათასი ლარის ოდენობით იზარდა. [ 7 ] დაიბომბა ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენი, რომელმაც ასევე დროებით შეაჩერა ფუნქციონირება.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესება რეგიონის სახელმწიფოთა ურთიერთობებზეც ახდენს გავლენას. მაგალითისთვის, აგვისტოს მოვლენებმა იმპულსი მისცა თურქეთ-სომხეთის დაახლოებას. დღის წესრიგში დადგა მათ შორის არსებული სარკინიგზო ხაზის აღდგენის საკითხი.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია ჩვენის მხრიდან, მაგრამ ამავე დროს უნდა ავღნიშნოთ, რომ ამან საქართველოს ეკონომიკისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი დანაკარგები წარმოშვას.

ამრიგად, ქვეყნის პოლიტიკური ვითარება პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ პროცესებთან და პირიქით. გართულებული პოლიტიკური სიტუაცია ძირს უთხრის საქართველოს ეკონომიკას, ამიტომ ხელისუფლებას მართებს დიდი წინდახედულება, დიპლომატიური და შორსმჭვრეტელი პოლიტიკის გატარება.

### **ლიტერატურა**

#### **References**

1. e. SevardnaZe “didi abreSumis gza, TRACECA, RETRA, evropa-kavkasia-aziis satransporto derefani. evraziis saerTo bazari. politikuri da ekonomikuri aspeqtobi. 1999 w
2. g. baRaTuria, a. cincaZe „saxelmwifo politika“ 2002 w
3. Jak fransua gamba “mogzauroba amierkavkasiaSi” 1987 w
4. o. qoCoraZe “geopolitika” 2009 w
5. Teimuraz Gorshkov and Giorgi Bagaturia “TRACECA –Restoration of Silk Road”. Japan railway & Transport Review , September #9 2001
6. m. tabataZe “prognozirebis sistemis specifikuroba saxelmwifo marTvis amocanebSi (saqrTvelos rkinigzis magaliTze) “xelisufleba dasazogadoeba” # 4 (8), 2008
7. [www.railway.ge](http://www.railway.ge)

**Nino Dziga**

#### **The Prospects of Georgia Development as a Country with the Function of Transit Corridor**

#### **Summary**

The history of Georgia has begun more than three years ago, by existing Kolkheti kingdom. Georgia was always in the center of interests for other states, because of it's geopolitical space. There were different trade roads crossing the territory of Georgia, which were running from far Asia to Europe, pass Georgia and through The Blach Sea ports join The Mediterranean countries.

Georgia was the part of ancient Silk Road as early as 2000 B. C. The road started in Dunhuang in China and split into northerly and southerly parts. The route crossed Lake Lop Nur to the northern side and south route to the another side. So they meet each other in Kashgar, from here the north route was running across The Caspian Sea, Azerbaijan, Iberia and Kolkheti kingdoms to Pasis on The Black Sea. The south route ran via Balkha and Iran through northern Persia to reach the Mediterranean ports. Using this road traders carried expensive silk from China.

Georgia was not the part of the route of Silk Road, only the one way was coming there. The main route was leading to the south side of the country. So it's the fault idea, that the ancient Silk Road split the Georgia. Ancient Silk Road was so important for the whole world, that modern states try to restore this road. The idea of reviving east-west trade on the Silk Road was first raised by Eduard Shevardnadze in 1990 at the Vladivostok International Conference. In 1993 a conference making the start of the TRACECA project was held in Brussels between the EU member states, the central Asian and south Caucasus states. TRACECA – Transport Corridor Europe-Caucasus – Asia. The project proposed creating an unbroken transport corridor from western Europe to Asia via Black Sea, Caucasus and Caspian Sea, Central Asia and far east countries to be financed by organizations EU and TASIS.

TRACECA project begins in China from the ports of Lianyungang. The railway line coming from east follows the route of ancient Silk Road, but nowadays it's crosses the territory of Georgia. This road is the shortest and quickest way from Japan and China to Europe among the others. This project will be profitable for 30 states.

TRACECA project is one of the most important events of the XX and XXI centuries. TRACECA has brought the role to be the transport corridor to Georgia. This project is the guarantee of sovereignty, peace, conflict regulation and economic profit. It gives our country the chance to link and integrate into the Eurasian transport systems.

TRACECA project includes the whole system of Georgian railway. TRACECA assists to develop and make new infrastructure for railway of Georgia.

In period of Soviet Union Georgia was closed transport corridor. It was carried 64 mln tones only domestic freight in a year and was not profitable.

After the beginning TRACECA project in 1995 transit profits increased from 2,2 mln tones. to 22.8 mn t.

The Eurasia transport corridor is the multi functioning transport communication. TRACECA doesn't mean only the rail transits , but also related to Sufsa terminal, Baku-Tbilisi-Jeihan oil pipeline , Georgia-Turkish gas pipeline and Yars-Akhalqalaqi railway. This project brings good profits for Georgian economy.

TRACECA is the one step towards the future of Georgia. But the events which has happened in August of 2008 made a great dangerous for countries safety, economy and peace. There was a question to loss the function of transport corridor. The rail was bombed , which made it to stop for a short period of time. Baku-Tbilisi-Jeihan pipeline was also bombed. Economy and Politic is closely related to each other. The Georgian railway lost the increasable profits from transit traffic after the war. Consequently, the state have to make such a policy that won't ruin the economy and international image.

**Keywords:** Ancient Silk Road, Transit, Freight carry, Domestic freight carry, Profitable, Transport Corridor, Euro Integration, Sovereignty, Oil-pipeline, Gaz-pipeline, Economic, Policy, Geopolitics

**Reviewer** – Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

**Дзигуа Нино Владимировна**

### **Перспективы развития Грузии, как государства, выполняющего функцию транзитного коридора**

#### **Резюме**

История грузинской государственности началась более трех тысяч лет назад существованием сильного Колхидского царства. Грузия испокон веков находилась в центре внимания в силу своего уникального геополитического расположения. С древних времен через нее проходили караванные торговые пути, которые направлялись из далекой Азии к Европе и посредством черноморских портов сообщались со средиземноморскими странами.

По территории Грузии также проходил древний Шелковый путь, который был открыт во 2 веке до нашей эры. Он шел из китайского

города Дунхуан в двух направлениях. Первый путь пролегал к северу от Лиабнорского озера, а второй проходил к югу от озера в город Кашгар. Северный путь по Каспийскому морю сообщался с Албанией, современным Азербайджаном, Иберией и через Колхиду направлялся в город Фазис. Южный путь из Кашгара сообщался с Балхой и Ираном и, проходя через среднеречье, направлялся к берегам Средиземного моря. По Шелковому пути в Рим доставляли дорогой китайский шелк.

Основной маршрут Шелкового пути не пролегал непосредственно по территории Грузии, а лишь один из его участков, основной же путь проходил к югу от страны.

Таким образом, мнение, что Шелковый путь пролегал через Грузию, является ошибочным.

Древний Шелковый путь занимал настолько важное место в мире того времени, что обновить данную идею попытались и современные государства. В ходе международной конференции, прошедшей в 1990 году во Владивостоке, был поставлен вопрос восстановления исторического Шелкового пути, авторами чего были Эдуард Шеварднадзе и Гейдар Алиев.

В 1993 году на конференции в Брюсселе была заложена основа проекта Трасека, в котором участвуют: страны-члены ЕС, государства Центральной Азии и Южного Кавказа, в том числе Грузия. Трасека означает транспортный коридор Европа-Кавказ-Азия. Программа предусматривает создание транспортного коридора между Европой и Азией через Черное море, Кавказа и Каспийское море, что финансируется со стороны ЕС и TASIC.

Маршрут Трасека берет начало в черноморских портах Грузии и направляется к пристани Лангуан. Западная железнодорожная ветвь пройдет древний маршрут Шелкового пути, но на этот раз будет пролегать через территорию Грузии. Данный маршрут значительно сокращает сухопутный и морской путь от Японии и Китая до Европы. Пользу от проекта Трасека получат 30 государств.

Создание транспортного коридора Трасека является одним из знаменательных событий на рубеже XX и XXI века. Трасека вернула Грузии роль транспортного коридора, что является гарантом мира, суверенитета, урегулирования конфликтов, экономического продвижения. Это даст возможность Грузии интегрироваться в европейское транспортное пространство.

В проекте Трасека принимает участие вся транспортная система Грузии, решаяющая же роль отведена грузинской железной дороге, которой Трасека даст возможность развития и создания новой инфраструктуры.

В период СССР грузинская железная дорога являлась транспортным тупиком, ее грузооборот составлял 64 млн. тонн, что является

показателем перевозки местных грузов. В те времена железная дорога находилась на государственной дотации и, соответственно, отрасль не была прибыльной. После начала проекта Траеска объем грузоперевозок в 1995 году начал увеличиваться на 2,6 млн. тонн и постепенно стала возрастать прибыль, полученная от транзита.

Евразийский транспортный коридор является многофункциональной транспортной коммуникацией. Трасека подразумевает не только грузоперевозки. В данный проект также входит терминал Супса, нефтепровод Баку-Тбилиси-Джейхан, туркмено-азербайджанский и грузино-турецкий газопроводы, железнодорожная магистраль Карс-Ахалкалаки. Данные проекты приносят большую экономическую прибыль Грузии.

Трасека является для Грузии шагом, сделанным вперед, но события, развернувшиеся в августе 2008 года, создали угрозу безопасности, экономике и продвижению страны. Встала угроза потери функции транспортного коридора. Во время войны подвергся бомбардировке один из участков железной дороги, что вызвало ее парализацию, хотя восстановление произошло быстро. Бомбардировке подвергся также нефтепровод Баку-Тбилиси-Джейхан.

Экономика и политика тесно взаимосвязаны между собой. После войны показатель железнодорожных грузоперевозок сократился. Таким образом, государство должно проводить такую политику, чтобы не пострадала экономика и международный имидж страны.

**Ключевые слова:** Древний Шелковой Путь; Трасека; транзит; Грузинская железная дорога; грузооборот; местные грузовые перевозки; доходный; транспортный коридор; Евроинтеграция; суверенитет; нефтепровод; газопровод; экономика; политика; geopolitika.

**Рецензент** – профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет

# საზოგადოება

## მურად შონია

### ადამიანი ორგორც სოციოლოგიის საბანი

ადამიანი საერთოდ მეცნიერების შესწავლის უმთავრესი საგანია. მაგრამ მეცნიერება თავისი სტრუქტურით მრავალსახოვანია, რის გამოც სხვადასხვა მეცნიერება ადამიანს სხვადასხვა კუთხით შეისწავლის. ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც შევეხოთ ამ საკითხს.

არსებობს მეცნიერებათა ორი დიდი რიგი. ერთია საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მეორე – საზოგადოებისმეტყველო მეცნიერებანი. ორივე მათგანი შეისწავლის ადამიანს ერთნაირი უფლებით, ვინაიდან ადამიანს გააჩნია როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი მსარე. პირველს შეისწავლიან სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მეორეს კი – საზოგადოებისმეტყველო მეცნიერებანი.

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანს შეისწავლიან როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებისმეტყველო მეცნიერებანი, ჩვენ აქ ვგულისხმობთ ყველა მეცნიერებას როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით. და, მართლაც, განა ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ მისი საგანგებოდ შემსწავლელი მეცნიერებანი შეისწავლიან. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი მეცნიერება მეტ-ნაკლებად ხომ მაინც ადამიანს სწავლობს, ვინაიდან არ არსებობს არაფერი, რაც რაიმე ელემენტის სახით არ იყოს მოცემული ადამიანში, რაც კი რამ შეისწავლება საერთოდ მეცნიერებით. ადამიანი ეს ხომ ერთგვარი შესაკრებელია ყოველივე არსებულისა. სხვაგვარად ამას ასე იტყვიან ხოლმე: ადამიანი ეს „მიკროსმოსიარ“, „მცირე სოფელიაო“ მაკროკოსმოსში ანუ დიდ სოფელში [1, გვ. 106].

მაგრამ ერთია ის, რომ ადამიანი საერთო, კომპლექსური საგანია მეცნიერებისა, უფრო სწორედ მეცნიერებათა და მეორეა ის, რომ ადამიანი საგანგებო შესწავლის საგანია ამა თუ იმ მეცნიერებათა. და თუ მართალია ის, რომ ყოველი მეცნიერება

ასე თუ ისე ეხება მაინც ადამიანს, მითუმეტეს უფრო მეტად და, მაშასადამე, საგანგებოდ, სპეციალურად, საკუთრივ შეეხება მას შესაბამისად საგანგებო, სპეციალური, საკუთრივი ნაწილი მეცნიერებათა, რომელთაც ზოგადად შეიძლება ანთროპოლოგია ვუწოდოთ.

ტერმინი „ანთროპოლოგია“ ორი ქველბერძნული სიტყვისაგან „ანთროპოსისა“ და „ლოგოსისაგან“ მომდინარეობს. პირველი ქართულად „ადამიანს“, „კაცს“ ნიშნავს, მეორე კი – ამ შემთხვევაში „მოძღვრებას“. ასე რომ, იგი მთლიანად „ადამიანთმცოდნეობას“, „კაცთმცოდნეობას“, მაშასადამე, „ადამიანის შესახებ მოძღვრებას“ ნიშნავს.

ანთროპოლოგია ერთიანი, კომპლექსური მეცნიერებაა, უფრო სწორედ სფეროა მეცნიერებათა და იგი მრავალ სხვადასხვა განშტოებას მოიცავს. უპირველეს ყოვლისა მასში შეიძლება და უნდა გამოვყოთ საბუნებისმეტყველო ანთროპოლოგია და საზოგადოებისმეტყველო ანთროპოლოგია. სხვანაირად ამათ შეიძლება ვუწოდოთ ნატურანთროპოლოგია და სოციოანთროპოლოგია. ერთი მათგანი სპეციალურად ადამიანს ბუნებრივი, ნატურალური კუთხით შეისწავლის, მეორე კი – საზოგადოებრივი, სოციალური კუთხით. ორივე, რა თქმა უნდა, აუცილებელია.

ანთროპოლოგიური მეცნიერებანი არაანთროპოლოგიურ მეცნიერებათაგან, მაშასადამე, იმით განსხვავდებიან, რომ პირველი, როგორც უკვე აღნიშნეთ, ადამიანს საგანგებოდ შეისწავლიან, ხოლო მეორენი – სხვათა შორის; პირველი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს სწავლობენ, მეორენი კი – ადამიანის გარდა სხვა რამებსაც. გარდა ამისა, არაანთროპოლოგიური მეცნიერებანი ადამიანს შეისწავლიან მათი შესასწავლი სფეროს მასშტაბით, ხოლო ანთროპოლოგიური მეცნიერებანი კი – საკუთრივ ადამიანის მასშტაბით.

სოციოლოგია როგორც ანთროპოლოგიური მეცნიერება ადამიანს იკვლევს, რა თქმა უნდა, თავისი - სოციალური კუთხით და სწორედ ესაა მისი სპეციფიკაც, განსხვავებით ყველა სხვა მეცნიერებისაგან, როგორც არაანთროპოლოგიური, ისე ანთროპოლოგიური მეცნიერებისაგან.

და სწორედ იმიტომ, რომ ნათელი გახდეს სოციოლოგიის სპეციფიკაც ადამიანის შესწავლის საქმეში, აქ აუცილებელია, შევჩერდეთ თავად სოციოლოგიის საგანზე, რათა ამის შემდეგ, მართლაც, ნათლად გამოიკვეთოს აღნიშნული სპეციფიკა.

საქმე ისაა, რომ შესაძლოა ეჭველეშ დადგეს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებულია ადამიანი სახელმობრ იყოს სოციოლოგიის საგანი. სოციოლოგია ხომ, მართლაც, შესაძლოა არც იკვლევდეს ადამიანს, ვინაიდან იგი შესაძლოა იკვლევს მხოლოდ სოციალურს. იქნებ სოციალური ანუ საზოგადოებრივი არც კი ეხება ადამიანურს, ინდივიდუალურს? იქნებ სოციოლოგია იკვლევს მხოლოდ სოციალურ ჯგუფებს და არა სოციალურ ერთეულებს?

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ რამდენადაა ადამიანი სოციოლოგიის საგანი, ჯერ ლოგიკურია გაირკვეს თავად სოციალურის როგორც სოციოლოგიის საგნის, მერე კი უკვე ადამიანის სოციალურობის მართებულობის და, ბოლოს, ამ უკნისკნელის ადგილი პირველში, კი. ადამიანის როგორც სოციალური არსების ადგილი საერთოდ სოციალურის ფენომენში.

და, აი, აქ უნდა ითქვას ამასთან დაკავშირებით ის, რომ ერთიც მართებულია და მეორეც, და რომ ადამიანსაც სწორედ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალურში.

ის, რომ სოციალური სოციოლოგიის საგანია, თითქოსდა ანაბანაა, მაგრამ ეს ასე მთლად როდია, ვინაიდან სოციალური მართლაც მთელი სპეციფიკა სოციოლოგიის საკითხისა. ამიტომ სპეციროა საგანგებოდ შექჩერდეთ მასზე.

სოციალურში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ადამიანური ურთიერთობანი, ადამიანთა ურთიერთობანი, ანუ, რაც იგივეა, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ვინაიდან საზოგადოება ხომ სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ადამიანთა შორის მიმართებანი. და, მართლაც, საზოგადოებას როცა განმარტავნ, მას განმარტავნ სწორედ როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ანდა, სხვანაირად, ადამიანთა ერთობლიობას მთელი თავიანთი ურთიერთობებით. მაშასადამე, სოციალური, იგივე საზოგადოებრივი არის ყოველივე ის, რაც ადამიანთა შორის ურთიერთობის გადაკვეთაზე ძევს. ასე რომ, სოციოლოგიაც როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ მთელი თავისი არსებით სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება სწორედ ამ განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ, ადამიანთა შორისი ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების შესახებ. სოციოლოგიის არსებაც ეგაა.

მაგრამ ის, რომ სოციოლოგია არსებითად შეისწავლის სოციალურს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი შეისწავლის მხოლოდ და მხოლოდ ამ ურთიერთობებს, უშავლოდ ამ ურთიერთობებს. სინამდვილეში სოციოლოგიის საგანი როდი

დაიყვანება მასზე, არამედ აღემატება მას. ამიტომ სოციოლოგია შეისწავლის კოველივეს, რაც კი ადამიანებთან ან ადამიანთა მეტნაკლებ ჯგუფებთან არის დაკავშირებული, ოღონდ ადამიანური ურთიერთობების ჭრილში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგჯერ სოციოლოგიის საგანად წარმოუდგენიათ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ჯგუფები, მინიმუმ სულ მცირე ჯგუფით დაწყებული, რაც თითქოსდა გამორიცხავს იმას, რომ ადამიანი როგორც ასეთი იყოს სოციოლოგიის საგანი [2, გვ.300]. მაგრამ ეს ასე არაა, ვინაიდან ადამიანი, თუნდაც ცალკეული ადამიანი, იზოლირებული როდია სხვა ადამიანთაგან, არამედ იგი, პირიქით, არის საზოგადოებრივ ურთიერთობითა სუბიექტიცა და ობიექტიც. ასე რომ, სოციოლოგიის საგანია არა მარტო სოციალური ჯგუფები, არამედ ადამიანებიც ჯგუფთა გარეშე. მაშასადამე, სოციალური არა მხოლოდ ჯგუფებია ადამიანებისა, არამედ ადამიანებიც ჯგუფების გარეშე.

და აი აქ, სოციალურისა და ადამიანის სოციალურობის საკითხის შემდეგ ისმის ასევე საკითხი ადამიანის სოციალურში ადგილის სწორედ განსაკუთრებულობის შესახებაც.

ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალურის სისტემაში იმ მხრივ, რომ იგია როგორც სოციალურის პროდუქტი, ისე სოციალურის სუბიექტიც.

ის, რომ ადამიანი თავისი ბუნებით სოციალური არსებაა, ეს ყველაზე უკეთ გამოიქმენი აქვს კარქსს თავის ცნობილი დებულებით: „ადამიანის არსება... არის ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობა“ [3, გვ.3].

მაგრამ ადამიანი არა მარტო პროდუქტია საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, არამედ უფრო მეტიც, იგი თავადაა შემოქმედი ამ ურთიერთობებისა. ამიტომაც ამას ხაზვასმით აღნიშნავენ ხოლმე სოციოლოგები. ასე, მაგალითად, ს. ფრანკი აღნიშნავს იმას, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება ეს არის ადამიანთა ცხოვრება, ადამიანური გონის ქმნილება“ [4, გვ.19], ხოლო ლ. ფონ ვიზემ „საზოგადოება განსაზღვრა, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის მრავალფეროვნება“ [5, გვ.180].

კოველივე აქედან გამომდინარე, ნათელი უნდა გახდეს უმნიშვნელოვანები ჭეშმარიტება, რომ სწორედ ადამიანია სოციოლოგიის ძირითადი, სოციოლოგიის მთავრი პრობლემა, ოღონდ იმ აუცილებელი შენიშვნით, რომ იგი სოციოლოგიის საგანია სწორედ სოციალურის ანუ სწორედ ადამიანთა შორის

ურთიერთობის რაკურსით. ესაა სოციოლოგიის სპეციფიკაციამიანის შესწავლის საქმეში.

ადამიანი სოციოლოგიის აუცილებელი საგანია და თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი, ვინაიდან ადამიანია სწორედ გასაღები ყოველგვარი სოციალური მოვლენისა, ვინაიდან სწორედ იგია არსება ყოველგვარი სოციალური ფენომენისა.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი სოციოლოგიის საგანია ზოგადსოციალური კუთხით. აյ ხაზი უნდა გაესვას „ზოგადსაც“ და „სოციალურსაც“ ერთიანობაში. ასეთია სოციოლოგიის საბოლოო სპეციფიკაცია ადამიანის შესწავლის საქმეში.

### ლიტერატურა

#### References

1. Qartuli samartlis dzeglebi. T.3. Tbilisi, 1970 (Georgian).
2. Aberkrombi N., Xill C., Terner B. Sociologicheski slovar. Moskwa, 2004 (Russian).
3. Marx K. Tezisi o Feierbache. – Marx K., Engels F. Sochinenia, T. 3. Moskwa, 1955 (Russian).
4. Frank S. L. Duxovnie osnovi obshchestva. Moskwa, 1922 (Russian).
5. Shchepanski I. Sociologiis elementaruli cnebebi. Tbilisi, 1977 (Georgian).

**Murad Shonia**

#### Human as a subject of sociology

#### Summary

Sociology as a science studies the common laws of the society. But it studies these laws by an angle of social. It means that it studies the public phenomenon by the aspect of social relationships, while social relationships are nothing else but exactly human relationships, relationships between the humans. It is natural that public relationships don't exist and even cannot exist without humans, because they are created exactly by human beings.

Human is a product and moreover a subject of social, and he is also a result and a reason of public relationships, or else he is entirely social being. Thus human already is a social being by his essence. This sociality is his inner nature. So he is a necessary subject of sociology, but only under common social angle. Proceeding from this fact it is not necessary that only social groups, small or big, are the subject of sociology. Human outside of the group is also a subject of sociology since human in himself even without it is a

social being. In both cases, with or without interaction human is a social being anyway.

Under common social angle the human considers a person as by common angle, as well as by social angle. Under this common social aspect the human is exactly a specific subject of sociological study, because except of sociology, study of a human in common sense is a subject of philosophy generally, and especially of philosophical anthropology, but only in a social sense.

Thus the human is a subject of sociology as a common social being, while specificity of human as a subject of sociology (among all common social subjects of sociology) is that human is the pivotal and therefore the most significant subject of sociology, because exactly a human is the only end in itself in the whole world. Everything else regarding to him we can consider as a means.

Human is the only end in itself on the earth because he is exactly a highest creature of the universe. Indeed the human is a microcosm in the whole cosmos, even more he is a macrocosm in himself in the whole cosmos, because human contains all elements of a cosmos and in contrary, the whole cosmic space is created by human criteria. And that all cosmos, everything on the earth is created by human criteria, follows from the fact, that everything created by the God in the world is created by him exactly for the human.

**Key words:** Human; subject of sociology; social; end in itself; goal; means; microcosm; macrocosm; cosmos; criteria; interaction; existing; public relationships.

**Reviewer** – Professor Sergo.Lominadze, Georgian Technical University

**Шониა Мурад Бочоевич**

### **Человек как предмет социологии**

#### **Резюме**

Социология как наука изучает общие законы общества. Но она изучает эти законы под углом социального. А это означает, что она изучает общественные явления в аспекте социальных отношений. Социальные же отношения суть ничто иное, как именно человеческие отношения, отношения между людьми. Естественно, что не существуют да и не могут существовать общественные отношения без людей, так как они созданы именно людьми.

Человек – это и продукт и, тем более, субъект социального, он и результат, и причина общественных отношений, т.е. всецело социальное существо. Человек, следовательно, уже по своей сущности социальное существо. Эта социальность его внутренняя природа. Так что, он является необходимым предметом социологии, только под общесоциальным углом. Отсюда следует и то обстоятельство, что предмет социологии не обязательно составляют социальные группы, малые или большие, но и человек вне групп, так как человек и без этого уже само по себе социальное существо. Человек в обоих случаях, как в общении, так и без общения все равно социальное существо.

Человек под общесоциальным углом представляет человека, одновременно как под углом общего, так и под углом социального. Человек в таком – общесоциальном аспекте и составляет специфический предмет социологического изучения, так как кроме социологии изучением человека в общем плане занимаются и философия вообще, и философская антропология в особенности, только в социальном разрезе.

Итак, человек представляет предмет социологии как общесоциальное существо, а спецификой человека как предмета социологии среди всех общесоциальных предметов социологии является то, что человек составляет самый главный и поэтому самый значительный предмет социологии, так как именно человек и является единственной самоцелью на Земле. Все остальное же по отношению к нему уже можно рассматривать как средство для него.

Человек является единственной самоцелью на Земле потому, что именно он является вершиной всего создания. В самом деле, человек – это микрокосм в целом космосе, даже больше – он сам макрокосм в целом космосе, так как человек вмещает в себя все элементы космоса и, наоборот, целый космос создан по человеческому критерию. А что весь космос, все на Земле создано по человеческому критерию, вытекает из того, что все, что создано Богом на Свете, создано им именно для человека.

**Ключевые слова:** Человек; предмет социологии; социальное; самоцель; цель; средство; микрокосм; макрокосм; космос; критерий; общение; сущее; общественные отношения.

**Рецензент** – Профессор Серго Ломинадзе, Грузинский технический университет

## მარინე ლომიძე

### სპილეო: სასურველი თუ რჩალობა?!

უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა წრეში გაჩნდა აზრი, რომ თანამედროვე ქართულ მედიასივრცეში არსებულ პრობლემებს სიტუაციის არასათანადო ანალიზი განაპირობებს. ეს წრეები უმთავრესად დაინტერსებული საზოგადოებაა და ამ ტიპის ინდიკიდთა ერთობისათვის დამახასიათებელი ქცევით გამოირჩევა – მართალია, აინტერესებს კონკრეტული საკითხი, მაგრამ ქმედებისათვის მზად არაა.

ამ საკითხის აქტუალობა საინტერესო არგუმენტირებული ინტერპრეტაციოთაა წარმოდგენილი მკვლევარ მანანა შამილიშვილის სტატიაში „ქართული ჟურნალიზმი გლობალური საინფორმაციო-კრეატიული პროცესების სისტემაში” [1,160-169].

თანამედროვე ქართული მედიის ზოგადი ტენდენციების ფონზე მკვლევარი სახავს იმ პრობლემათა რიგს, რომლითაც ახლანდელი ქართული „მრავალშენაკადიანი” ჟურნალისტიკის მცვლეობა უნდა ინტერესდებოდეს. შემოთავაზებული გრძელი ჩამონათვალის თავში აუდიტორიაზე ინფორმაციული ზემოქმედების მეთოდები და ფორმებია.

სშირად, როცა დილით ჩვეულებისამებრ ტელევიზორს ვრთავ, XX საუკუნის ორიგინალური კომუნიკატორის მარშალ მაკლუნის წიგნიდან „მედიის გაზება” ერთი ფრაგმენტი მასესენდება. აბორიგენი აფრიკელი ძლიერ ტეივილებს ითმენდა იმისათვის, რომ ყოველ საღამოს ბიბი-სის ახალი ამბები მოესმინა, თუმცა მათი არაფერი გაეგებოდა. მისთვის მთავარი იყო უბრალოდ ყოფილიყო ამ ბერებთან ერთად ყოველ საღამოს 7 საათზე. მაკლუნი ადნიშნავს, რომ იგი ისე მიეჩია მათ, როგორც ჩვენ ვართ მიჩვეული მედიოდის მოსმენას, სადაც რეზონანსული ინტინაციები თავისთვად არის მნიშვნელოვანიო [2,180]. ეს ასოციაციური პარალელი ჩემი და 50 წლის წინანდელი აფრიკული კომუნიკაციის მოტივაციისათვის სრულად ვერ გამოდგება, მაგრამ ერთია – მე, ისევე როგორც აფრიკის მკვიდრი (თავისებურად, მაგრამ მაინც), მედიაზე დამოყიდებულების თეორიის ცოცხალი მაგალითი ვარ.

იგივე განცდა ამოვიკითხე გამოცდილი ტელეჟურნალისტის ნააზრებშიც ამ ცოტა ხნის წინათ. მისი აზრით, „კარგა ხანია დროის მაგივრად ქრონომეტრაჟში ვცხოვობთ” [3,97]. ამ შემთხვევაში მარტო ის როდია საგულისხმო, რომ მრავალი სატელევიზიო გადაცემის ავტორს პროფესიული ინტერესი „არ

ასვენებს”, იგი ინფორმაციის ისეთივე მომსმარებელია როგორც მე და ნებისმიერი ინდივიდი.

სოციოლოგიური კვლევებისადმი ჩვენში სწობიზმად ქცეული ტოტალურად მზარდი მოთხოვნების ფონზე, სპეციალისტთა მოხმობის საჭიროება არ არსებობს იმის სათქმელად, რაზეც ცალსახად ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ აფრთხილებდა საზოგადოებას ზემოთ ხსენებული მაკლუები: ტელევიზიას „შეუძლია ნებისმიერი ნაკლებადმნიშვნელოვან მოვლენას, წვრილმანს საქვეყნო მნიშვნელობა მიანიჭოს. მეცნიერის აზრით, მაყურებელი „სატელევიზიო მოზაიკის” ათვისების პროცესში აქტიურადად ჩართული: ნანახით ყველა საკუთარ სურათს ქმნის ცხოვრებისეული გამოცდილების, განათლების, განწყობისა და კონკრეტულ მომენტში ყურადღების ხარისხის მიხედვითაც კი. კ. ი. ტელევიზიის ზემოქმედების ამ ფსიქოლოგიური ბერკეტის რაციონალურად გამოყენება სხვადასხვა მიზნის მიღწევის გზაა. ეს ელექტრონული მედიის, როგორც ინსტრუმენტის, ფუნქციის არსებითი შტრიხია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების რთულსა და მტკიცნეულ პროცესში.

ჩვენი ქვეყანა „დემოკრატიის მესამე ტალღის” ქვეყნად მოიაზრება. ექსპერტთა აზრით, „მესამე ტალღის” პერიოდისათვის საქართველოში ორი ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა: ეროვნული დამოუკიდებლობის, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა და დასავლეური სტილის ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკეთრება. სადაცისოდ პირველი (ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის პოგრამა) სრულად არა, მაგრამ მაინც განხილული დემოკრატიული, რასაც ქვეყნის დემოკრატიული შესახებ ვერ ვიტვით. ამ პროცესისათვის თანამდევი საკითხების გადაჭრის მიუხედავად დემოკრატიის სასურველი დონის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ფაქტორი – ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნილოგიების არასაქმარისი გავრცელებაა [4,89-90].

საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ ძირითადად მედიის საშუალებით იღებს და ამდენად ინფორმაციის გავრცელების არალის პრობლემასთან ერთად მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის საკითხიც დგება. მედია გვგარნახობს რაზე ვიფიქროთ („აჯენდა-

სეთინგის” თეორია) და იმასაც, როგორ ვიფიქროთ („ფრეიმინგ თეორია”).

- ფიქრის წარმართვის ხელოვნება რომ რთული და მყიფე პროცესია, ეს ჯერ კიდევ სოერატემ და პლატონმა აღნიშნეს. ისინი საზოგადოებრივი აზრის რამდენიმე მახასიათებელს გამოჰყოფდნენ:
- საზოგადოებრივი აზრი მუდმივი არ არის, ხშირად იცვლება;
  - საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება არა ლოგიკაზე, არამედ ემოციებზე დაყრდნობით;
  - საზოგადოება ადგილად ტემპერატურად.

ასეთი მიღგომის შესაბამისად სიბრძნისმოყვარულნი საზოგადოებას უნდობლობას უცხადებდნენ, სანდოდ მხოლოდ განათლებული ელიტის აზრს აღიარებდნენ.

დროის სიმორის განცდის მიუხედავად, მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ჭრილში იკვეთება ძვ. წ. IV საუკუნეში დანახული პრობლემა, რომლის სიმწვავე დღეს განსაკუთრებულად აღიქმება. ლოგიკა ასეთია – ოუ საზოგადოებრივი აზრი მუდმივი არაა და ხშირად იცვლება, ოუ ემოციებს ეფუძნება და საზოგადოების მოტყუება ადგილადაა შესაძლებელი, ე. ი. ამისთვის მრავალი ფაქტორი არსებობს და განხორციელების კიდევ უფრო მეტი საშუალება მოიძებნება. მრავალთა შორის სპინი საყურადღებო ასპექტია.

სპინი ინგლისური სიტყვაა და დართვას, დატრიალებას ნიშნავს. პირდაპირი მნიშვნელობით კრიკეტიდან და ბეისბოლიდან მომდინარეობს – ბურთი დარტყმით, ჩაწოდებით ისეთ მიმართულებას იძენს, რომ პაერში ტრიალდება, მოწინაადმდეგებს აბნევს და დამრტყმელისათვის სასურველი შედეგი მოაქვს. სპინის შეთანხმებული განმარტება არ არსებობს. სკეციალისტები გამოყოფენ დამახასიათებელ ნიშნებს – „მსუბუქი” პროპაგანდა, არაცილებური და აგრესიული „პრომოუშენი”, ფაქტის შეღამაზება, შერჩევითი გაშუქება და სხვ.

სპინი – ტერმინი და მისი ამგვარ ფენომენად ქცევა წმინდად ბრიტანულია. თუმცა ტერმინია შედარებით ახალი, თორემ სპინის, როგორც ფენომენის არსი „არახალია, ძველია”. ვერძალური კომუნიკაციის, ტექსტის სასურველი მიმართულებით წარმართვის ხელობა დიდი ხანია ცნობილია – ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებისთანავე.

ერთი ძველი ინგლისური ანეკდოტის მიხედვით, ლონდონში ჩასულ რომის პაპს უურნალისტებმა პკითხეს, მონიახულებდა ოუ არა ის დამის კლუბებს. – ბევრია ასეთი? – უკითხავს პაპს და მეორე დღესვე გაზეთის პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაიბეჭდა: „რომის პაპი ქალაქში დამის კლუბების რაოდენობით

დაინტერესდა”. ეს ანეკდოტი მაშინ მოიგონეს, როცა სპინს ეს სახელი ჯერ კიდევ არ ერქვა, რაც ზემოთქმულს ადასტურებს [5,13].

სპინს მეთოდის ანალოგიად შეიძლება განვიხილოთ არცოუშორეული წარსულის ჟურნალისტიკისტცოდნეობაში ტენდენციის გამჟღავნების ხერხებად წოდებული ზოგიერთი ნიმუში (სასეგნი ნიშნების გამოყენება, სათაური, კითხვის დასმის ფორმა, „ამობურცული წერტილი” და სხვ.). საზოგადოებაზე გარკვეულ ზემოქმედებას მარტო მედია და პოლიტიკოსები როდი ისახავენ მიზნად. ეს პოლიტიკოსი ადამიანთა მოღვაწეობის მრავალი დარგისთვისაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. საგულისხმო პარალელები ერთეული როდია. სამედიცინო, სასამართლო პრაქტიკა, სტანისლავსკის „გამჭოლი მოქმედების” პრინციპი და სხვ. ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების ამდაგვარ ყალიბს იყენებს. მხოლოდ ტაქტიკაა განსხვავებული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. ეს ასპექტებიცაა, ალბათ, გათვალისწინებული, როცა სპეციალისტები ამბობენ, რომ ოუ სპინი აღრე მხოლოდ წინასაარჩევნო დებატების დროს გამოყენებულ ტექნიკას ეწოდებოდა, სადღეისოდ იგი კომუნიკაციის ყველა სფეროს მოიცავს. მათივე მტკიცებით, პოლიტიკური კომუნიკაცია და პიარი სპინის შემადგენელი ნაწილია და არა პირიქით. ეს მოსახრება, მავანთა მტკიცების მიუხედავად, მაინც საკამათოდ მესახება. მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ადამიანებს, ვინც გამოსვლის ინტერპრეტირებით, შეცდომების გასწორებით, აქცენტების დასმითა და მესიჯების გამოყოფითაა დაგავებული, „სპინდოქტორებსა” და „სპინმასტერებს” უწოდებენ. სწორედ ასე მოიხსენიებენ დასავალეთში პრესმდივნებს, მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტებსა და პიარმენჯერებს.

ხელისუფლება, პოლიტიკოსები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით ცდილობენ მოსახლეობის მხარდაჭერისა და ნდობის მოპოვებას. ისინი ამისათვის მედიასაშუალებებს იყენებენ. სწორედ მედიას ვალია სპინის აღმოჩენა და შესაბამისად განეიტრალება. წნდება კითხვა – რამდენად შესატყვისია ამის კვალობაზე პრესის ქმედება? ამ პროცესის უფრო რელიგიურად დახასიათება ძნელია, ვიდრე ეს შეძლო დ. მიჩმა წიგნში „უხილავი ზემოქმედება: როგორ მანიპულირებენ ბრიტანელი სპინდოქტორები მედიით”: „ყველამ იცის, რომ კარგი პიარი შეუმჩნეველი რჩება. თუმცა, დღესდღეობით პრესის დამოყიდვებულება პარისადმი დაემსგავსა იმ ალკოჰოლიკის პოზიციას, რომელიც არ აღიარებს, რომ პრობლემები აქვს. ის იმდენად მიწვია ალკოჰოლის მოხმარებას, რომ ამაში საფრთხეს ვერ ხედავს. პრესი უარყოფს,

რომ სპინი არა მარტო დომინირებს მედიაში, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მედიით მანიპულირებს. სპინდოქტორები კი მარტო თავიანთ მესიჯს არ ახმოვანებენ, არამედ მთლიანად ახალი ამბების ფორმირებას ახდენენ” [6,7].

თანამედროვე მედიის ტენდენციის ვასაანალიზებლად ნიშანდობლივია გაძრიელ მარკესის აზრი უურნალისტის საშიშ პროფესიად წარმოჩენის შესახებ. ახლახან დაწერილ სტატიაში – „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა” – იგი აღნიშნავს: „დღეს შეტყობინებაშიც და რეპორტაჟშიც არის კომენტარი, განსჯა. მოწინავე სტატია კი ფაქტობრივი მონაცემებითაა გაჯერებული. ეს მნიშვნელოვანი პროგრესია. მიუხედავად ამისა, შედეგი არც თუ ისე სახარბიელოა: ეს ხელობა როგორც არასდროს, ისე გახდა საშიში. ცრუ თუ ნამდვილ განცხადებებში ბრჭყალების აღვირასნილი გამოყენება, ნებით თუ უნებლივით, აძლევს შანსს შეცდომებს, ბოროტ მანიპულაციებსა და მომწამვლელ დამახინჯებებს, რაც ინფორმაციას სასიკვდილო იარაღს უტოლებს. მარადიულ სანდო წყაროთა, კარგად ინფორმირებულ ადამიანთა თუ მაღალჩინოსანთა... ან კველაფრისმცოდნე დამკირვებელთა... ციტირება, როგორც წესი, არის ყოვლად დაუსჯელი ზიანის მომგანი. დამაზავეს ზურგს უმაგრებს უნებართვოდ არ დასახელოს „წყარო”, თუ თვითონ უურნალისტი არ არის ამ „წყაროსათვის” მარტივი საშუალება გაავრცელოს ინფორმაცია ისე, როგორც სურს და ხელს აძლევს” [7,5].

დემოკრატია, გამოხატვის თავისუფლების პრინციპები საინფორმაციო საშუალებებს დამოუკიდებლობის ფართო არჩევანს აძლევს (ერთი პირობით, კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს). ქართული მედიის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, შორს დგას დემოკრატიული, თავისუფალი პრესის არსის გაგებისაგან – საკუთარი შეხედულებისამებრ საზოგადოების ინფორმირებისას მკეთრად გამოხატულ სუბიექტურ მიღვომებს აფიქსირებს. დღეს მედია ძალიან პგავს თავად ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც იცის, რომ არსებობს სიმართლე, მაგრამ კველას საკუთარი სიმართლე გააჩნია. სწორედ ეს სხვადასხვა მოტივით ნაკვები „საკუთარი სიმართლეა” სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი. რასაკვირველია, ეს მარტო ქართული მოვლენა როდია. ამგვარი ტენდენცია დანარჩენ მსოფლიოსაც აწუხებს, მაგრამ ჩვენს პიკერპოლიტიზირებულ ქვეყანაში ეს პროცესი სხვა ელფერს იძენს. იგი არა ჯანსაღი პლურალიზმის, არამედ მკეთრი დაპირისპირების ფაქტორია.

ცხადია, თავისუფალ მედიაბაზარს თავისი კანონები აქვს და სპინის ამობირკვის ილუზია არ უნდა გვქონდეს.

გულუბრევილობა იქნებოდა „ლიბერტარიანული თეორიის” კონცეფციის უპირობო მიღებაც – ყოველი ინდივიდი დაბადებისთანავე თავისუფალია, გააჩნია გონება და „იდეების თავისუფალ და დია ბაზარზე” თვითონ გააკეთებს სწორ არჩევანს. ჭრელი მასალით გაჯერებულ დღევანდელ საინფორმაციო ბაზარზე „რაღაცისაგან (გარეშე შეხდუდვისაგან, მით უმტეს სახელმწიფოს მხრიდან) თავისუფლების” იდეაზე მეტად უპირატესობა სოციალური პასუხისმგებლობის „პოზიტიური თავისუფლების” გავებას უნდა მივანიჭოთ. „რაღაცისათვის თავისუფლების” ანუ მიზნის მიღწევისათვის თავისუფლება. მიზანს ამ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვებისა და განკარგვის ასპექტით განვიხილავთ. ინდივიდი არათუ იზტუდებოდეს, პირიქით, ყველა საშუალებითა და პირობითა უნდა ეწყობოდეს ხელი. ბევრი არაფერი შეცვლილა პათჩინსის ცნობილი კომისიის მოსაზრებიდან „პრესის თავისუფლების შესახებ” იმ თვალსაზრისით, რომ რაციონალური ბუნების ქონება ადამიანი ხშირად ზარმაცია და განსაკუთრებულ ძალისხმევას არ იჩენს ინფორმაციის მოპოვებისათვის. მეტადრე თანამედროვე ცხოვრების დაჩქარებული ტემპის პირობებში.

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ინფორმირებული მოქალაქეებია. ინფორმაციის ფლობა არათუ უფლება, მოვალეობაცაა. ამდენად, მედია, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ინსტიტუტი, მოვალეა მისთვის არსებული ყველა რესურსით განახორციელოს უპირველესი ფუნქცია – ინფორმირება არა შერჩევით, შეზღუდულად, ვისიმე გუნება-განწყობის შესაბამისად, არამედ საყოველთაოდ, ყოვლისმომცველად და გასაგებად.

საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა გასული (2008) წლის ბოლოს საფრანგეთის საზოგადოებრივ მაუწყებლობაში. ჟურნალისტების მიერ მთავრობის არაეფუქტური საგარეო პოლიტიკისა და ქვეყანაში არსებულ სირთულეებზე საუბარს პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ელექტრონული მედიის როლის შესასუსტებლად ფინანსური კონტროლის დაწესების მცდელობით უპასუხა. იგი საზოგადოებრივ ტელე და რადიო არხებზე კომერციული რეკლამების შეზღუდვის ინიციატივით გამოვიდა.

საფრანგეთში საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფუნქცია განსაკუთრებულია. მხოლოდ იგი გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს – კრელ სიუსტეებსა და ანალიტიკურ გადაცმებებს. კომერციული ტელეარხების საქმიანობა ძირითადად გასართობი პროდუქციის შექმნით იფარგლება. ამგვარი გარემოება ცხადყოფს ხელისუფლების ქმედების არსეს – საკუთარი ინტერესებიდან

გამომდინარე ხელი შეუშალოს მედიის სრულყოფილ საქმიანობას, საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს შერჩევით, ფაქტების დამაღვით, არასწორი ინტერპრეტაციით [8].

XIX საუკუნის ქართული ქურნალისტიკის ისტორიკოსები დამეთანხმებიან, რომ გარკვეული თვალსაზრისით, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით დემოკრატიული პრესა გაქონდა, როცა „ქურნალ-გაზეთობის“ მამები დღენიადაგ იღწვოდნენ, რათა „თვისის დირსების მცნობელი, თვისის პატივისმცემელი და კეთილშობილურ თაგმომწონე“ გაზეთი და ქურნალი იმავე დირსებითა და პატივით მოქცეოდა ცალკეულ პიროვნებასა და საზოგადოებას. ილიასათვის სანუკვარი ვითარება, როცა

„... ქურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმასავით ხელის გაფრილნი მიდიან, ქურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნაოებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის ყვავილთა პფენს“ [9,258], დღესაც სასურველ რეალობად რჩება ჩვენი დროისა და საზოგადოებისათვის.

მაღალრეიტინგიანი გადაცემის წამყვანი ქალბატონი ყოფილ კოლეგას, ამჟამად პოლიტიკოსს (უფრო სწორად გადაცემის ეთერში გასცლისას – 2008 წლის პარილი – პარლამენტის მასორიტარი დეპუტატობის კანდიდატს) ეკითხება: – თუ ამდენი იცოდით, ქურნალისტიკაში რა გინდოდათ? (სტილი დაცულია) და იქვე დასძენს: – არა, მე მართლა გულწრფელად მაინტერესებს. მაყურებლისათვის ძნელია ისეთი გულწრფელობა ირწმუნოს, როცა გადაცემის პათოსი და ქვეტექსტი, წამყვანის გამომეტყველება და შეკითხვის ინტონაცია ნათქამს სხვა შეფერილობას აძლევს. ქურნალისტის ქმედების სტილისტიკა შეიძლება ამგვარად გაიშიფროს: ვერშემდგარი პოლიტიკოსის კომპლექსი; ახალგაზრდა, ძალზე მომხიბლავი ყოფილი კოლეგა ქალბატონის არმილების სურვილი; პროფესიული სტანდარტის უგულებელყოფა – მიკერძოება.

არათანაბმიერი იყო ერთ-ერთი გადაცემის (2008 წლის პირველი ნახევარი) ანონსი და შინაარსი: სარეკლამო როლი გვაუწყებდა, რომ ნახევარსათიანი საუბრის წარმართვის ერთადერთი იარაღი კითხვებია. თანაც ისეთი, რომელსაც მაყურებელი დასვამდა. გადაცემის ფორმატი სხვაგვარად ჩანდა: აგრესიული, რასაც განაპირობებდა ორი ქურნალისტი ქალბატონის ხშირად მოსმენის კულტურის დეფიციტით წარმართული დიალოგი, რომელიც სტუმართან ერთად სამ ხმაში მიმდინარეობდა და მსმენელს საკითხის გარკვევის მცდელობის სურვილსაც კი უკარგავდა. სტუდიის ფერები (შავი და წითელი) მძიმედ მოსასმენ

საუბარს მაყურებლისთვის ქვეცნობიერადაც აგრესიულს ხდიდა. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გავლენიან უქსპერტთან საუბრისას რესპონდენტმა პირდაპირ მიუთითა დასმული კითხვებით გამოხატულ ტენდენციაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ აფხაზეთის საკითხთან დაპარამირებით..

ერთ-ერთი ტელეკომპანიის მეპატრონე ანალიტიკური გადაცემის ფორმატის შეზღუდვის გამო საზოგადოებისათვის პრობლემის არსის განმარტებას შეეცადა. საკუთარი პოზიციის დამახინჯებულად წარმოდგენით უქმდაფილობ სხვა არხის მეშვეობით განაცხადა: რომ არ ვიცოდე რა ვთქვი, მე თვითონ გამოვუჩანდი საკუთარ თავს განაჩენს, როგორც კრიმინალსო.

საზოგადოებრივ არხზე განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა (2008 წელს) მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოლოდინი გაამართლდა. თუმცა 2008 წლის მაისის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდში არხმა ვერ შეძლო მაჟორიტარი დეპუტატების წარმომჩნისას ადმინისტრაციული რესურსის ფაქტორის განეიგრადება, რაც გადაცემა „მონიტორის“ მონაწილეებმა პირდაპირ ეთერშიც დაადასტურეს. მესიჯი ორგვარად გამოჩნდა: ხელისუფლება მხარს უჭერს, ამიტომ შენც უნდა ენდო ან პირიქით.

ამჯერად განხოლებული პირველი არხის მიმართ უქსპერტებს (და არა მხოლოდ მათ) შეკითხები და მოსაზრებები გააჩნიათ, რაც უურნალ „ცხელი შოკოლადის“ 2009 წლის იანვრის ნომერში დაბჭიდილ დისკუსიაშიც აისახა. ამ საკითხებს თვითონ პირველი არხი გადაცემა „აქცენტებითაც“ გამოიხმაურა. სპინის ხელობამ პრესაში არხახული მასშტაბები შეიძინა. შელამაზებულ, დამახინჯებულად შეფუთულ ინფორმაციულ ველში ორიენტირის დაკარგვის შესაძლებლობა მკითხველს არსებითად რისკს უქმნის – დაიბნეს, ვერ გაერკვეს, მოტყუებული დარჩეს და არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

ფართო და მრავლისმომცველი „ახლებური აზროვნება“ საზოგადოების გარდატეხის ეტაპის წინააღმდეგობრიობას ასახავს. ცხოვრების თანამედროვე ტემპმა, თვისობრივმა ცვლილებებმა მედიისადმი საზოგადოებრივი მომთხოვნელობა გაზარდა. მნელია, არ დაეთანხმო კოლეგას, რომ „კარგი“ უურნალიზმის დეფიციტის პირობებში საზოგადოებას პროფესიული და მოქალაქეობრივი გალის პატიოსნად აღმსრულებელი, პირუვნეველი ურნალისტებისადმი განსაკუთრებული მოთხოვნილება უჩნდება“ [10,164-165]. ამ მოთხოვნილების რეალიზებისათვის იღიასეული

პრესისა და ცხოვრების თანაარსებობის პრინციპით ორი პირობის შესრულებაა არსებითი:

- თვით ცხოვრება, მისი განვითარების ტენდენციები უნდა იყოს დემოკრატიული, რამაც ჯანსაღი აზრითა და სულისევეთებით უნდა კვებოს პრესა;
- პრესა დანიშნულებისამებრ ჭეშმარიტად პროგრესული უნდა გახდეს, რისთვისაც მისი შინაარსისა და უანრობრივი პალიტრის გამრავალფეროვნებაცაა აუცილებელი.

იქნებ ჩვენი თანამედროვე, მსოფლიოში აღიარებული მწერლის ქურნალისტური გამოცდილების გაზრებაც დაეხმაროს ქართული მედიის მესაკუთრეებსა და შემქმნელებს ზემოხსენებული „ხელობის საშიშროების“ ფაქტორის შესამცირებლად. აკი გაბრიელ მარეკი თავადაც სწორედ ასე გვმოძლვრავს: „... ხელობაში წარმატებით ვიყენებდი სამ სამუშაო ინსტრუმენტს, რაც ერთ მოლიანობას წარმოადგენდა: ბლოგნოგს, პროფესიულ ეთიკასა და წყვილ ურს, რომელსაც რეპორტიორები ვიმარჯვებდით იმისათვის, რომ კარგად გაგვეგო მოსმენილი... ნებისმიერ შემთხვევაში, ისიც ნუგეშია, რომ ბევრი ეთიკური თუ სხვა სახის დარღვევა, რომელიც აკნინებს და არცხვენს დღევანდებ ჟურნალისტიკას, ყოველთვის ამორალობის ბრალი არ არის: პრობლემა არაპროფესიონალიზმში ძვეს” [11,5-6].

### **ლიტერატურა:**

#### **References:**

1. manana SamiliSvili. qarTuli Jurnalizmi globaluri sainformacio-kreatiuli procesebis sistemaSi. SoTa rusTavelis instituti. ‘kritika’ #2. Tbilisi, 2007;
2. marSal maklueni. saSualeba aris Setyobineba. iv. javaxiSvilis saxelobis Tbilisis saxelmwifo universiteti. tele-radio-Jurnalistikis sakiTxebi VI. Tbilisis universitetis gamomcemloba, Tbilisi, 2003;A
3. nana zardiaSvili. reitingis diqtatura. seria evropuli Ziebani. statiebis krebuli, 2006. qarTuli sazogadoeba da evropuli Rirebulebani. Tbilisi 2007;
4. demokratiae gardamaval periodi da aqturi moqalaqeoba. Tbilisi 2007;
5. zurab Jvanias saxelobis saqarTvelos sazogadoebrev saqmeTa instituti. 2006. damatebiTi sakiTxavi komunikaciebis kursisaTvis;
6. zurab Jvanias saxelobis saqarTvelos sazbogadoebrev saqmeTa instituti. 2006. damatebiTi sakiTxavi komunikaciebis kursisaTvis;
7. gabriel garsia markesi. ‘msoflioSi saukeTeso xeloba’. ‘Cveni mwerloba.’’ 9 noemberi, 2007;

- 8.Sorena papaSvili. frangi Jurnalistebi prezident nikola sarkozis winaaRmdeg. <http://presa.ge/index.php?text=news&i=5070> ;01.12.2008;
9. i. WavWavaZe. ‘iveriis’ winasityvaoba (I). Txz. sr. kreb. aT tomad, t. III, Tb., 1953;
- 10.manana SamiliSvili. qarTuli Jurnalizmi globaluri sainformacio-kreatiuli procesebis sistemaSi. SoTa rusTavelis instituti. ‘kritika’ #2. Tbilisi, 2007.
11. gabriel garsia markesi. ‘msoflioSi saukeTeso xeloba’. ‘Cveni mwerloba.’’ 9 noemberi, 2007.

### **Marine Lomidze**

#### **Spin: Supposed or Real?!**

#### **Summary**

Methods and forms of informational influence on the audience represent major issue that all current problems in modern Georgian media are related to. Our country is considered as a country of “Third Wave of Democracy.” Experts say that one of the obstacles for the development of civil society is the lack of distribution of information and informational technologies.

Most part of society gets the information about ongoing processes generally by media. Together with the problem of spectrum of distribution of information occurs the issue of level of distributed information. Media dictates what to think and how.

Spin – is an English word. For us it is the term that is new as the context of phenomenon of Spin is quite well-known. The art of verbal communication, leading the text by desired direction is acknowledged at the moment of communication among people.

Similarly to Spins method we can discuss several forms of tools of revealing the tendencies in journalistic science, like title, punctuation mark, model of asking question and so on.

Public opinion is governed by specific principle: assertion, repetition, distribution. Each of them is an effective instrument for the purpose of reaching the goal. The quethion is what is the context of goal – is the goal oriented on public interest or it is oriented on the ambitions of several groups of people. Spin is based on the same view.

Most part of Georgian news programs is separated from the understanding of conception of democratic press as it expresses subjective positions while

inforcing the general public. Today media is very similar to your society which knows that the truth exists but however everyone has its own truth. It is the “own truth” based on different motives that determines editorial policy. Obviously this is not only Georgian phenomenon. Same tendency is bothering the rest of the world but in your hyperpoliticized country this process gets different shade. This is the factor of sharp resistance and not the factor of healthy plurality. On the particoloured market of information we should give advantage to the conception of “positive freedom” based on the theory of social responsibility rather than to the “independence from something.” We examine the goal from the aspect of getting and selling the information.

One of the determinants of democratic society is informed citizens. Possessing the information is not only a right but also an obligation. So the media as it shapes public opinion is obliged to implement the major function by all resources – informing not on bases of discrimination and limited level, according to somebody’s mood, but informing universally and clearly.

**Keywords:** Spin; Public opinion; media; information; society; politician; democratic press.

**Reviewer** – Professor Khatuna Kacharava, I.Javakhishvili Tbilisi State University

**Ломидзе Марина Джудеевна**

**Спин: желаемое или реальность?!**

### **Резюме**

Любая из проблем, стоящих сегодня перед грузинскими СМИ, сходится к одному главному вопросу – методам и формам информационного воздействия на аудиторию. Наша страна рассматривается как страна «демократии третьей волны». По мнению экспертов, одним из факторов, препятствующих развитию гражданского общества, является недостаточность распространения информации и информационных технологий.

Подавляющая часть общества получает информацию о текущих процессах, в основном, при помощи СМИ. Параллельно с распространением информации встает и проблема качества поданной информации. СМИ диктует нам, о чём думать и как думать.

«Спин» - английское слово. Для нас термин сравнительно новый, однако существующее понятие «спин» древнее. Мастерство правильного

использования вербальных коммуникаций в направлении сферы человеческого общения приводит к достижению желаемого результата. К спиновому методу можно отнести некоторые тенденции в журналистской сфере в средствах раскрытия форм (образцы заголовок, знаков препинания и др.).

Общественное мнение управляет с помощью определенных принципов: утверждение, повторение, распространение. Каждый из них – эффективный инструмент достижения цели. Главная цель содержания – ориентация на общественные интересы либо на амбиции конкретной группы или же личности. «Спин» основан на этом же.

Подавляющая часть грузинских средств информации далека от понимания демократической сущности прессы – в процессе информирования общества фиксируется ярко выраженный субъективный подход. СМИ сегодня подобны нашему обществу, которое знает, что правда существует, однако у каждого есть своя собственная правда. Эта «собственная правда», основанная на разных мотивах, определяет редакционную политику. Это, правда, не только грузинское явление. Те же тенденции волнуют весь мир, но в нашей гиперполитизированной стране этот процесс обретает иной оттенок. Это фактор не здорового плюрализма, а острого противопоставления. На пестром рынке информации мы должны дать преимущество концепции «позитивной свободы», которая основана на теории социальной ответственности, а не на «независимости от чего-либо». Целью нашего исследования является аспект получения и продажи информации.

Одной из определяющих демократического общества является информированность граждан. Владение информацией является не только правом, но также и обязанностью.

Таким образом, СМИ как институт формирования общественного мнения обязаны осуществлять главную функцию всеми существующими ресурсами – информирование не на основаниях дискриминации и ограничения, согласно чьей-то воле, а информирование полноценное и доступное.

**Ключевые слова:** спин; общественное мнение; медия, информация; общество; политик; демократическая пресса.

**Рецензент** – Профессор Хатуна Качарава, Тбилисский государственный университет им. И.Джавахишвили

## ბადრი ცხადაძე, ეგა ცხადაძე

### წელი, წელი და და ბადრი და ჩიჩილაპის მტიმოლოგია

ქართველები და საქართველო ძველი სამყაროს ცივილიზაციებთან წილნაური ძირძველი ქვეყნაა. ამიტომაა, რომ ორ ზღვას შეა მოქცეული ქვეყნა აცეიფრებს თანამედროვე მსოფლიოს თავისი თვითმყოფადობით, ფენომენალური ნიჭით, ფენომენალური ეთნობალეტით, ფენომენალური ეთნომუსიკით, ეთნოყოფითა და უმდიდრესი ქართული ენით... მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნაში დაუნჯებულია არაერთი ძირძველი ტრადიცია თუ არქაული ტერმინი. ამ მხრივ არც წელიწადი, ახალი წელი და მასთან დაკავშირებული რიტუალია გამონაჯლისი.

ამთავთვე უნდა ითქვას, პირველი იანვრიდან ახალი წლის ათველა ძირძველი ქართული ტრადიცია არაა. იგი გადმოღებულია რომაული, კერძოდ, იულიუსის კალენდრიდან. ადრე ახალი წელი ქართველებს წინარექრისტიანულ ხანაში (და შემდგომაც) გაზაფხულზე, გაზაფხულის დამდეგს პქონდათ, რაც ბუნების ძალების გამოღვიძებას, აყვავება-განახლებას უპავშირდებოდა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემები ცხადოფენ, რომ ქართული ტრადიცია ხალხურ დღეობებს, კერძოდ, ზამთრის ციკლს, ზამთრის მზის ბუნიობასთან აკავშირებს და წელიწადის დასაწყისად მიიჩნევს. თუმცა იქვე შენიშნავენ იმასაც, რომ ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თვეში იწყებოდა. წარმართული საქართველო ახალი წლის ათველას აგვისტოთი იწყებდა. ქრისტიანობამ ბიზანტიიდან შემოიტანა სექტემბრის, ანუ ინდიქტური წელი, რომლის ადგილი IX საუკუნეში მარტმა დაიჭირა, X საუკუნეში შემოვიდა და XI საუკუნეში ფეხი მოიკიდა იანვარმა, იმავდროულად, XI საუკუნეში თანაარსებობდა საერო (1 სექტემბერი) და საეკლესიო (1 იანვარი) წელთაღრიცხვა. XVII საუკუნეში, რუსეთის ეკლესიის გავლენით ახალი წლის დასაწყისად საყოველთაოდ შემოღებულ იქნა 1 იანვარი [1,4].

ამრიგად, ძველქართულ წარმართულ კალენდარს, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხთა უძველეს კალენდრებს, საფუძვლად უნდა დახდებოდა აგრარული ხალხური კალენდარი,

რასაც მოწმობს საახალწლო წეს-ჩვეულებებში გადმონაშთის სახით შემორჩენილი ზოგი რიტუალი (იხ. ამის შესახებ კრცლად [2,390-400]).

უახლოეს წარსულში კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალ წელს 1 იანვარს კი არ ზემობდნენ, არამედ ძველი სტილით 14 იანვარს. ესეც ძველი, მაგრამ ქრისტიანული ტრადიცია. XX საუკუნენის 70-ას წლებამდე ძველით ახალ წელს, მაგალითად, იმერეთში, სოფელი თოვების სროლით, მეზობლებთან გადახაილ-გადმოძახილით, შობას დაკლული ღორის თავით, ტყილეულობით... ხვდებოდნენ. ხოლო მეორე და შემდგომ დღეებში იყო გადაპატიჟება-გადმოპატიჟება, ყოფილა არაერთი შემთხვევა, როცა ოჯახის უფროსი მამაკაცი მეზობლებში დღეში ხუთ-ექს სუფრას და მასპინძელს გამოიცვლიდა.

დაისმის კითხვები: სადაური, როგორი აღნაგობისა და მნიშვნელობისაა წელიწადის დროები: წელი, წელიწადი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი?

წელიწადი წელ ფუძის გაორეკეცების გზითაა მიღებული: წელითი წლადი → წელითწადი → წელიწადი, აქედან: წელიწადეული // წელიწადეული. ეს უკანასკნელი ძველ ქართულში თიკანს, კრავს, ხბოს, საერთოდ, ერთ წლამდე პირუტყვსაც აღნიშნავს [3]. აქედანვეა ნაწარმოები -ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელი წელიწადება წელიწადის, წლიანობის მნიშვნელობით [4]. ძველი ქართული ენაში გვერდიგვერდ არსებულ წელ, წელიწად ტერმინებს სპეციალური წერილი მიუძღვნა ა. შანიძემ [5, 310-317], რომლის თქმით, წელითი წლად მარტო თეორიულად აღღგენილი ფორმა როდია, იგი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გავრცელებული სიტყვაფორმა (მაგ., „დავითნი“), სადაც ვკითხულობთ: „ხოლო დაღვომასა იანვარისასა წელითი წლად დაერთვის ერთი ნიადაგ რიცხუსა მას ერთ ვრიცხუად ყოველნი წელნი“ [5,312].

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის მთის დიალექტებში (ხევსურული, თუშური, ფშავური) ახალ წელს „წელწადი“ პქვია [6,450]. გურულ კილოში კი მისი სინონიმია კალანდა [7], [8], რომელიც წარმოშობით ლათინური სიტყვაა (Calandae), რომლისგანაც ნაწარმოებია თვით კალენდარი და გვარსახელი კალანდაძე, კალანდია. კალანდა დღესაც იხმარება მეგრულში (ერთ-ერთ ქართველურ ენაში): კალანდა // // კალანდა კალანდა ) ახალი წლის მნიშვნელობით [9]. ცხადია, ორივე კუთხეში ეს სიტყვა ერთ ხანაშია შემოსული და დამკვიდრებული. პოლანდიაში მცხოვრები მხატვრისა და პოეტის ზურაბ

კალანდაძის თქმით (რომელიც ამ ქვეყანაში 18 წელია ცხოვრობს), კალანდაძეები იმერლებიც არიან (თავად მისი შტო), წარმოშობით გურიიდან. მისივე ცნობით, რამდენიმე ათასი ესპანელი ახლაც **კალანდა** გვარსახელს ატარებს. საფიქრებელია, ისტორიულად ეს გვარსახელები (კალანდა, კალანდაძე, კალანდა) მეტსახელები იყო ჩენწიც და უკროპაშიც – იანგარში, ან პირველ იანგარს დაბადებულებს შერქმეოდათ, შემდეგ კი გვარებად ქცეულიყო..

მაგრამ დღემდე, სალიტერატურო ენაში, წლის აღსანიშნავად წელი და მისგან ნაწარმოები წელიწადი იხმარება. წელ სიტყვას მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება წანა (შდრ. წენი ზემომძრულ კილოში წელის მნიშვნელობით), უფრო ზუსტად, ქართ. წელ – ძირს შეესატყვისება მეგრ. წი//წ? (< წუ //წო) [10], [11, 441-442]. ამრიგად, წელ არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის დროინდელია [12,242]. აქვე შევნიშნავთ, რომ წლეული ის ნაცვლად იმერულში ფონეტიკურად სახეცვლილი **წრეულს** (წლეულს <-\*წელეულს) გვაქვს, ხოლო რაჭულში [13,691]– წნეულს (<-\*წენეულს? თუ წელეულს->წლეულს –> წნეულს?) დროის ზმინზედა. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანისეული წელიწადი „სიტყვის კონაში“ განმარტებულია დედალ წელიწადად („წელიწადი დედალი), ცხადია, წელიწადის ეს განმარტება მეორეულია და მომდინარეობს მისი ძირითადი მნიშვნელობისაგან [14].

ქართულ წელ ფუძესა და სიტყვას სვანურში სულ სხვა ფუძე-ლექსები ზაი შეესაბამება. სვანები ერთმანეთს ახალ წელს ასე ულოცავენ: „ხვაი ზომხა ზავ ეჯინაა“ (უხვი დოვლათბარაქიანი) ახალ წელი გქონოდეს, ხვაი =ხვავი, ზომხა =ახალი წელი, ზაი =წელიწადი)[15], [16]. სვანურშივე ახალი წლის – ზომხას სინონიმია ზამბახე: ზამბახე->ზამხე –>ზომხა (სვან. მახე =ახალი, სიტყვასიტყვით ზამბახე // ზომხა: წელი ახალი) [სვანური ენის ბალსზემოურ კილოში ზამბახელი ა უმდააუტიანია].

გვაქვს თუ არა ქართულში (ასევე მეგრულ-ჭანურში) წლის აღმნიშვნელი ზავ ფუძე?

პასუხი ასეთია: გვაქვს, მაგრამ დამოუკიდებელ სიტყვად არ გვხვდება, ცხადია, უძველეს ქართულში უნდა გვქონოდა. ზავ შემონახული გვაქვს წელიწადის დროების სახელდებებში, როგორიცაა: **გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი.** ამ უკანასკნელის ზუსტი შესატყვისია მეგრული ზოთონჯი, რომელიც ზო ფორმობრივ იგივეა, რაც სვანური ზომხასეული ზო მარცვალი. რაც შეეხება ზოთონჯის –ინჯ’ს, იგი სიტყვასაწარმოებლი

სუფიქსია, ძირია, **თ.** ქართ. ზამთარისა და მეგრ. ზოთონჯის ურთიერთმიმართება და სრულყოფილი მეცნიერული ეტიმოლოგია დადგენილი აქვს აკად. ვ. თოფურიას. ზამთარი იშლება **ზა+ძ-თ-არ-ი**, სადაც **მ-არ** აფიქსებია. ზამთარი აგებულებით კომპოზიტია (თხული სიტყვა) და ნიშნავს „წელიწადის მთვაველს“ [17,86-87]. ჩვენი ერთ-ერთი ადრეული ნაშრომის მიხედვით, ზამთარის (რომელიც „სითეორის ცივ მოფენას-მოპენტგას“ ნიშნავს) თ ძირი გვაქვს სხვა ლექსემებშიც: თვეგა (თ-ევ-ა), თოვა (თ-ოვ-ა), თოვლი (თ-ოვ-ლ-ი), მთოვარე // → მთვარე (მ-თ-ოვ-არ-ე), თენება (თ-ენ-ებ-ა), განთიად <-განთივად <-განთევად (გან-თ-ევ-ად), მნათობ (მ-ნა-თ-ობ), მთიებ (მ-თი-ებ <-\*მთივებ), თეთრ (<-\*თერ-თერ, სადაც ფუძე გაორკეცებულია). თ აგრეთვე დასტურდება სვანურ თვეთნე „თეორი“, თეთნულდ <-თვეთნულდ (აქ –ულდ კნინობითი სუფიქსია; თეთნულდ =თეთრუკა, თეთრუნა), ეს უკანასკნელი სვანეთში ქალის საკუთარი სახელიცაა და მყინვარისაც [18,122-126]. ჭანურ-მეგრულში მთარ მ-არ აფიქსებიანი ახელის შესატყვისია მთვირი, შდრ. მეგრ. თუალა „თოვა“, თირი (თი-რ-ი) თოვლი“. საყურადღებოა, რომ მეგრ. მთვირ „თირ“-ის სახით შემონახულა ქართული ენის იმერულ კილოში, სადაც იგი ფხვიერ, თეთრ, რბილ, ე.წ. „ეწერ მიწას“ აღნიშნავს. რაც შეეხება ზავ ფუძის შემცველ კიდევ ორ, წელიწადის დროის გამომხატველი თრი სახელის – ზაფხულისა და გაზაფხულის სტრუქტურას და წარმომავლობას, უნდა ითქვას, რომ ისინიც კომპოზიტებია, რომელთაც აერთიანებს **ზა(B)** და ფხულ ფუძე. გაზაფხულისეული გა- კი წარმოშობით იგივეა, რაც არქაული გან ზმინისწინი: განზაფხული → გაზაფხული (შდრ. განვიდა->გაზიდა, განდგომა → განდგომა...), ფხულ ფუძეში გამოყოფა ფხ ძირი და -ულ მიმდევობის საწარმოებელი სუფიქსი, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს \*ჟ-ილ არქეტიპისაგან, სადაც გ (-ავ თემის ნიშნის) ზმინის ფუძისეული თანხმოვანია, ხოლო -ილ მიმდევობის გამომხატველი ნიშანი: ამრიგად, ისტორიულად უნდა გვქონოდა: გაზაფხული <- განზაფხული <- \*განზაფხვილი, ისე როგორც ზაფხული <- \*ზაფხვილი; შდრ. სიყვარული <- \*სიყვარვილი, სიძულვილი... [19,57-59], თუმცა ამ უკანასკნელში \*სიძულულ სიტყვაფარმა არ გვაქვს, ალბათ, ფუძისეული უს (ძულს, ძულე) არსებობის გამო. ფხ ზმნური ძირი კი იგივეა, რაც ძველი ქართული ენის ძეგლებში გავაქვს ნეფხებს სახით. ნეფხებ = სიცივე, ყინვა, თოში, თრთვილი [3], აქედანაა ნაწარმოები ნიფხავი (რაც ძველ ქართუში ნიშნავს: საწვივეს, ნიფხავ-კვართს). ივ. ჯავახიშვილის ახსნით, დღეს

„ნიფხავი უზრდელ გამოთქმადაა მიჩნეული, მაგრამ ეს სრული გაუგებრობაა, ძველად იგი სიცივეში, ყინვაში ჩასაცმლს ნიშანავდა“ [20,25]. **ნიფხავ ლექსებში ნი- თაგსართია, -ავ ზმნის ფუძის კუთვნილება** (თემის ნიშანი). შდრ. **ნიდაყვი // იდაყვი //დაყვი; ნიძლავი, ძლავს – ძლევა... როგორც ჩანს, წელიწადის დროთა მდინარების ათველა ზამთრიდან იწყებოდა; ზამთარი („თეთრი და ცივი დრო“) –> გაზაფხული (თვეები და დრო „გამოზამთრებული“ წელიწადის შემდეგ\*განზაფხვა“), ზაფხული (წელიწადის „განზაფხვის“ შემდგომი დროის მონაკვეთი). ღირსსაცნობია, რომ შეგრულად გაზაფხულს გიშულირი ჰქვია, რაც სიტყვასიტყვით, ზედმიწვევნით ნიშნავს გამოსულს, ე. ი. „ზამთრისგან გამოსულს“. შინაარსით ეს იგივეა, რაც დღევანდელი ქართული გამოთქმა გამოზაფხული (შდრ. ზმნის პირიანი ფორმა „გამოზაფხულდა“). მეგრ. **გიშულირი** და ქართ. **გაზაფხული // გამოზაფხული** ნაზმნარი არსებითი (გასუბსტანტივებული) სახელებია (მიმღეობური ფორმები).**

ამრიგად, ქართულ ენაში, წელიწადის დროების საშ სახელდებაში (**ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული**) სვანური **ზან**’ს **ზა** მარცვალი შემონახული გვქონია, რაც შეეხბა წელიწადის მეოთხე დროს – შემოდგომას, რომელსაც ამჟამად იმერეთში **შემოდეგ/-შემოდექ’ითაც გვხვდებაც**, ისიც ნაზმნარი სახელია, ოღონდ შედარებით ახალი სიტყვა-ტერმინი. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მის ნაცლად **სოუელი** (ახ. ქართ. **როველი**, შდრ. ძვ. ქართ. სხე – ახ. ქართ. სხე, ძვ. ქართ. სხალი – ახ. ქართ. რძალი) სიტყვა იხმარებოდა, ერქვა აგრეთვე შემოდგომის ერთ-ერთ თვესაც (ოქტომბერს). აღსანიშნავია, რომ სვანური ენის ხოლურულ კილოში **სოველი** სიტყვა-ტერმინი **სტევლობ** ფორმით შესულა შემოდგომის, მოსავლის აღების შემდგომი დროის მნიშვნელობით [16,261].

#### **„ჩიჩილაგის“ ეტიმოლოგია**

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ეს სიტყვა არ ჩანს. იგი არ დასტურდება ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში“ (სალექსიკონო მასალები) [3], [4]. სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას **ჩიჩილაგი** სიტყვაფორმით იცნობს, რომელსაც ასე განმარტავს: **ჩიჩილაგი** ჭენჭის საცხები ჩხირი (ხე CqD) CD. ჭენჭის საცხებელი E.[14]. რაც შეეხბა ჭენჭს, ცხმთან ნახეო, მიგვასწავლის ლექსიკოგრაფი. იქ კი ჭენჭი ასეა განმარტებული: „**ჭენჭი** არს ცხიმი მწვადთა მწვეთარ(ე)ობისაგან და მისთანი“ [14]. ამრიგად, **ჭენჭი** მწვადის შეწვისას ჩამოდგენთილი ცხიმია (ქონია), რომელსაც ხორცის შეწვისას სპეციალური ჩხირით მოაშორებდნენ ხოლმე (ჭენჭი

სიტყვისგან წარმოდგა ჭინჭი <– ჭენჭი, რომელიც ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ამჟამად მჩვარს, ნაგლეჯს უწოდებენ, გამოიყენებენ ცხიმიანი ტაფის, ჭუჭყიანი ქვაბის გასაწმენდაღ, მჭვარტლის... და მისთ. მოსაცილებლად). უნდა ვიფიქროთ, რომ სულხან-საბას დროს ჭენჭის მოსაცილებელ ჩეირს სპეციალურად გათლივნენ და წერსაც წაუმახვავდნენ... ჩიჩილაგს არ იცნობს 6. ჩუბინაშვილის ლექსიკი [21]. ადსანიშნავია, რომ ჩიჩილაგ არქაული ფორმა შემოუნახავს ქართული ენის რაჭულ დიალექტს სულ სხვა მნიშვნელობით: ჩიჩილაგი რაჭულში „ფრჩხილის ირგვლივ აქერცლილი ნუნაა“. ინფორმაციის ცნობით, „მკისას იცის ჩიჩილაგების გაჩენაო“ [22]. დ. ჩუბინაშვილი ჩიჩილაგ სიტყვაფორმას იმოწმებს თანამედროვე მნიშვნელობით: „ჩიჩილაგი ჯოხი ნაქურთენითურთ, რომელიც გურიაში ახალს წელიწადს გამოაქვს თესამოთხვევლად სამღვდელოთა, палочка со стружками, которуюю Гурийцы выносят на встречу духовенству“ [23]. ს. ეღენტის ახსნით, გურიაში ჩიჩილაგი საახალწლოდ მორთული თხილის ჯოხია. თხილის ჯოხის შეამდის დაათლიან ტყავს ისე, რომ გადმოკეცილი ნათალები თეთრ წვერს დაემსგავსება. შემდეგ მას აწყობენ სხვადასხვა სამკაულებით და საჭმელებით [6]. მსგავს განმარტებას გვთავაზობენ 6. მარი [24,15], ი. მამალაძე [25,20]... ალ. ლლონტის განმარტებითაც, ჩიჩილაგი (გურიაში, ლექხუმში, იმერეთში) საახალწლო მისაკვლევი სამკაულია: თხილის სწორ, უნერო გრძელ ჯოხის ჯერ ცეცხლზე მოთუთქავნ, ტყავს შემოაცლიან და შემდეგ ბასრი დანით ბოლოდან თავამდე, ქვევიდან ზევით, აათლიან წვრილ-წვრილ თაგხუჭუჭა ბურბუშელებს. ეს ბურბუშელები ჩამოეპორწიალება ჯოხის და დაემსგავსება გრძელ, თეთრ წვერს, რომელიც, ხალხის რწმენით, წმინდა ბასილის წვერს მოგაგონებს [26]. როგორც ცნობილია, ბასილი, ბასილა ნახევრად წარმართული დვთაებაა, რომელშიც შერწყმულია ქრისტიანული საეკლესიო მოღვაწის ბასილი დიდისა და „დიდ დმერთად“ წოდებული ქართული წარმართული დვთაების ბოსლის (ბოსლობის) კულტი [27, თ. I. §3]. ცხადია, წმინდა ბასილის ჩართვა-მოხსენიება ამ რიტუალში ახალია (თვით ბასილ ადამიანის საკუთარი სახელი ბერძნულია და წარმომდგარია ამავე სიტყვის „სამეცო“, „მეფეური“ მნიშვნელობისაგან [28,325]. ასე რომ ბოსლობის კულტთან მისი დამთხვევა-შერწყმა გვიანდება მოვლენაა.. თუ როგორ მოხდა და დაუგავშირდა ახალი წლის რიტუალს ბასილის სახელობაზე ღორის (ქათმის, ინდაურის...) დაკვლის ტრადიცია, ამის შესახებ გურიაში დღემდე შემორჩენილია ლეგენდა [28,76].

ლექსუმში ჩითილაკი საახალწლოდ გვერგვის მოსართავია [29,258]. ჩითილაკი რომ იმერეთშიც იცოდნენ, მოწმობს პ. გაჩეჩილაძის განმარტება: ჩითილაკი ასე მზადდება: თხილის ნედლ ჯოხს ქერქს გააცლია, შემდეგ ირგვლივ ბურბუშელასავით ჩამოათლიან და ზედ ტოვებენ, ზოგჯერ წვერში ჯვარს უკეთებენ; ახალწელ დილას ამ ჯოხს დაარჭობენ ჭურისთავზე, წყაროზე, სასიმინდეზე [13,158]. ამრიგად, იმერეთში ჩითილაკის დამზადების წესიც სცოდნიათ და მისი რიტუალური დანიშნულებაც. იმერლები სასიმინდეზე, წყაროზე და ჭურისთავზე... ჩითილაკის დარჭობით ახალ წელს დოვგლათის, ბარაქის, გამრავლება-სიუხვის მოტანას სთხოვდნენ... იმერეთში ახლაც იციან გამოთქმა ომაგაჩეჩილი, აბურძგნილი ომის მქონე ვაჟის ან ქალის მიმართ: „რავა იბუ(რ)ძგ(ხ)ები საახალწლო ჩითილაკივითო“. იმერულ კილოში ასევე არსებობს ზმნა დაჩითილაკება (აჩითილაკებს, დააჩითილაკა, ღოუზითილაკებია...). რაც ნიშნავს რაიმეს (შეშის, ხის ნაჭრის...) დაქუცმაცებას, წვრილ-წვრილ ნაწილებად დაჭრა-დათლას. დაბოლოს მივადექით თვით ამ სიტყვის ეტიმოლოგიასაც: ჩითილაგი //ჩითილაკი, რომელშიც –პ კნინბითი სუფიქსია (აპ->აგ; ბოლოკიდური პურუ-მკვეთრი ბგერა გამჟღერებულა), ხოლო ჩითილ ფუძეგაორეკეცებული ჩილ ძირი, მომდიონარეობს ჩირ//ჩილ არქეტიპისაგან. რაჭ-იმერ. ჩილი = ჩირი, შდრ. იმერ. ჩილა ჭრაქის პატრუქი [30], ქიზიყ. ჩილიკა (ცერის სისქე სათამაშო ჯოხი, 0,7-ოდე მეტრის სიგრძისა; ჩილიკაობა = ჩილიკით თამაშობა) [32], ჯავახ. ჩილი = „ყვავილით დაკენკილი“ [31], ლექს.-გურ. ჩილა „ჩირი ვაშლის ან მსხლისა“ [8]. ლირსსაცნობია ისიც, რომ გურიაში მდარე ჯიშის, წვრილმარცვლოვან თხილს „ჩიჩა“ //„ჩიჩა“ პქვია [32,80]. შდრ. იმერ. „ჩინჩლი“, იჩინჩლება, ჩინჩლაგე... სწორედ ჩიჩა, ჩიჩია (შდრ. ჩიჩია ხორცი, ხორცის რბილი ნაჭერი ბავშვის ენაზე, მეგრ. „ჩიჩიე [ბადანა]“ – გონებაუმწიფარი, საწყალი, საცოდავი) ძირისაგან წარმოდგა „ჩიჩილაკი“ ანუ „ჩიჩანათალი“ – ასო-ასოდ დანაწილებული თხილის ხის ჯოხი. გარეგნულად, გურული და მეგრული ჩიჩილაკი ერთმანეთის მსგავსია [33,295], [34,41]. ასევე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს გურული „კალპიანი ჩიჩილაკი“ ლექსუმურ საახალწლო გვერგვთან, რომელიც ლერწმისაგან მოწნულ რგოლს წარმოადგენს [35,66], [29,78]. ასე რომ გურულ-იმერულ-ლექსუმურ-მეგრული – დასაგლეთ საქართველოსეული ჩიჩილაკი და „საჩითილაკო ტრადიცია“ იდენტურია... საფიქრებელია, ისტორიულად მსგავსი ვითარება გვქონდა (რამდენიმე საუკუნის წინა), „დიდ თურქობამდე“, აჭარაშიც.

ამრიგად, ჩიჩილაგ <- ჩიჩილაგ \*ჩილ-ჩილ-აკ ჩანს, ეს ჩიჩ (//ჩინჩ, ჩინჩლ) ძირი (ასევე ჩილ//ჩირ, შდრ. იმერ. ჩლეთს-ჩლითვა იმავე მნიშვნელობით) საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვა ყოფილა, რომლის ფონეტიკური და სემანტიკური სახესხვაობებით ასერიგად მდიდარია ქართული ენის დიალექტები. აღსანიშნავია, რომ ქართულიდან ჩიჩილაგ სიტყვას სვანურ ენაშიც შეუდრევია: **ჩიჩლაგ <- ჩიჩილაგ <- ჩიჩილაგ** (სვანურისთვის გ → გ ბერიათგამჟღერების პროცესი და ხმოვნის შეკუმშვა-დაკარგვა ჩვეულებრივ დამასასიათვებელია). ჩიჩლაგ სვანურად „აჭრილ-დაჭრილს, აბურმგნილს“ ნიშნავს [16]. შეიძლება დავასკვნათ: თვით, წელი და წელიწადი თავისი ვარიანტული სიტყვაფორმებით (გარდა კალანდა სიტყვისა), აგრეთვე წელიწადის დროები (ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) და ჩიჩილაგი // ჩიჩილაგი წარმოშობით ქართულ-ქართველური ტერმინებადქცეული სიტყვები აღმოჩნდა. ასევე ჩიჩილაგიც საკუთრივ ქართული წარმოშობის ლექსემა, რომელიც, როგორც სიტყვა და ტერმინი არა შემოლოდ გურიაში და დასავლეთ საქართველოში უნდა სცოდნოდათ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც (რასაც მოწმობს თუნდაც სულხან-საბახეული განმარტება). ჩიჩილაგის ფუნქციას მველ და უძველეს საქართველოში იშვიათი ჯიშის ხე ასრულებდა (უთხოვარი//ურთხმელი, ალვა, მუხა, ცაცხვი...), რაც ფოლკლორსა და რელიგიაშიც (წარმართულ-წინარექრისტიანულ და ქრისტიანობისდროინდელ სანაში) ნაყოფიერებისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდაა მიჩნეული [36], [37,64-69], [38,3]. მათ შორის წიწვოვანი მცენარეებიც (ნაძვი, კედარი, სარო ანუ კვიპაროსი...). ამ წმინდა ხეებით ცნობილია ქართული ფოლკლორი, ქართული მწერლობა („წმინდა ნინოს ცხოვრება“...), თვით მუხის კულტის, როგორც ლვთაების ჰიპოსტასის, გამოვლინება გრიგოლ რობაქიძის მისტერია „ლონდა“ [39,13-18]. ეს წმინდა ხეები და მათი კულტი წინაპარია ქართული ჩიჩილაგისა, რომლის არსებობა და დღევანდლამდე მოღწევა ძირძეველმა ქართულმა ენამ და კულტურულმა ტრადიციებმა წარმოშვა. ნაძვის ხის ტრადიცია საქართველოში, კერძოდ, ახალი წლის რიტუალში, სრულიად ახალი მოვლენაა, რომელიც ევროპულია და რუსული გზით შემოსულ-დამკვიდრებული ქართულ სინამდვილეში.

ზემოქმედი შეიძლება ასე შევაჯამოთ: ახალი წლის დადგომა, თვით წლის ქართულ-ქართველური სახელდებები (გარდა კალანდა სიტყვა-ტერმინისა) და ჩიჩილაგი დიდი ტრადიციით გამორჩეული ქართულ-ქართველური ენობრივ-

ეთნოფონის კუთვნილებაა. ახალი წელი, ყოველთვის, ცნობილი პოეტი ქალის თქმით, ჩვენში ხომ თოვლიანი სერებით, ჩახლართული ღობების გავლით, ჩიჩილაკებით შემოდიოდა:

„და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,  
სერებს თოვლიანს...  
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,  
ყეფდა თოლია...  
იდგა ბერმუხა დამისმთვარი  
თოვლში ნაბდითა...  
დილით მისდეგდა სერზე მწევარი  
ნაკვლებს ნადირთა...  
ქარი თვრებოდა დვინით ნაქებით  
გრძნეულ მარანთან...  
შემოდიოდა ჩიჩილაკებით  
ჩვენში ქალანდა...“ [40].

ქართულ-ქართველურ ენებსა მათ დიალექტებში კვლავ არაერთი სიტყვა-ტერმინია შესასწავლი და „დღის სინათლეზე“ გამოსატანი, რასაც სხვა დროს, უახლოეს მომავალში შევეცდებით.

### ლიტერატურა

#### References

1. abakelia N, alaverdaSvili Q, rambaSiZe N, qarTul xalxuri dReobaTa kalendari, Tb., 1991 (Georgian)
2. bregaZe n., ZvelqarTuli warmarTuli da xalxuri agraruli kalendrebis urTierTmimarTebis sakiTxisaTvis: kreb.: Ziebani saqarTvelosa da kavkasiis istoriidan, Tb., 1976 (Georgian)
3. abulaZe I, Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1973 (Georgian)
4. sarjvelaZe Z, Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1995 (Georgian)
5. saniZe A, weliwadis etimologiisaTvis. ix. a. SaniZe, Txzulebani Tormet tomad. t. II. qarTuli enis struqturisa da istoriis sakiTxebi. Tb., 1981 (Georgian)
6. saniZe A, Txzulebani Tormet tomad, t. I. qarTuli kiloebi mTaSi. mTis kiloTa leqsikoni, Tb., 1984 (Georgian)
7. JRenti S, guruli kilo (gamokvleva, teqstebi, leqsikoni), Tf., 1936 (Georgian)
8. qarTul kilo-TqmaTa sityvis kona, Seadgina al. Rlontma, Tb., 1974 (Georgian)
9. qajaia O, megrul-qarTuli leqsikoni. II. Tb., 2002 (Georgian)

10. ciqobava Arn, Wanur-megrul-qarTuli SedarebiTi leqsikoni, Tf., 1938 (Georgian)
11. h. fenixi, z. sarjvelaZe, qarTvelur enaTa etimologiuri leqsikoni, 1990 (Georgian)
12. Klimov g.a. etimologbxeski slovar kartvelskix iazikov. M. 1964 (Russian)
13. gaCeCilaZe p., imeruli dialeqtis saleqsikono masala, Tb., 1976 (Georgian)
14. orbeliani s-s, qarTuli leqsikoni. Txzulebani, t. IV, avtografuli nusxebis mixedviT moamzada i. abulaZem, Tb., 1966 (Georgian)
15. Tofuria. v., qaldani m., svanuri leqsikoni. Tb., 2000 (Georgian)
16. as. liparteliani, svanur-qarTuli leqsikoni [Coluruli kilo], Tb., 1994 (Georgian)
17. Tofuria v., qarTvelur enaTa sityvawarmoebidan. III. m-ar afiqsebi qarTul saxelesSi. ix. v. Tofuria, Sromebi. t. III. Tb., 1979 (Georgian)
18. cxadaZe b., Tova, Tovli, Teneba, mTovare, zamTar-is urTierTmimarTebisaTvis qarTulSi. axalgazrdamecnier-filologTa respublikuri konferenciis masalebi, Tb., 1983 (Georgian)
19. cxadaZe b., masdaris warmoeba Zvel qarTulSi (awmyos fuZis istoriasTan dakavSirebiT), Tb., 1984 (Georgian)
20. javaxiSvili iv., masalebi qarTveli eris materialuri kulturis istoriisaTvis. III-IV, Tb., 1962 (Georgian)
21. CubinaSvili. n., qarTuli leqsikoni rusuli TargmaniTurT. al. Rlontis redaqciiT da gamokvleviT, Tb., 1961 (Georgian)
22. raWuli dialeqtis leqsikoni (masalebi), Seadgina al. kobaxiZem, Tb., 1987 (Georgian)
23. CubinaSvili d., qarTul-rusuli leqsikoni. meore gamocema, aRdgenili ofsetis wesiT. sastambod moamzada da winasityvaoba daurTo a. SaniZem, Tb., 1984 (Georgian)
24. Marr.n.i. iz pirineickoi gurii (k voprosu o metode). Tiflis.1927 (russian)
25. Mamaladze i. narodnie obiCai I poveria guriicev. sbornik materialov dlja opisania mestnostei I plemen kavkaza, vip.17, 1983 (Russian)
26. qarTul kilo-TqmaTa sityvis kona, Seadgina al. Rlontma, Tb., 1975 (Georgian)
27. bardaveliZe v., qarTuli (svanuri) saweso grafikuli xelovnebis nimuSebi, naw. II, Tb., 1953 (Georgian)
28. WumburiZe z., dedaena qarTuli (xelaxali gamocema), Tb., 1987 (Georgian)
29. WanWaleiSvili l., kalandoba guriaSi (axali wlis wina da pirveli dRe). ix. eTnografiuli Ziebani (axalgazrda mecnier-muSakTa krebuli), Tb., 1988 (Georgian)
30. Ciqovani m., leCxumuri leqsikoni. a. s. puSkinis saxelobis Tbilisis saxelmwifo samaswavleblo institutis Sromebi. I. 1941 (Georgian).
- 31.. menTeSaSvili st, qiziyuri leqsikoni, Tb., 1943 (Georgian)

32. beriZe gr., javaxuri dialeqtis saleqsikono masala, Tb., 1981 (Georgian)
33. SaraSiZe. g., guruli leqsikoni, qarTvelur enaTa leqsika I. Tb., 1938 (Georgian)
34. makalaTia. s., samegrelos istoria da eTnografia, Tb., 1941 (Georgian)
35. saxokia T., eTnografiuli nawerebi, Tb., 1956 (Georgian)
36. bardaveliZe v., qarTvelTa uZvelesi sarwmuonebis istoriidan, Tb., 1941 (Georgian)
37. lomia v., xis kultisaTvis saqrTveloSi. saqrTvelos muzeumis moambe, t. III. tf., 1926-27, (Georgian)
38. omiaZe d., xalxuri jadosnuri zRapris SedarebiT-tipologiuri analizi (qarTuli da sparsuli xalxuri zRaprebis erTi siuJetis mixedviT), Tb., 1991 (Georgian)
39. e. cxadaZe, muxis kulti qarTvelebSi. gaz. muxianis moambe, #1, Tb., 1996 (Georgian)
40. a. kalandaZe, (leqsebi), murman lebaniZis redaqciiT, Tb., 1985 (georgian)

**Badri Tskhadadze, Eka skhadadze**

### **The Year, Four Seasons of the Year and Etymology of “Chichilaki”**

#### **Summary**

The Georgians and Georgia are one of the ancient people and countries representing the civilization of Ancient World. That's why even today the country located between two seas amazes the modern world with its uniqueness, phenomenal talent, ethnical ballet, ethnical music and richest Georgian language. There are many ancient traditions and archaic terms in the country of rich traditions, and in this regard the notion of year, New year and rituals connected with it are no exception.

It is necessary to note, that the counting of New year from January 1<sup>st</sup> is not primordial Georgian tradition. It was borrowed from Roman, exactly from Julian Calendar. Before it, in the pre-Christian era (and afterward) the New year of Georgians had begun at the spring, in the beginning of a spring, and this fact was connected by awakening of natural forces, an efflorescence and renewal of nature. As it was noted in special literature, ethnographic data of XIX century and of the beginning of XX century clearly show, that Georgian tradition links folk festivals with winter cycle, in particular, with winter equinox, which was taken as a beginning of new year. Though it is marked there, that in the various times the New year in Georgian had begun from various months. In the heathen Georgia a counting of new year had begun from August. Christianity introduce the September year, so-called induction

year in Georgia, which was followed by March in IX century. January appeared in X century and took roots in XI century, at the same time folk year-counting (from September, 1<sup>st</sup>) and church year-counting (from January, 1<sup>st</sup>) coexisted. In the XVII century, under the influence of Russian church, January, 1<sup>st</sup> was accepted everywhere as a beginning of a new year.

As a result of study carried out by us it was established and revealed that the year itself (**tseli** and **tselitsadi**) by its variant word form (except the word **kalandi**), as well as four seasons of the year (**winter, spring, summer** and **autumn**) and **chichilaki//chichilagi** according to its origin are the words, transformed into Georgian-Kartvelian terms. Also the word **chichilaki** as itself is a lexeme of Georgian origin, which is known not only in Guria and Western Georgia, but also in Eastern Georgia (that is testified by the interpretation given by Sulkhan-Saba Orbeliani). In the old and ancient Georgia a function of **chichilaki** was executed by noble-breed trees (yew-tree, poplar, oak, lime-tree...), which was considered by the folklore and religion as a symbol of fertility and eternal life (in the heathen-pre-Christian and Christian era). The coniferous trees (fir, cedar, cypress...) also ranked among them. These trees are well-known for Georgian folklore and written literature ("The Life of Saint Nino"...), while mystery "Londa" of Grigol Robakidze is the manifestation of oak cult as the hypostasis of divinity. These saint trees and their cult are the ancestors of Georgian **chichilaki**, which existence up to present times is caused by Georgian language and our cultural traditions. As to tradition of fir tree in Georgia, in particular in New-year ritual, it is an absolutely new phenomenon, which is European and entered and took roots in the Georgian reality by Russian way. the pre-Christian era, Georgian tradition links folk festivals,

**Keywords:** The year, four seasons of the year and etymology of chichilaki, The Georgians and Georgia, countries representing the civilization of Ancient World. New year and rituals; kalandi, Julian Calendar, Georgian tradition links folk festivals with winter cycle, Christianity introduce Russian, Georgian language; seasons of the year (**winter, spring, summer** and **autumn**), Georgian-Kartvelian terms; Guria and Western Georgia, Eastern Georgia, Georgian folklore, 'The Life of Saint Nino", the heathen-pre-Christian and Christian era, Georgian tradition links folk festivals, Sulkhan-Saba Orbeliani, Grigol Robakidze.

**Reviewer -** Professor Igor Kveselava , Georgian Technical University.

**Цхададзе Бадри Андреевич,  
Цхададзе Ека Гурамовна**

### **Год, времена года и этимология «чичилаки»**

#### **Резюме**

Грузины и Грузия являются одним из древнейших народов и стран, представляющих цивилизацию Древнего мира. Именно поэтому страна, находящаяся между двух морей, и по сей день изумляет современный мир своей самобытностью, феноменальным талантом, этническим балетом, этнической музыкой и богатейшим грузинским языком. В стране, имеющей богатые традиции, сохранилась не одна древнейшая традиция и архаичный термин, и в этом смысле не является исключением само понятие года, новый год и связанные с ним ритуалы.

Необходимо отметить, что отсчет нового года с первого января не является исконно грузинской традицией. Она была заимствована от Римского, а именно Юлианского календаря. Ранее, в дохристианскую эпоху (и впоследствии) новый год у грузин начинался весной, в начале весны, что было связано с пробуждением сил природы, расцветанием и обновлением. Как отмечено в специальной литературе, этнографические данные XIX века и начала XX века наглядно показывают, что грузинские традиции связывают народные праздники с зимним циклом, в частности, с зимним солнечным равноденствием, которое принимается за начало нового года. Впрочем, там же отмечено, что новый год в Грузии в разные времена начинался в разные месяцы. В языческой Грузии отсчет нового года начинался с августа. Христианство привнесло в Грузию год сентября, т.н. индиктионный год, затем в IX веке его место занял март, в X веке появился и в XI веке укоренился январь, одновременно, в XI же веке, сосуществовали народный (с 1 сентября) и церковный (с 1 января) отсчет года. В XVII веке, под влиянием русской церкви, за начало нового года повсеместно был принят день 1 января.

В результате проведенного нами исследования было выяснено, что сам по себе год (**цели и целицади**) по своим вариантным словоформам (кроме слова **каланда**), а также времена года (**зима, весна, лето и осень**), и **чичилаки//чишилаги** по происхождению являются словами, превратившимися в грузинско-картвельские термины. Также слово **чичилаки** собственно является лексемой грузинского происхождения, которое, как слово и, как термин известно, не только в Гурии и Западной Грузии, но и в Восточной Грузии (о чем свидетельствует толкование, данное Сулхан-Саба Орбелиани). Функцию **Очичилаки** в древней и древнейшей Грузии осуществляло дерево

редкой породы (тис, тополь, дуб, липа...), что в фольклоре и религии считалось символом плодородия и вечной жизни (в языческо-дохристианскую и христианскую эпохи). В их число входили также хвойные деревья (ель, кедр, кипарис...). Грузинскому фольклору, грузинской литературе весьма знакомы эти деревья («Житие святой Нины»...); проявлением культа дуба, как ипостаси божества, является мистерия Григола Робакидзе «Лонда». Эти святые деревья и их культивируются предками грузинского **чичилаки**, существование которого до наших дней обусловлено грузинским языком и культурными традициями. Традиция елки в Грузии, в частности в новогоднем ритуале является совершенно новым явлением, которое имеет европейские корни и в грузинскую действительность попало и укоренилось через Россию.

**Ключевые слова.** Грузины и Грузия, новый год в Грузии; индикционный год; каланда, год, времена года и этимология чичилаки; грузинско-картвельские термины; цивилизация Древнего мира, древнейшая традиция и архаичный термин, понятие года, новый год и связанные с ним ритуалы, Юлианский календарь, дохристианская эпоха, народные праздники с зимним циклом, древнейшая Грузия, Гурия и Западная Грузия, Восточная Грузия, Сулхан-Саба Орбелиани, Григорий Робакидзе. Грузинский фольклор, грузинская литература; «Житие святой Нины», куль дуба, ипостась божества, традиция елки в Грузии, Россия.

**Рецензент** – профессор Игорь Квеселава, Грузинский технический университет.

## CONTENTS

### THEORY

#### **Jemal Janashia**

- Geopolitical Problems of Georgia on Regional  
Scale and Coexistence of International  
Criminal Systems ----- 5

#### **Sophie Dogonadze**

- Prevention – Effective Struggle Against Juvenile  
Delinquency ----- 16

#### **Betlemidze Gegi,**

#### **Ermolaev Sergo**

- Electronic Business Development Prospects  
in Georgia ----- 27

### HISTORY

#### **Ia Khubasvili**

- Dante – Una Italia and the World Monarchy idea creator--- 35

#### **Salome Khizanishvili**

- From Perception of the Absurd to Historical Reality ----- 48

#### **Badri Tskhadadze,**

#### **Eka Tskhadadze**

- Greek-Georgian lexical meetings. I.To the Etymology  
of One International Word-Term (“Tragedy”) ----- 59

#### **Eter Beridze**

- Linguistic Situation in the Nigali Gorge ----- 71

#### **Giorgi Dzidziguri**

- Gypsies – an Unique Interconsistency  
Liberty and Order ----- 82

### PRACTICE

#### **Tengiz Grigolia,**

#### **Maia Amirgulashvili**

European Tunnel Under the La manche in European Integration -----	87
<b>Tamar Revazishvili, Nikoloz Bezhashvili</b>	
Climate Change as Global Ecological Problem and Its Outcomes -----	95
<b>Nino Dziguia</b>	
The Prospects of Georgia Development as a Country with the Function of Transit Corridor -----	104

## SOCIETY

<b>Murad Shonia</b>	
Human as a Subject of Sociology -----	120
<b>Marine Lomidze</b>	
Spin: Supposed or Real?! -----	127
<b>Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze</b>	
The Year, Four Seasons of the Year and Etymology of “Chichilaki” -----	139

## СОДЕРЖАНИЕ

### ТЕОРИЯ

#### **Джанашия Джемал Парменович**

Геополитические проблемы Грузии в региональном масштабе и существование международной преступной системы ----- 5

#### **Догонадзе София Шотаевна**

Превенция – основа эффективности борьбы с преступностью среди несовершеннолетних ----- 16

#### **Бетлемидзе Геги Василиевич,**

#### **Ермолаев Сергей Викторович**

Перспективы развития электронного бизнеса  
в Грузии ----- 27

### ИСТОРИЯ

#### **Хубашвили Ия Багратовна**

Данте – основатель идеи Una Italia и универсальной всемирной монархии ----- 35

#### **Хизанишвили Саломэ Алексеевна**

От осознания абсурдности до исторической реальности ----- 48

#### **Цхададзе Бадри Андреевич,**

#### **Цхададзе Ека Гурамовна**

Греко-Грузинские лексические встречи.

I. К этимологии одного международного

слова-термина («трагедия») ----- 59

#### **Беридзе Этер Левановна**

Языковая ситуация в Нигальском ущелье ----- 71

#### **Дзидзигури Георгий Георгиевич**

Цыгане – уникальная взаимосвязь  
свободы и порядка ----- 82

## ПРАКТИКА

<b>Григолия Тенгиз Бондоевич,</b> <b>Амиргулашвили Маиса Ушангиевна</b> Евротунел под Ла-Маншем Европейской Интеграций ----- <b>Ревазишвили Тамара Николаевна,</b> <b>Бежашвили Николоз Амираниович</b> Изменение климата, как глобальная экономическая проблема и ее результаты ----- 95 <b>Дзигуа Нино Владимировна</b> Перспективы развития Грузии, как государства, выполняющего функцию транзитного коридора ----- 104	----- 87
--	----------

## ОБЩЕСТВО

<b>Шония Мурад Бочоевич</b> Человек как предмет социологии ----- 120 <b>Ломидзе Марина Джудуевна</b> Спин: желаемое или реальность?! ----- 127 <b>Цхададзе Бадри Андреевич,</b> <b>Цхададзе Ека Гурамовна</b> Год, времена года и этимология «чичилаки»----- 139	
--	--

## აგტორები

**მაია ამირგულაშვილი -**

გეგი ბეთლემიძე  
ნიკოლოზ ბექაშვილი  
ეთერ ბერიძე

**თენგიზ გრიგოლია -**

სოფიო დოღონაძე

სერგო ერმოლაევი  
მარინე ლომიძე

თამარ რევაზიშვილი  
მურად შონია

ბადრი ცხადაძე

ეგა ცხადაძე

ნინო ძიგუა

გიორგი ძიძიგური

სალომე ხიზანიშვილი

ია ხუბაშვილი

ჯემალ ჯანაშია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

ბიზნესის მართვის მაგისტრი  
სახელმწიფო მართვის მაგისტრი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახ.

უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

იურისტი, საქართველოს ეკონომიკური  
განვითარების სამინისტროს პ/მ მუშაკი  
ბიზნესის მართვის მაგისტრი  
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და  
კინოს უნივერსიტეტის პროფესორი  
შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და  
კინოს უნივერსიტეტის პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
მაგისტრანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სტუდენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

## Authors

<b>Maia Amirkulashvili -</b>	Professor of Georgian Technical University
<b>Gegi Betlemidze</b>	Master of Business Adminstration
<b>Nikoloz Bezhashvili</b>	Master of Business Adminstration
<b>Eteri Beridze</b>	Senior lecturer of Batumi Shota Rustaveli University
<b>Sophie Dogonadze</b>	Lawyer, executive officer of Ministry of Economic Development of Georgia
<b>Giorgi Dzidziguri</b>	Professor of Georgian Technical University
<b>Nino Dzigua</b>	Undergraduate student of Georgian Technical University
<b>Sergo Ermolaevi</b>	Master of Business Adminstration
<b>Tengiz Grigolia -</b>	Professor of Georgian Technical University
<b>Jemal Janashia</b>	PhD of Law
<b>Salome Khizanishvili</b>	Professor of Georgian Technical University
<b>Ia Khubashvili</b>	Professor of Iv.Javakhishvili Tbilisi State University
<b>Marine Lomidze</b>	Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<b>Tamar Revazishvili</b>	PhD of Technical Science
<b>Murad Shonia</b>	Professor of Georgian Technical University
<b>Badri Tskhadadze</b>	Professor of Shota Rustaveli University of Theatre and Cinema
<b>Eka Tskhadadze</b>	Professor of Shota Rustaveli University of Theatre and Cinema

## Авторы

<b>Амиргулашвили М.У.</b>	Профессор Грузинского технического университета
<b>Бежашвили Н.А.</b>	Магистр государственного управления
<b>Беридзе Э. Л.</b>	Старший преподаватель Батумского университета им. Шота Руставели
<b>Бетлемидзе Г. В.</b>	Магистр бизнес-управления
<b>Григолия Т.Б.</b>	Профессор Грузинского технического университета
<b>Джанашвил Дж.П.</b>	Доктор юридических наук
<b>Дзидзигури Г.Г.</b>	Студент Грузинского технического университета
<b>Дзигуга Н.В.</b>	Магистрант Грузинского технического университета
<b>Догонадзе С.Ш.</b>	Юрист, отв. сотрудник Министерства экономического развития Грузии
<b>Ермолаев С. В</b>	Магистр бизнес-управления
<b>Ломидзе М. Дж.</b>	Профессор тбилисского государственного университета им. Иване Джавахишвили
<b>Ревазишвили Т.Н.</b>	Доктор технических наук, специалист Грузинского технического университета
<b>Хизанишвили С.А.</b>	Профессор Грузинского технического университета
<b>Хубашвили И.Б.</b>	Профессор Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили
<b>Шония М.Б.</b>	Профессор Грузинского технического университета
<b>Цхададзе Б.А.</b>	Профессор университета театра и кино им. Шота Руставели
<b>Цхададзе Е. Г.</b>	Профессор университета театра и кино им. Шота Руставели

<b>ქურნალის რედალებია რუდივრ ანდრესნი -</b>	ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი
<b>ნანა ავალიანი -</b>	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
<b>მეუფე აპრამი (ჭარმელია) ევგენი ბარათაშვილი -</b>	დასაცლე ევროპის მიტროპოლიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
<b>გიორგი ბადათურია - ოთარ ბადათურია -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
<b>გამორჩეული -</b>	მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი
<b>შოთა დოლონაძე -</b>	სორინას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში.
<b>ჰარალდ ვერტცი -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
<b>გენადი დაშვილი - თემურ თოლუა -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
<b>სერგო ლომინაძე - როინ მეტრეველი - ქეთი ქოქრაშვილი -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
<b>ოთარ ქოქრაშვილი -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
<b>რუსულან ქუთათელაძე -</b>	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
<b>მაია ჩხეიძე -</b>	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უცხო ენგბისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
<b>და წებაშვილი -</b>	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**EDITORIAL BOARD**  
**RUDIGER ANDRESEN**

**NANA AVALIANI**

His Eminence **ABRAHAM  
(GARMELIA)**  
**EVGENI BARATASHVILI**

**GIORGI BAGATURIA**

**OTAR BAGATURIA**

**MAIA CHKHEIDZE**

**SHOTA DOGONADZE**

**VAKHTANG GURULI**

**GENADI IASHVILI**

**IA KHUBASHVILI**

**KETI KOKRASHVILI**

**OTAR KOCHORADZE**

**RUSUDAN KUTATELADZE**

**SERGO LOMINADZE**

**ROIN METREVELI**

**TEMUR TODUA**

**HARALD WERTZ**

- Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University
- Ambassador at large MFA of Georgia, PhD of History
- Metropolitan of Western Europe
- Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management
- Professor of Georgian Technical University
- Responsible Editor, Georgia Technical University, Doctoral Candidate
- Professor of Georgian Technical University , Head of the Department of Foreign Languages and Communication
- Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Admimstration Department
- Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- Professor of Georgian Technical University
- Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- Professor of Georgian Technical University, Head of the Administration
- Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University
- Professor of Georgian Technical University, Dean of Humanitarian-Social faculty
- Professor of Georgian Technical University
- Academy of Science of Georgia, Academician
- Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8"

## **РЕДКОЛЛЕГИЯ НАНА АВАЛИАНИ**

**Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)  
РУДИГЕР АНДРЕСЕН**

**ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ**

**ОТАР БАГАТУРИЯ**

**ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ**

**ХАРАЛЬД ВЕРТИ**

**ВАХТАНГ ГУРУЛИ**

**ШОТА ДОГОНАДЗЕ**

**КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ**

**ОТАР КОЧОРАДЗЕ**

**РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ**

**СЕРГО ЛОМИНАДЗЕ**

**РОИН МЕТРЕВЕЛИ  
ТЕМУР ТОДУА**

**МАЙА ЧХЕИДЗЕ**

**ИЯ ХУБАШВИЛИ**

**ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ**

- Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук
- Митрополит Западной Европы
- профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета
- профессор Грузинского технического университета
- ответственный секретарь, Грузинский технический университет, докторант
- профессор Грузинского технического университета, руководитель департамента экономики и управления бизнесом
- профессор информатики Сорбоннского университета «Пари-8»
- профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
- главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления
- профессор Грузинского технического университета, глава администрации университета
- заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета
- профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета
- профессор Грузинского технического университета
- академик АН Грузии
- профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
- профессор Грузинского технического университета, руководитель департамента иностранных языков и коммуникации
- профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили
- профессор Грузинского технического университета